ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 11 ნოემბერი, 2013 №267 (6268) ფასი: 30 თეთრი

5 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა"
+
ეს სამყარო
სტიქიური მოვლენები
10 ლარი




# დავით უსუფაშვილი: „ღარიბაშვილი მთავარ პროკურორს ვერ დანიშნავს!"

გვ.3



## რას საყვედურობენ მომავალ შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს





გვ.5

## ჯონდი ბაღათურია: „კბილაშვილი კი არ გადადგა, გადააყენეს"



## რატომ ვერ დაიჭერენ სააკაშვილს

გვ.2

გვ.4



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „მთავრობამ სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა"

## რატომ აღმართეს პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე გულებიანი დროშა

გვ.3

## რატომ ვერ იზრდება პენსია

გვ.6





გვ.6

ირაკლი ალასანიამ შეიარაღებული ძალების I საარტილერიო ბრიგადას 20 წლის იუბილე მიულოცა

## გელა ნიკოლეიშვილი: „26 მაისს პოლიციელის გარდაცვალების საქმეში ესკორტის მანქანის მონაწილეობა გამორიცხულია"

გვ.7



ISSN 1987-9385

**2** პატრიარქმა კიდევ ერთი ეპისკოპოსი აკურთხა

**11** ირანი ურანის გამდიდრების უფლებაზე უარის თქმას არ აპირებს

**2** დაკარგული გემის კაპიტნის მეუღლე საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს

**11** პალესტინა აპირებს დაამტკიცოს, რომ არაფატი ისრაელის მოკლულია

# რატომ ვერ დაიჭერენ სააკაშვილს

თამარ ნინიძე

**გენერალურ პროკურორად ვინც უნდა დანიშნონ, მიხეილ სააკაშვილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მაინც ვერ დააკისრებენ, ევროკავშირის კატეგორიული მოთხოვნაა, საქართველომ არ გაიმეოროს უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის შეცდომა და მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი, ტიმოშენკო, დღეს რომ ციხეშია, უკარაინისთვის ეს შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს ევროკავშირთან მომავალი ინტეგრაციისთვის. ასევე ანალოგიური მოთხოვნები აქვთ ევროპარლამენტარებს საქართველოს ხელისუფლებისადმი, გამოუშვას მერაბიშვილი და არც კი იოცნებოს სააკაშვილის ციხეში ჩასმაზე.**



მიხეილ სააკაშვილის ცხრაწლიანმა მმართველობამ საქართველოს მოქალაქეებს დაანახვა, როგორი არ უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, კარგი იქნება, თუ ამომრჩეველი სამომავლოდ მაინც ცხელ გულზე კი არ გააკეთებს არჩევანს, არამედ გონივრული ანალიზის საფუძველზე აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს. სააკაშვილს რაც შეეხება, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე აგვისტოში სააკაშვილმა შეწყალების აქტი გამოსცა, ერთი წლის განმავლობაში ის აქტიურად ცდილობდა თან გაუარესებულ კრიმინოგენურ ვითარებაზე გაემახვილებინა ყურადღება და იმავდროულად საზოგადოებისთვის საშიში მსჯავრდებულები შეეწყალებინა, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე სააკაშვილმა ისევ გამოიყენა საპრეზიდენტო უფლება და კვლავ გამოსცა შეწყალების აქტი, რომლითაც საზოგადოება კვლავ უმძიმესი რეალობის წინაშე დააყენა, მისი შეწყალება შეეხო განსაკუთრებით საშიშ მსჯავრდებულებს, რომელთაც წესით შეწყალება არ ეკუთვნოდათ, მათ რიცხვში რეციდივისტებს, პედოფილებს, მცირეწლოვანი შვილის მკვლელ დედას, ნარკომოვაჭრეებს, ყაჩაღობისთვის, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ პატიმრებს და ასევე მისი გუნდის წარმომადგენლებს, ზურაბ ადეიშვილის ძმას, ბაჩო ახალაიას, თინა ბურჯალიანის ქმარს, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში გასამართლებულ პოლიციელს.

თუ ქვეყანაში მართლაც დაძაბული კრიმინალური ვითარებაა, თუ შსს-ს სტატისტიკას დანაშაულის კლების მონაცემებთან დაკავშირებით ნაციონალები ეჭვქვეშ აყენებენ, რატომ არ გააპროტესტეს სააკაშვილის ეს ბოლო შეწყალების აქტი, გაურკვეველია და ლოგიკას მოკლებულია, თუ ბოროტი ძალა არ ხარ და მაოხრებელი გზირივით საქმის ბოლომდე გაფუჭებას არ ცდილობ, თუ გინდა, რომ ბოლოს მაინც რამენაირად გაგიხსენონ ოდნავ დადებითი კუთხით, რატომ უნდა ავნო საკუთარ ქვეყანას, ეს ქვეყანა არც მზითევში მოგყოლია და არც შენი პირადი საკუთრებაა, არც შენი და არც რომელიმე ხელისუფლებისა. ევროპაში პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილზე გასულ ქვეყანას ახალი ციხეების ასაშენებლად 24 ათასამდე უნდა აეყვანა პატიმრების რაოდენობა, რომ დაფინანსება მიეღო. ამაზე ერთ-ერთ ბეჭდურ გამოცემასთან შეწყალების კომისიის ხელმძღვანელი ელენე თევდორაძე საუბრობს და ამბობს, რომ ამის შესახებ მას გიგა ბოკერიამ განუცხადა.

მიხეილ სააკაშვილი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ევროპამ გაათავისუფლოს, მაგრამ მორალური პასუხისმგებლობისგან, წესით, ვერაფერმა ვერ უნდა იხსნას. კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტს სპეციალური საგამოძიებო კომისია უნდა შეექმნა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დეტალებს გამოიძიებდა და გაარკვევდა საქართველოს თითოეული უწყების და კონკრეტული თანამდებობის პირების როლს ამ ომში, მაგრამ დღეს ამ თემაზე აღარავინ საუბრობს, ნაცმოძრაობამ მაშინ ყვირილი ატეხა, ივანიშვილი რუსეთის კაცია, სააკაშვილის გასამართლება სურს და მისი ციხეში ჩაგდებაო, არადა, ციხეში ჩაგდებას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მოსახლეობას სრული უფლება აქვს გაიგოს, შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, ვინ აქეზებდა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას, რომ ჩაბმულიყო რუსულ ავანტიურაში და რატომ არ შეიძლებოდა მაშინდელ ხელისუფლებას ეზრუნა იმაზე, რომ ამ პროვოკაციას არ წამოგებოდა. შეიძლებოდა თუ არა ევროპისა და ამერიკის დიპლომატებთან ერთად ეფექტური ქმედებების განხორციელება კონფლიქტურ რეგიონებში მოსახლეობის დასაცავად და რუსეთის შესაჩერებლად. იყო თუ არა ეს ომი ვიღაცისთვის იარაღით ვაჭრობის საშუალება და ვინ მოითბო ხელი ამით, სად იყვნენ მინისტრები, როცა ქართველი ჯარისკაცები იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე, ვინ რა ბრძანებას გასცემდა. მიხეილ სააკაშვილმა სულ ცოტა მორალური პასუხისმგებლობა მაინც უნდა იგრძნოს იმის გამო, რომ არაერთი ქართული ოჯახი განადგურდა და არაერთმა ოჯახმა დაკარგა ახლობლები. ჟვანიას საქმე და აგვისტოს ომი, მთავარ პროკურატურას სხვა გახმაურებულ საქმეებთან ერთად ეს საქმეებიც უნდა გამოეძიებინა და გაერკვია, პრეზიდენტ სააკაშვილს რა კავშირი ჰქონდა ამ საქმეებთან.

სააკაშვილის ცნობილი მოწოდებები ნულოვან ტოლერანტობაზე და ციხეში ყველას ჩაგდებაზე, ეს მოწოდებები ევროპარლამენტარებისთვის რამდენად მისაღებია და როგორ შეიძლება შეფასდეს სააკაშვილის „დამსახურებები“ საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის გზაზე ასეთი მოწოდებების ფონზე, თუ ეს მოსაწონია და მისაღებია ევროპელებისთვის, მაშინ რა გვინდა ისეთ ევროკავშირში, რომელიც სააკაშვილის მმართველობის შავბნელ პერიოდს ნებისმიერ გამართლებას უძებნის. ან თუ სააკაშვილი იმსახურებს კრიტიკას ევროპელებისგან, მაშინ არსებობს დიპლომატიაში ალბათ რაღაც ნორმები, რომლითაც შესაძლებელია მინიმუმ არ მიიღო ასეთი ტიპის მმართველი და თუ ჰუმანურ იდეებზე ვსაუბრობთ, რატომ შეიძლება ეს იყოს ცალმხრივი მხოლოდ ნაცმოძრაობისთვის და არა იმ ათასობით ადამიანისთვის და მათ უკან მდგომი ოჯახებისთვის, რომლებიც განადგურა სააკაშვილის მმართველობის დროს გამოვლენილმა სისასტიკემ. კი ბატონო, საქართველოში ადამიანები ისეთი ბნელები არ არიან, ვერ გაიგონ, ევროინტეგრაცია რომ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ არა ისეთს როგორსაც გვთავაზობენ. კი ნუ ავიყვანთ გილიოტინაზე მიშას და მის თანამზრახველებს, მაგრამ ხომ შეიძლება მორალური პასუხისმგებლობა მაინც მოვითხოვოთ, რომ მომავალში არც ერთ სხვა ხელისუფალს ხელი არ წაუცდეს ადამიანების მასობრივ წამებაზე, დახვრეტაზე ქუჩებში, ქონების წართმევაზე, ადამიანების ომში ძალით ჩაბმაზე და მშვიდობიანი აქციების სისხლიან დარბევაზე. რომ არა სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ გამოვლენილი სისასტიკე, ცხრა წლის მანძილზე ცოდვის ტრიალი არ იქნებოდა ქვეყანაში, სააკაშვილი კი ამაყად ყელმოღერებული წარდგებოდა ყველა დონის შეხვედრაზე.

სააკაშვილი სადაც უნდა წავიდეს, რაც უნდა გააკეთოს მომავალში, ბიბლიოთეკა გახსნას თუ ევროპულ უნივერსიტეტებში ლექციები იკითხოს მორალური პასუხისმგებლობისგან ვერასოდეს განთავისუფლდება და არც უნდა ჰქონდეს ამის საფუძველზე ილუზია, რომ როდესმე ისევ მოვა რაიმე ფორმით საქართველოს ხელისუფლებაში, დაიკავებს რომელიმე თანამდებობას და ამას შეეგუება საქართველოს მოსახლეობა. ამიტომ მუქარები და მუდმივად იმის წამოძახება საზოგადოებისთვის, რომ ნაციონალები ისევ მოვლენ, ამ კაცთმოძულე რეჟიმს მაინც ვერ შემოატრიალებს და ვერანაირი ტრანსფორმაცია და სახეცვლილება ვერ დაავიწყებს ადამიანებს ვარდების რევოლუციის შემდგომ მოსული ხელისუფლების მმართველობის იმ სტილს, რომელმაც ხელახლა დაამკვიდრა ქვეყანაში გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების რეპრესიები.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას ბოდიში მოიხადა, მაგრამ ეს არ იყო ამომრჩევლის წინაშე გულწრფელი სინანული, ამ ბოდიშის ადრესატი არ იყო საქართველოს არც ერთი ადამიანი, ამ ბოდიშს ადრესატი ჰყავდა მისი თანამოაზრეები, რომლებიც დღესაც გამოდიან და ამართლებენ ამ რეპრესიებს ვითომ რუსეთის აგენტების და ხალხის მტრების განადგურების საბაბით.

პოლიტიკოსების ნაწილი გამოდიოდა ინიციატივით ნაცმოძრაობა აკრძალულიყო და ნაცმოძრაობისთვის ნიურნბერგის მსგავსი პროცესი გაემართათ. მოქმედმა ხელისუფლებამ ევროინტეგრაცია აირჩია, ისტორია ალბათ პასუხს გასცემს მთავარ კითხვას, ეს გზა სწორი იყო თუ არა, მაგრამ ალბათ ურიგო არ იქნება, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია მაინც, რომელიც ამ რეჟიმის მორალურ პასუხისმგებლობაზე შესაბამის დასკვნას დადებს, ეს პირველ რიგში ამ ხელისუფლებისთვის უნდა იყოს აუცილებელი, რომ სწორად მართოს ქვეყანა.

## პატრიარქმა კიდევ ერთი ეპისკოპოსი აკურთხა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გუშინ სვეტიცხოვლის ტაძარში კიდევ ერთი ეპისკოპოსი აკურთხა.

სურამისა და ხაშურის ეპარქიას მეუფე სვიმეონ ცაკაშვილი უხელმძღვანელებს. სვეტიცხოვლის ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქი მრევლს ქადაგებითაც მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ წმინდა სინოდის ბოლო სხდომაზე საქართველოში ახალი ეპარქიების შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს, რომლებსაც შესაბამისად ახალი მღვდელმთავრები უხელმძღვანელებენ.

პატრიარქის გადაწყვეტილებით, დადგენილი შვიდი ახალი მღვდელმთავარის კურთხევა სვეტიცხოვლობის შემდეგ, სვეტიცხოველის ტაძარში ყოველ კვირას მოხდება, რადგან ტრადიცილად მღვდელმთავრების კურთხევა სვეტიცხოველში ხდება. **მედიანიუსი**

## დაკარგული გემის კაპიტნის მეუღლე საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს

ეგეოსის ზღვაში რამდენიმე დღის წინ ჩაძირული გემის კაპიტნის, ლევან თებიძის მეუღლე საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს.

ირინა ტარიელაშვილის განცხადებით, მას არ სურს იყოს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც საკუთარ მოქალაქეებზე არ ზრუნავს. გემის კაპიტნის ოჯახი აცხადებს, რომ სამძებრო სამუშაოებში საქართველო არ ჩაერთო.

,,არ მჯერა მე საბერძნეთის დასკვნის. საგარეო სამინისტრო რომ აცხადებს, თითქოსდა ჩატარდა სამაშველო სამუშაოები და ჩემს მეუღლეს დაკარგულად აცხადებენ. გემიც კი არ ყოფილა დათვალიერებული და რა ჩატარდა? იქ არის კუნძულები, არის ბევრი შანსი, მჯერა, რომ სადღაც კუნძულზეა და საქართველომ ცოცხლად ადამიანი უნდა მოკლას? არ უნდა დაიცვას? მე მრცხვენია, რომ საქართველოში ვცხოვრობ“, – აცხადებს ირინა ტარიელაშვილი და აპირებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია საელჩოებს მიაწოდოს.

ჩაძირული გემის „სტელას“ დაკარგული კაპიტნის სამძებრო-სამაშველო სამუშაოები 5 ნოემბერს შეწყდა და გემის კაპიტანი ლევან თებიძე დაკარგულად ითვლება. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინდელ განცხადებაშია აღნიშნული.

„სამძებრო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ საკონსულო სამსახური ყოველდღიურ კავშირზე იმყოფებოდა შესაბამის სტრუქტურებთან. ძიება მიმდინარეობდა პოლიციის კომპეტენციის ფარგლებში. ინფორმაცია დაკარგული ეკიპაჟის წევრის შესახებ, ასევე მიეწოდა, იახტ კლუბებს, გემებსა და საზღვაო ხომალდებს, რომლებიც შედიოდნენ და გადიოდნენ საზღვაო კატასტროფის მიმდებარე წყლებში. პირეოსის გაერთიანებული სამაშველო საკოორდინაციო ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჩაძირული გემის ,,სტელას“ დაკარგული ეკიპაჟის წევრის სამძებრო-სამაშველო სამუშაოები შეწყდა 5 ნოემბერს, 06:55 საათზე. გემის კაპიტანი – ლევან თებიძე დაკარგულად ითვლება“, – ნათქვამია განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## შალვა ნათელაშვილი დვანელებს შეხვდა



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი კონფლიქტის ზონაში, სოფელ დვანის მოსახლეობას შეხვდა. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი დვანელების პრობლემებს გაეცნო და ზამთრის დადგომამდე შეშის ვაუჩერების დარიგების აუცილებლობაზე ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, არჩევნების შედეგების მიუხედავად, ის დანაპირების შესრულებას გეგმავს.

,,ამ ზაფხულს პრემიერ ივანიშვილის მთავრობა ვაიძულეთ, რომ 200-200 ლარი გამოეყოთ შეშისთვის და დღემდე არ დარიგებულა ის ფული აქ. თვითონ პრემიერი ივანიშვილი ხუთ მილიონს ხარჯავს თავისი სასახლის გათბობის და კომუნალური ხარჯებისათვის და ხალხისთვის დღემდე 200 ლარიც არ გაიმეტა“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მედიანიუსი**

## ყვარელში ხანძარს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატანში ხანძარს უსინათლო მოხუცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ხანძარმა მჭედლიძეების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მთლიანად გაანადგურა.

გარდაცვლილია უსინათლო მამაკაცი, რომელიც ხანძრის დროს სახლში მარტო იმყოფებოდა. გამოძახების შედეგად ადგილზე იყო მობილიზებული პოლიცია, სასწრაფო და სამაშველო ბრიგადები. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევ მიზეზად შეშის ღუმელი სახელდება. **მედიანიუსი**

## ფილიპ დიმიტროვი: „ვილნიუსის სამიტი საქართველოს აძლევს შანსს, ასოცირების ხელშეკრულების ინიცირება მოახდინოს“



საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, ვილნიუსის სამიტი საქართველოს აძლევს შანსს, მოახდინოს ასოცირების ხელშეკრულების ინიცირება.

ამის შესახებ ფილიპ დიმიტროვმა საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოში, პირველ მსოფლიო ომში დაღუპულების ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ყოფნისას ჟურნალისტებს განუცხადა.

,,ყველამ იცის, რომ ეს საქართველოსთვის ძალიან სერიოზული ნაბიჯია, ინიცირებას მოჰყვება ხელმოწერა, ამას კი უკვე დოკუმენტის რატიფიცირება. ეს ნიშნავს, იმას რომ საქართველოს ცხოვრებაში დგება პერიოდი როცა ქვეყანა განსაკუთრებით მონდომებული უნდა იყოს საკუთარ მიღწევებში, რათა ევროკავშირის მოლოდინები გაამართლოს,“– განაცხადა დიმიტროვმა. **მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით უსუფაშვილი: „ღარიბაშვილი მთავარ პროკურორს ვერ დანიშნავს!“

## რას საყვედურობენ მომავალ შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს

შორენა მარსაგიშვილი

**როგორც იქნა, გაირკვა, ვინ დაიკავებს შს მინისტრის პოსტს ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ. მომავალი პრემიერის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ვერავინ გამოიცნო, თუ ვინ გახდებოდა ქვეყნის მთავარი პოლიციელი. არადა, ერთი კვირა მთელი მედია, ექსპერტები და მკითხავებიც კი გამორიცხვის მეთოდით ვცდილობდით მომავალი მინისტრის ვინაობის დადგენას.**

8 ნოემბერს ღარიბაშვილმა მომავალი მთავარი პროკურორის ვინაობა გაამხილა. ვერც ამ ამბავში გამართლდა მედიის, ექსპერტებისა და პოლიტიკოსების წინასწარმეტყველება. იმავე დღეს ღარიბაშვილმა მის შემცვლელზე პატარა მინიშნება გააკეთა. მან აღნიშნა, მომავალი შს მინისტრი ახალგაზრდა იქნებაო. თითქმის პრემიერს არ უთქვამს, მისი შემცვლელი ზოგადად ახალგაზრდა იქნებოდა თუ მასზე ახალგაზრდა.

და, აი, დადგა ნანატრი დღე. ღარიბაშვილმა მემკვიდრე დაგვისახელა. მისი შემცვლელი ახალგაზრდა კი არა, ლამის ბალღია. მომავალი შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ჯერ მხოლოდ 28 წლის არის. გარეგნულად კი წააგავს დევს, მაგრამ ამ თანამდებობისთვის ჯერ სულ მთლად ბავშვია. შედარებით ასაკოვანი ღარიბაშვილი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

– პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ლექსო გაიზარდა ღირსეული პოლიციელის ოჯახში. მას ძალიან კარგი მამა ჰყავდა. ის იყო ღირსეული პოლიციელი. ლექსომ რამდენიმე წლის წინ ჩვენს სამინისტროში დაიწყო მუშაობა. მან, პრაქტიკულად, ყველა ეტაპი გაიარა და – ძალიან წარმატებულად. ის იყო დამწყები ოპერატიული თანამშრომელი, შემდეგ გამომძიებელი დეტექტივი, შემდეგ გახდა თბილისში ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების უფროსი. ბოლოს მე დავნიშნე კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად, სადაც ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მე მინდა გავიხსენო ის კომენტარები, რომლებსაც ჩემი თანამშრომლები აკეთებდნენ ლექსოსთან დაკავშირებით, რომ მან საათივით ააწყო და გამართა სისტემა ჯერ კახეთის სამმართველოში და შემდეგ უკვე გადმოვიყვანეთ თბილისში. გაზაფხულზე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა თბილისის სამმართველო და სულ რაღაც რამდენიმე თვეში ასევე საათივით ააწყო და გამართა. მას ჰყავს ძალიან კარგი გუნდი, თავისი თანამებრძოლები, რომლებიც არიან ძალიან წარმატებული პოლიციელები. რაც მთავარია, ლექსომ აჩვენა, რომ მას შეუძლია მართვა. თბილისი ყველაზე რთული ქალაქია საქართველოში. ასე რომ, მე სრულ ნდობას ვუცხადებ ბატონ ალექსანდრეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან ეფექტური მინისტრი იქნება, – განაცხადა მემკვიდრის წარდგენისას ირაკლი ღარიბაშვილმა.

მომავალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კი მოქმედ შს მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა, თან ისეთი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა, დავით თევზაძესაც რომ შეშურდებოდა.

– ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის დაწყებული საქმე ღირსეულად გავაგრძელო, – აღნიშნა თითქმის შს მინისტრმა ჭიკაიძემ.

ალექსანდრე ჭიკაიძე 1985 წლის 6 ივნისს დაიბადა. მან 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დიპლომატიის სპეციალობით დაასრულა.



2013 წლის მარტიდან დღემდე შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო, 2012 -2013 წწ შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ჭიკაიძე გახლდათ შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი.

იგი ასევე მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში.

ჭიკაიძეს აქვს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება და ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს ფლობს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალებმა ეს გადაწყვეტილება დაიწუნეს. ზოგიერთმა ნაციონალმა ის ძალიან აქო, რამაც ხალხის შეშფოთება გამოიწვია. მავანმა ხმა გაავრცელა, ჭიკაიძე ვანო მერაბიშვილის კადრია და მისი კარიერული წინსვლა ვანოს სახელსვე უკავშირდებაო.

მავანმა სოციალურ ქსელებში ჭიკაიძის აქტივობებსაც გადაავლო თვალი. გაირკვა, რომ ხელისუფლების შეცვლამდე სააკაშვილის ფოტოებს აზიარებდა „ფეისბუქით“.

ნაციონალებმა ცოტა ხანში მისი ნათლიაც დაადგინეს. ამტკიცებდნენ, მომავალი შს მინისტრი ღარიბაშვილის სიმამრ თამაზ თამაზაშვილის ნათლულიაო. იგივე ხალხი 2008 წელს იმას ამტკიცებდა, ირაკლი ალასანია იგორ გიორგაძის ნათლულიაო. სიმართლეს არც ერთი ინფორმაცია არ შეეფერება.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად ეხმაურება დეპუტატი გოგა ხაჩიძე, რომელიც ბოლო ხანებში ქვეყნის მთავარ მედიპლომედ იქცა. მას რამდენიმე დღეა დაჩემებული აქვს, ღარიბაშვილის სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დაიდოსო.

ერი ელოდა, რომ ხაჩიძე ჭიკაიძის დიპლომსაც მოითხოვდა, მაგრამ მოლოდინმა არ გაამართლა. ფეისბუქის ლომი აშკარად მიხვდა, რომ ჭიკაიძე და ის სხვადასხვა წონითი კატეგორიები არიან.

– ამან რომ დაგარტყას, ამერიკაში გაგაფრენს, – ჩივის ახალ მინისტრზე ხაჩიძე და მისი დიპლომი საერთოდ არ აინტერესებს.

როგორც ექსპერტმა კახი კახიშვილმა განაცხადა, „შს მინისტრების დაუფიქრებელმა ცვლამ შეიძლება გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს“.

– მე ყოველთვის იმის წინააღმდეგი ვიყავი, რომ გამოუცდელი ადამიანები უმაღლეს თანამდებობებზე დაინიშნონ. მართვას სჭირდება სწავლა, ეს არის ქვეყნის ძალიან სერიოზული მეცნიერება, გარდა იმისა, რომ პროფესიული უნარჩვევები უნდა გქონდეს იმ დარგის, სადაც ხელმძღვანელად მიდიხარ, მართვის გამოცდილებაც უნდა გქონდეს, განსაკუთრებით – შს სამინიტროში, იმიტომ, რომ ისტორიამ ცხადყო, ბოლო ისტორიას ვგულისხმობ, შს მინისტრების დაუფიქრებელმა ცვლამ შეიძლება გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს როგორც სახელისუფლებო გუნდში, ისე ქვეყანაში, – განაცხადა „პირველთან“ საუბარში კახიშვილმა.

მამუკა არეშიძის თქმით კი ირაკლი ღარიბაშვილი აქცენტს შემსრულებლებზე აკეთებს.

– ირაკლი ღარიბაშვილი აქცენტს აკეთებს შემსრულებლებზე. უფრო მეტად ეს მთავარი პროკურორის დროსაც გამოჩნდა და ამ ახალგაზრდა კაცის თაობაზე, ჭიკაიძეს ვგულისხმობ, კარგია მხოლოდ ის, რომ მან საორგანიზაციო სამუშაოს კარგად გაართვა თავი, ვგულისხმობ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას. როდესაც პოლიციის უფროსის გვარი და სახელი არ იცის ქალაქის მცხოვრებმა, ეს ცუდი არ არის, ის თავისი საქმიანობით დისკომფორტს არ უქმნის საზოგადოებას, – განაცხადა არეშიძემ.

როგორი მინისტრი იქნება ალექსანდრე ჭიკაიძე, ვერ გეტყვით. ფეისბუქით კი მის მიმართ 2 პრეტენზია გამოიკვეთა – რა პატარაა და სად გაიზარდა ამხელაო. მავანმა მომავალ მინისტრს დიეტებიც კი შეურჩია. კრიმინალების პარალელურა,დ ჭიკაიძეს კალორიებთანაც მოუწევს ბრძოლა.

ახალი მინისტრთა კაბინეტი პარლამენტმა სულ მალე უნდა დაამტკიცოს. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შესაძლოა საპარლამენტო უმრავლესობას რამდენიმე მინისტრის მიმართ პრეტენზიები ჰქონდეს.

ჭორები პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას მოჰყვა. იმ დღეს, როცა ღარიბაშვილმა მომავალი გენპროკურორის ვინაობა გაამხილა, უსუფაშვილი ბალტიისპირეთში იმყოფებოდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ჟურნალისტების მიწოდებულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა მინისტრისა და მომავალი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავარი პროკურორის კანდიდატურის გაცხადების შესახებ არ ენდობა.

– თქვენ რასაც მეუბნებით, ასე რომ გაიგეთ, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ დღეს შს მინისტრი ვერანაირ მთავარ პროკურორს ვერ დანიშნავდა. არასწორი ინფორმაცია გაქვთ და გადაამოწმეთ. შს მინისტრი ვერც მთავარ პროკურორსა და ვერც პროკურორს ვერ დანიშნავს, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, რესპუბლიკელებს ღარიბაშვილი გულზე დიდად არ ეხატებათ და შესაძლოა რაიმე ახალი შარიც აუტეხონ. ეს, ალბათ, იმაზეც იქნება დამოკიდებული, რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს მომავალი პრემიერი. ვიღაცებს, ალბათ, კიდევ შეცვლის. ამ ეტაპზე შეცვლის კანდიდატი არ გახლავთ ირაკლი ალასანია. მომავალმა პრემიერმა თავად თქვა, რომ ალასანია და თეა წულუკიანი პოსტებს შეინარჩუნებენ.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, მას შემდეგ, რაც პარლამენტი ახალ პრემიერ-მინისტრს დაამტკიცებს, მინისტრთა კაბინეტში ძირეული ცვლილებები არ იგეგმება.



მისი თქმით, ის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ისევ დარჩება. ალასანიამ ჟურნალისტებთან საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრობის ახალი კანდიდატის ალექსანდრე ჭიკაიძის შესახებაც გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ მის შესახებ მხოლოდ კარგი სმენია.

– შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე შერჩეულ კანდიდატს ჩვენ მხოლოდ მხარს დავუჭერთ. მასზე ირაკლისგან მხოლოდ კარგი მსმენია. რაც შეეხება ცვლილებებს, მინისტრთა კაბინეტში არანაირი პრინციპული ცვლილება არ იგეგმება და ჩვენ ერთიან გუნდთან ერთად გავაგრძელებთ იმ საქმიანობას, რომელიც 1 წლის წინ დავიწყეთ, – განაცხადა ალასანიამ.

აღმასრულებელი ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა ალექსანდრე ჭიკაიძის კანდიდატურას დადებითად აფასებს და მიზეზად დანაშაულის გახსნის სტატისტიკა მოჰყავს. მის საქმიანობას უკავშირებენ კრიმინალური ავტორიტეტის გიორგი ჯოხაძისა და ქურდული სამყაროს წევრების დაკავებას.

– მას ძალიან კარგად იცნობს მომავალი პრემიერ-მინისტრი. როდესაც ვსაუბრობთ წარმატებულ რეფორმასა და იმ შედეგებზე, რომელიც განხორციელდა შს სამინისტროს მუშაობით, ეს შედეგები ნაწილდება სწორედ ამ ადამიანზეც. მან შეძლო, ქალაქში ყოფილიყო კარგი ვითარება, ძალიან დაბალია დანაშაულის ჩადენის რაოდენობა და გაორმაგებულია დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი, – განაცხადა დეპუტატმა ეკა ბესელიამ.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის თქმით, ჭიკაიძემ თავი კანონიერ ქურდებთან ბრძოლით გამოიჩინა.

– ალექსანდრე ჭიკაიძის ხელმძღვანელობით გაიხსნა ჯოხაძეების, ასევე სხვა კანონიერი ქურდების საქმეები, – ამბობს სესიაშვილი.

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი იმედოვნებს, რომ ჭიკაიძე კარგი შს მინისტრი იქნება.

– ალექსანდრე ჭიკაიძემ ამ ერთი წლის განმავლობაში, ახალ გუნდთან ერთად შეძლო თითქმის შეუძლებელი. თბილისში, პრაქტიკულად, მკვეთრად იკლო დანაშაულის რიცხვმა და მკვეთრად იმატა გახსნის მაჩვენებელმა. მაშინ, როცა თავდაპირველად კრიმინალური სამყაროს მხრიდან იყო მცდელობა სიტუაციის არევისა, ჭიკაიძემ შეძლო ვითარების დაწყნარება. მოხარული ვარ, რომ ამ პოსტს გაუძღვება ასეთი ნებისყოფიანი ადამიანი, – ამბობს სუბარი.

რა სასწაულებს მოახდენს 28 წლის მინისტრი, ამას მალე ვნახავთ. მანამდე კი შესაძლოა ღარიბაშვილმა კიდევ რაიმე საკადრო სიურპრიზი მოგვიწყოს. იმედია, ჭიკაიძეზე ახალგაზრდას არ ჩააბარებს რომელიმე სამინისტროს.

# რატომ აღმართეს პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე გულებიანი დროშა

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალებმა თავიანთი ქმედებებით ქვეყანა მრავალგზის გააოცეს და გააოგნეს. მათგან უკვე აღარაფერი გვიკვირს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ახერხებენ ჩვენს გაოგნებასა და გაკვირვებას.**

პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე, წესისა და რიგის მიხედვით, სახელმწიფო დროშა უნდა ფრიალებდეს. მიმდინარე წლის 9 ნოემბრამდე რეზიდენციის თავზე სწორედ ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებდა, 9 ნოემბერს კი იქ ნაციონალების პარტიული დროშა ააფრიალეს.

ნაციონალებმა სახელმწიფო დროშა 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ შეცვალეს. ქვეყნის სიმბოლოდ თავიანთი პარტიული დროშა აქციეს. ამ შემოდგომაზე კი პარტიული დროშა გამოიცვალეს. სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ნაციონალების პარტიულ დროშად 4-გულიანი ალამი აკურთხეს.

9 ნოემბერს სწორედ ეს 4-გულიანი დროშა ააფრიალეს პრეზიდენტის რეზიდენციაზე, რასაც საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა ავლაბრის რეზიდენციაზე გულის გამოსახულებიანი დროშის აღმართვა წმინდა ტექნიკური მიზეზებით ახსნა. მისი განმარტებით, აღნიშნული ფაქტი მხოლოდ კლიპის გადაღებას უკავშირდებოდა.

ეს „წმინდა ტექნიკური მიზეზი“ მშობლიურმა მთავრობამ სხვანაირად შეაფასა. მათ საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს. მთავრობის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, რეზიდენციის შენობაზე სხვა დროშის აღმართვა კანონის უხეში დარღვევაა.

– რამდენიმე საათია, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე საქართველოს სახელმწიფო დროშის ნაცვლად სხვა დროშაა აღმართული. საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით



დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო დროშა არის საქართველოს სახელმწიფო დროშის ერთადერთი ვარიანტი, აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო დროშად სხვა დროშის გამოყენება. ამავე კანონით დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე. საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების დადგენილი წესის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე სხვა დროშის აღმართვა კანონის უხეში დარღვევაა და დაუშვებელია ქვეყნის სიმბოლოების მიმართ აგდებული დამოკიდებულება ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან. მივმართავთ პრეზიდენტ სააკაშვილს, დაიცვას კანონი და დაუყოვნებლივ აღმართოს საქართველოს სახელმწიფო დროშა პრეზიდენტის რეზიდენციის შენობის თავზე, – ნათქვამია 9 ნოემბერს მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გულებიანი დროშა გუშინ შუადღისას შეცვალეს და პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე ისევ სახელმწიფო დროშა ააფრიალეს. მანამდე კი მიხეილ სააკაშვილმა განცხადება გაავრცელა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „მთავრობამ სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა“

გულიკო ბალაძე

**„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ირწმუნება, რომ მთავრობამ „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ კანონპროექტი დაიწუნა და სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა.**

გუშინ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ, უფლებადამცველმა გელა ნიკოლაიშვილმა და ადვოკატთა ასოციაციის წევრმა ზურაბ ბელთაძემ პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ მთავრობამ „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ შესახებ კანონპროექტი დაბლოკა.

დღეს მრავალი ათასი ადამიანი ელოდება „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას, რომ მათი საქმეების გადახედვა მოხდეს.

არსებული კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, უკანონოდ გასამართლებულ პირთა საქმეები გადაიხედოს. სწორედ ამიტომ, იუსტიციის სამინისტროს, ექსპერტების, ადვოკატთა კორპუსის მიერ შეიქმნა კანონპროექტი, რომელიც გასულ კვირას საქართველოს მთავრობაში გადაიგზავნა, რათა მთავრობას მისი პარლამენტში ინიცირება მოეხდინა.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წინა კვირაში საქართველოს მთავრობამ „საქართველოს მთავრობამ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ“ კანონპროექტი დაიწუნა. მის პარლამენტში განსახილველად გადაგზავნაზე უარი თქვა. ფაქტობრივად, ეს კანონპროექტი არის დაბლოკილი. ეს არის დიდი იმედგაცრუება არა მარტო უსამართლოდ გასამართლებულებისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, რადგან ამით მთავრობამ ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, უარი თქვა სამართლიანობის აღდგენაზე, არადა, არჩევნების წინ იუსტიციის მინისტრი და კოალიციის წევრები ვარაუდობდნენ, რომ კანონპროექტი წლის ბოლოს, ან მომავალი წლის დასაწყისში მაინც იქნებოდა მიღებული. დღეისათვის კი, საერთოდ, გაურკვეველია, ამოქმედდება თუ არა „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია“, – განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა სწორედ ამ კანონს უკავშირდება.

– იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად შეუძლებელია იმ საქმეების გადახედვა, რომლებზეც გამოტანილია უკანონო გადაწყვეტილებები საპროცესო შეთანხმებებისა თუ სხვა სახით. გამოტანილია გადაწყვეტილებები, სადაც იკვეთება საგამოძიებო სტრუქტურებისა და სასამართლოს დარღვევები. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია ამ კანონპროექტის დაბლოკვა. როდესაც არჩევნების წინ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და კოალიციის წევრები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი მიღებული იქნებოდა წლის ბოლოს ან 2014 წლის დასაწყისში, დღეს ჩვენ ვგებულობთ, რომ, საერთოდ, კანონპროექტის ამოქმედების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან მთავრობა უარს ამბობს ამ კანონპროექტის მიღებაზე. ჩვენ ვიცით, მთავრობაში ვინ იყო ცალსახად ამის აქტიური მოწინააღმდეგე, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.



ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, თუ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია ამოქმედდება, ძალიან ბევრ ადამიანს უნდა დაუბრუნდეს წართმეული ქონება.

– საქმეების გადახედვის შემთხვევაში, თუკი გამართლდება ადამიანი, მას უნდა მიეცეს კომპენსაცია, რომელიც საერთო ჯამში, როგორც ექსპერტებმა დათვალეს, დაახლოებით 7 მილიარდ დოლლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ცდილობს, ეს ვალდებულება არ აიღოს, მაგრამ ქართველი ხალხის მიმართ დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა და ამ კანონპროექტის მიღება. ამიტომ ვართ ჩვენ შეშფოთებულები. თუკი ეს კანონპროექტი მომავალ წელსაც დაიბლოკება, ჩვენ უკვე სხვა ზომებს მივმართავთ. იმედი გვაქვს, დროებით ითქვა უარი ამ კანონპროექტის განხილვასა და მის ინიცირებაზე პარლამენტში.

უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილის თქმით, ამ კანონპროექტზე უარის თქმით, ხელისუფლება გვეუბნება, რომ სადისტური რეჟიმის პირობებშია დაკანონებული, მაგრამ ხელი უნდა აიღოთ ყოველგვარ იმედზე.

– აღნიშნული კანონის არმიღება ძალიან მწვავე რეაქციას გამოიწვევს პატიმრებში, მათი ოჯახის წევრებში, საერთოდ, საზოგადოებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის დანაშაული, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამართლებრივი გზითაა მომხდარი და გაპრავებული, ისევე დატოვა ახალმა ხელისუფლებამ. ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება. იმედს გამოვთქვამ, აღნიშნული კანონპროექტი ამ ეტაპზე დაიწუნეს. მთავრობის სხდომაზე თქმულა, ახლა, ამ ეტაპზე არაო. იმედი მაქვს, მომავალ თვეში თუ მომავალი წლიდან სახეცვილი ვარიანტი გადაიგზავნება პარლამენტში, რადგან ეს უკავშირდება ძალიან ბევრი ადამიანის იმედს, რომ ისინი აღიდგენენ თავიანთ უსამართლოდ დაკარგულ უფლებებს.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, მათი მთავარი მოთხოვნაა, „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ შესახებ კანონის მიღება.

– ისინი ამბობდნენ, რომ კოაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულდებოდა. ამ კანონპროექტს უკავშირდება, როგორც სამართლიანობის აღდგენა, ისე კოაბიტაციის დასრულება. რეალურად, ჩვენ ვღებულობთ სურათს, რომ დღესდღეისობით მთავრობა აცხადებს, საერთოდ, არ გვინდა ეს კანონპროექტიო. ჩვენ კიდევ არ ვჭრით ყველა დამაკავშირებელ თოკს და ვვარაუდობთ, რომ ეს არის დროებით ნათქვამი უარი ამ კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებაზე, მაგრამ მთავრობიდან ისეთი ხმები გამოდის, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიღებას, საერთოდ, არ აპირებენ. ამბობენ, ამ კანონს საერთოდ არ მივიღებთო.

ადვოკატთა ასოციაციის წევრ ზურაბ ბელთაძის თქმით, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროში შესულია ათიათასობით განცხადება.

– ყველა მოქალაქეს, რომელმაც განცხადება შეიტანა პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროში განაჩენების გადასინჯვას მოთხოვნით, მოუვიდა პასუხი, რომ, ჯერჯერობით, აღნიშნული კანონი არ შექმნილა და დაელოდონ ამ კომისიას. ჩვენ ამ კომისიას მოთმინებით ველოდებით. საქმეები არ ეხება მხოლოდ ფინანსურ პრობლემებს და თანხების დაბრუნებას. ხალხი ციხეში ზის იმის გამო, რომ შავით თეთრზე დაწერილი უკანონო განაჩენები არსებობს და არავინაა პატრონი, რომ გადახედონ. წარმოიდგინეთ, რა ძნელია ამ ადამიანების ყოფა, როცა სრულიად უდანაშაულოდ იმყოფებიან ციხეში. ადამიანები წლების განმავლობაში გადახვეწილნი არიან ქვეყნიდან. არის კატეგორია საქმეებისა, რომლებიც, საერთოდ, არ მოითხოვს ღრმა სამართლებრივ ანალიზს. იმედს გამოვთქვამთ, უარი დროებით ითქვა. ეს არის დასრულებული საქმეები, რომლის გადახედვის ერთადერთი მექანიზმი მხოლოდ და მხოლოდ ეს კანონპროექტია. თუ სახელმწიფოს ნება არ იქნება და აღნიშნული კანონპროექტი არ მიიღება, რომ ამ დაარქივებული საქმეების შესწავლა და გადასინჯვა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებას მოუწევს დააკანონოს ის უკანონობა, რაც 9 წელი გროვდებოდა, – განაცხადა ზურაბ ბელთაძემ.

– რა შეიძლებოდა გამხდარიყო „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ შესახებ კანონპროექტის დაბლოკვის მიზეზი?

**გელა ნიკოლაიშვილი:**

– პრობლემა ძალოვან სტრუქტურებშია. ძალოვანი სრტუქტურები დღესაც წინააღმდეგი არიან ამ კანონის. მისი მიღების შემთხვევაში, ბევრი გამართლდება. მატერიალური და ფინანსური საკითხებიცაა, რადგან სახელმწიფოს ანაზღაურება მოუწევს. სახელმწიფო ადამიანებისაგან შედგება. მათ თითოეული ადამიანის ბედზე უნდა იფიქრონ და არა ზოგადად. ისინი იმიტომ არიან, რომ აღნიშნული სიტუაციები მოაგვარონ სამართლიანობის აღდგენის ინტერესებიდან გამომდინარე. მთავარი ეს არის?

***– კონკრეტულად, ვინ იყო წინააღმდეგი?***

– შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ძირითადად წინააღმდეგი იყო შს სამინისტრო და დღესაც წინააღმდეგია. იმედი მაქვს, მაშინ ვიწრო ინტერესებიდან გამოდიოდა ღარიბაშვილი, როდესაც ამტკიცებდა, რომ კრიმინოგენური ვითარება გამწვავდებოდა. ღარიბაშვილი მაშინ ამნისტიის წინააღმდეგი იყო, მაგრამ იმ დროს ის შს მინისტრი გახლდათ. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრის სავარძლიდან უფრო მასშტაბურად შეხედავს ამ პრობლემას და აღარ იქნება წინააღმდეგი.

**ნიკოლოზ მჟავანაძის** განცხადებით, მათი მთავარი მოთხოვნაა, „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ შესახებ კანონის მიღება.

***–წინასწარ დარწმუნებული არიან, რომ ყველა საქმე ექვემდებარება გადასინჯვას?***

– ათი პროცენტიც რომ ექვემდებარებოდეს, ისიც დიდი თავსატეხია, რადგან საბოლოო განაჩენებია, საქმეს ყველა ინსტანცია აქვს გავლილი

***– ამ კომისიას თუ არ შექმნიან და საქმეებს არ გადასინჯავენ, უფრო დიდი თავსატეხი არ იქნება?***

– რა თქმა უნდა, უფრო დიდი თავსატეხი იქნება. ამაში ისინი ჩვენ უნდა დავარწმუნოთ.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– აღნიშნული კანონპროექტის მიღებაზე უარის თქმის მიზეზია დიდი თანხები. 7 მილიარდ დოლარზეა საუბარი. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეასრულოს თავისი დანაპირები, რადგან ისინი ამბობდნენ, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებდა. თუკი ისინი თავიანთ ვალდებულებებს არ შეასრულებენ, ჩვენ, არასამთავრობო კორპუსი, ექსპერტები პროტესტის სხვა ზომებს მივმართავთ – გამოვალთ ქუჩაში და, რეალურად, დავიწყებთ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც უკანონოდ არიან გასამართლებულები. ასეთია ათასობით ადამიანი. მხოლოდ პრესკონფერენციებითა და ბრიფინგებით არ შემოვიფარგლებით. არავის ეგონოს, რომ ჩვენ ახლა ვიტყვით და ამით დამთავრდება ყველაფერი. ასე არ იქნება. 7 მილიარდი მათი დათვლილია, რეალურად, 7 მილიარდზე მეტი თანხაა, რაც რეალურად უნდა იქნეს გასტუმრებული დავალიანებების გამო, უკანონოდ გასამართლებული, ქონებაწართმეული.

***– თანხა მთლიანად ბიუჯეტმა უნდა აანაზღაუროს? ქონება ვინც წაართვა, მას არაფერი დაეკისრება?***

– შესაძლებელია გამოიკვეთოს დამნაშავეთა ვინაობა და არა მხოლოდ ბიუჯეტს, არამედ პიროვნებებსაც დაეკისროთ თანხის გადახდა. დღევანდელ მთავრობაში გრძელდება ტრადიცია. ვთქვათ, კანონპროექტი ვიღაცამ დაბლოკა, არ არის პიროვნება, რომელიც წინ აღუდგება მთავრობის ზოგიერთი წევრის არასწორ გადაწყვეტილებას. თუკი ხედავს, რომ არასამართლებრივ გადაწყვეტილებას ღებულობენ. პროტესტი ხომ უნდა გამოთქვას. დღეს მთავრობა ცხვრების ფარასავითაა. სამწუხაროდ, რაც იყო წლებში, როცა სააკაშვილი იტყოდა და წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავდა, ასეა ახლაც.

***– თუკი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შესახებ კანონი მიიღება და საქმეები გადაისინჯება, ხომ არ მივალთ სისტემური დანაშაულის აღიარებაზე და ხომ არ დაისმება სისტემის შემქმნელი პიროვნებების პასუხისმგებლობამდე? ესეც ხომ არ არის კანონის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი?***

– რა თქმა უნდა, მარტო ფინანსური პრობლემა არ არის. საქმეები რომ გადაიხედება ბევრი მაღალჩინოსნის, ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება. იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება, ვისზეც ამერიკა და ევროპა გვიკიჟინებს, ხელი არ ახლოთო და პოლიტპატიმრებად ნათლავს, მაგრამ ქართველი ხალხი ამას ვერ შეეგუება იმიტომ, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს. დღეს იმ საქმეების გადახედვის ერთადერთი მექანიზმია კანონის მიღება. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ქართველმა ხალხმა სამართლიანობა მოიპოვოს

***– ამდენი უსამართლოდ დასჯილი ადამიანია და თუ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენები გადაიხედება და აშკარა იქნება უსამართლობა, უზენაესი სასამართლოსა და მთელი მოსამართლეთა კორპუსის პასუხისმგებლობის საკითხიც არ არის?***

– დიახ, ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება, ვისი ბრალეულობაც გამოიკვეთება. ამიტომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას აუტკივარი თავის ატკივება არ უნდა. ჩვენ გვითხრეს, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა და სამართლინობის აღდგენა დაიწყებოდა. თანაც ამ კანონპროექტმა საკმაოდ დიდი ფილტრაცია გაიარა. ვენეციის კომისიამ, ექსპერტებმა, ადვოკატებმა დადებითი დასკვნა მისცეს. გაუგებარია, მთავრობა რატომ აცხადებს უარს ამ კანონპროექტის ამოქმედებაზე.

## ლაშა თორდია თანამდებობიდან შესაძლო წასვლის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს

როგორც აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს განუცხადა, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ის აღნიშნული თანამდებობის დატოვებას გეგმავს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

„ვრჩები იმ პოზიციაზე, რომელზეც ვიმყოფები და ჩემი სამსახური აგრძელებს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას“, – განაცხადა თორდიამ.

ის ასევე არ ადასტურებს ინფორმაციას მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით.

„მსგავსი ჭორები, რომელიც წინა კვირას გავრცელდა, სინამდვილეს არ შეესაბამება“, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, მთავარ აუდიტორად მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის დანიშვნა იგეგმება, თუმცა აღნიშნული თავად კბილაშვილმაც უარყო. **პირველი**

## დავით საგანელიძე კოალიციის დაშლას პროგნოზირებს



როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ტელეკომპანია „აჭარის“ ეთერში განაცხადა, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ოდესმე საკუთარ საქმიანობას დამოუკიდებლად გააგრძელებენ, თუმცა მათ ერთად ყოფნის ვალდებულება ოთხი წლის განმავლობაში აიღეს.

„ჩვენ შიგნით ნამდვილად არავითარი პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ როდისმე ეს პრობლემები დადგება, იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რა თქმა უნდა, კოალიცია ოდესმე დაიშლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ოთხი წლის განმავლობაში ანუ კიდევ სამი წელი, სანამ შემდგომი საპარლამენტო არჩევნები მოვა. ადგილობრივ არჩევნებზე ჩვენ აუცილებლად ერთად გამოვალთ“, – განაცხადა დავით საგანელიძემ.

**პირველი**

## კახა კალაძე ერთი წლის მუშაობას შეაჯამებს



ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი მინისტრი ერთწლიანი მუშაობის შედეგებს წარადგენს და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ ისაუბრებს. ღონისძიებას მინისტრთა კაბინეტის წევრები, სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ენერგოსექტორში მომუშავე ინვესტორები და ექსპერტები დაესწრებიან.

**პირველი**

## რატომ აღმართეს პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე გულებიანი დროშა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ცოტა ზედმეტი ხომ არ მოსდით მთავრობაში დაბრუნებულ შევარდნაძის მთავრობის თანამდებობის პირებს, როცა ჩემგან იცავენ იმ დროშას, რომლის გამოყენებაზე არაერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ჩემ წინააღმდეგ მაშინ, როცა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. გუმბათიდან რამდენიმე საათით დროშის ჩამოხსნაზე დარდს გამოხატავს ის მთავრობა, რომელიც გეგმავს, რამდენიმე დღეში სამუდამოდ დაუკარგოს ამ სასახლეს სახელმწიფო დაწესებულების სტატუსი. მთელი ეს წლები გულზე მიბნეულს ვატარებ ხუთჯვრიან დროშას, რომელიც დღევანდელი მთავრობის არც ხელმძღვანელის, არც სხვა რომელიმე მინისტრის პიჯაკზე არასდროს დამინახავს.

არავინ ისე არ ამაყობს ამ დროშით, როგორც მე, რადგან, როცა შემომქონდა, მაშინაც მამოძრავებდა და ახლაც მამოძრავებს რწმენა, რომ ეს დროშა ყველაზე ზუსტად გამოხატავს ჩვენს ღირებულებებს და, ამასთან, საუკეთესოა მსოფლიოს სახელმწიფოთა დროშებს შორის, – ნათქვამია ჯერაც კიდევ პრეზიდენტის განცხადებაში.

სააკაშვილი და ნაციონალები სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფას მიჩვეული არიან. ვარდების რევოლუციის დღეს პარლამენტში შემოვარდნილმა ნაცაქტივისტებმა სახელმწიფო დროშა ჩამოხიეს და მის ადგილას პარტიული დროშა აღმართეს, რამდენიმე კვირაში კი ეს დროშა სახელმწიფო დროშად გამოაცხადეს.

სააკაშვილსა და ნაციონალებს ხშირად უყვართ ამერიკისა და ევროპის მაგალითების მოყვანა. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა იქ, სახელმწიფო დაწესებულებაზე რომელიმე პარტიის ალამი რომ აღემართათ.

ჩვენთან სახელმწიფო ჯერ ისევ მამა-პაპის დატოვებული სახლ-კარი ჰგონიათ, სახელმწიფო დროშა კი – ჩვეულებრივი ნივთი, რომელსაც განწყობის მიხედვით ცვლიან.

# პოლიტიკურ ძალთა ბალანსის მოსალოდნელი ტრანსფორმაცია

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ფონზე, რაც უპირველეს ყოვლისა დიქტატისა და ტერორის გაქრობაში გამოიხატა, უკვე აშკარაა, რომ არსებული პოლიტიკური ბალანსი ახლო მომავალში შეიცვლება და იმ კანონს დაექვემდებარება, რაც ჩვეულებრივ დემოკრატიულ ქვეყნებშია გავრცელებული და რომლის თანახმადაც, საზოგადოება საკუთარ სიმპათიას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, ყოველგვარი ზეწოლისა და შიშის გარეშე აფიქსირებს.

როგორც აღვნიშნეთ, ამის ნიშნები უკვე არის და საქმე ისე მიდის, რომ პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ტრანსფორმაცია უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, რაც როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული.

აღნიშნული ტრანსფორმაცია პირველ რიგში საზოგადოების დაკვეთაა, რადგან მოსახლეობაში ძალიან გაიზარდა იმ კატეგორიის ადამიანების რიცხვი, რომლებიც „ქართული ოცნების" საქმიანობით უკმაყოფილოები არიან, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის" გაგონებაც არ უნდათ.

აღნიშნული კატეგორიის ზრდა, თუნდაც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაადასტურა, რადგან აქტივობის მხრივ, ის გასული წლის საპარლამენტო არჩევნებთან ახლოსაც კი ვერ მივა.

ამომრჩეველთა დაახლოებით 15 პროცენტი, რომელიც 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, არ მივიდა, სწორედ ის კატეგორიაა, რომლებიც მხარს „ქართულ ოცნებას" უჭერდნენ, გასული 1 წელიწადი კი საკმარისი აღმოჩნდა კოალიციას მათი მხარდაჭერა დაეკარგა, თუმცა საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ საზოგადოების ამ ნაწილს გადაწყვეტილება მიეღო და ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათია გამოეხატა.

საფუძველსმოკლებული ნამდვილად არაა ვარაუდი იმის შესახებაც, რომ „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის მეორე ადგილზე გაყვანა, სწორედ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" უზრუნველყო, რადგან ამით მან ორი კურდღელი დაიჭირა.

პირველი – დასავლეთს ამ ჟესტით კოჰაბიტაციისადმი მათი უსაზღვრო ერთგულება და „კონსტრუქციულობა" დაანახა, ხოლო მეორე, – „მთავარ ოპოზიციურ ძალად" მიიღო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც საზოგადოებაში არანაირი მხარდაჭერა აღარ გააჩნია და მათი ლიდერების აბსოლუტურ უმრავლესობას მინიმუმ სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაული მაინც აქვთ ჩადენილი. რა თქმა უნდა ასეთი ოპოზიციის ყოლა გაცილებით უფრო კომფორტულია.

სწორედ კოჰაბიტაციური რეჟიმის დამსახურებაა ის, რომ საზოგადოებაში უკვე მესამე პოლიტიკური ძალის მოთხოვნა გაჩნდა და ეს ფაქტი, როგორც აღვნიშნეთ საპრეზიდენტო არჩევნებმა თვალნათლივ დაადასტურა.

საზოგადოების იმ ნაწილის რაოდენობა, რომლებიც მესამე პოლიტიკური ძალის არსებობას ითხოვენ, უფრო და უფრო იზრდება და ეს ტენდენცია სავარაუდოდ მომავალშიც გაგრძელდება, რადგან კოჰაბიტაციის რეალურ დასრულებას, რასაც მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ჰპირდებოდა საზოგადოებას სახელისუფლებო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, – ჯერჯერობით პირი ნამდვილად არ უჩანს.

უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მიმდინარე გახმაურებულმა სასამართლო პროცესებმა, კონკრეტულად კი ბაჩო ახალაიას საქმემ, ე.წ. კოჰაბიტაცია ახალ სიმაღლეზე აიყვანა და მას საბოლოოდ ალბათ, მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ვაშლის უკანონოდ გათლის ბრალდება დარჩება, რაც ალბათ არც თუ ისე ხანგრძლივ სასჯელს გულისხმობს.

თუნდაც მხოლოდ ამ სასამართლო პროცესმა, მითი იმის შესახებ, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდებოდა, – დაამსხვრია და სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოების განწყობაზე კიდევ უფრო ნეგატიურად იმოქმედა.

სწორედ ესაა ის ფაქტორები, რის გამოც ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ახალი, სერიოზული მოთამაშისთვის საკმაოდ დიდი ნიშა გამოთავისუფლდა, რომლის დაკავების შემთხვევაშიც, ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, ხალხის დიდი ნაწილის თითქმის უპირობო მხარდაჭერას მიიღებს.

ამ კუთხით, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ლიდერი პოლიტიკური ძალა და პოლიტიკოსი 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგად უკვე გამოიკვეთა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე და მისი პოლიტიკური პარტია, ასევე „სახალხო კრება" და მისი აღმასრულებელი საბჭოს წევრები არიან.

მიუხედავად წლების განმავლობაში წარმოებული იმ ანტიპიარისა და პოლიტიკური წნეხისა, რაც ბურჯანაძის მხარდამჭერების დაშინებაში, ტერორში და მასობრივ დაპატიმრებებში გამოიხატებოდა, შედეგი, რომელიც მან საპრეზიდენტო არჩევნებზე აჩვენა, შეიძლება ითქვას, რომ მართლაც სარეკორდოა.

ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ნინო ბურჯანაძეს ნამდვილად არათანაბარ პირობებში უწევდა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება, რაც თუნდაც კანდიდატებს შორის ფინანსური კუთხით არსებულ დისბალანსში გამოიხატება.

მაშ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბურჯანაძემ არჩევნებში ასეთი შედეგი აჩვენა? ვფიქრობთ მიზეზი იყო ის წინასაარჩევნო პროგრამა და ის მესიჯები, რომელიც მან საზოგადოებას გაუგზავნა და რომელიც ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოების დაკვეთას პასუხობდა. ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საზოგადოების მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის რეალური აღდგენაა და არა ერთი-ორი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება, რომელთა შეწყალებასაც საზოგადოება დღე-დღეზე ელის და გაუგებარი კოჰაბიტაციის პროცესით დაღლილებს არც ის გაუკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი ციხიდან უცოდველი გმირების სტატუსით გამოვლენ.

კოჰაბიტაციური პოლიტიკის გაგრძელება აუცილებლად იქონიებს გავლენას მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 2014 წლის მაისში და საზოგადოება სავარაუდოდ აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგებს იხილავს, ვიდრე ეს 27 ოქტომბერს მოხდა.

განსხვავება კი იმ პოლიტიკური ძალის მაღალი რეიტინ-

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ჯონდი ბაღათურია: „კბილაშვილი კი არ გადადგა, გადააყენეს"

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ „ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

***– ამ მოკლე ხანში საკმაოდ ბევრი საკადრო ცვლილება განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. როგორია თქვენი შეფასებები განვითარებულ პროცესებზე?***

– მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის რეალური ცვლილებები. ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი, ისე როგორც პარლამენტი და მთავრობა, არის ივანიშვილის ხათრით არჩეული და ის არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. შესაბამისად, გაზაფხულამდე მაინც შინაარსობრივად, რაშიც ვგულისხმობ მოქმედების სტრატეგიას, ჩვენი მთავრობა და პარლამენტი მაინც იგივე დარჩება, როგორიც იყო. თუმცა გაზაფხულზე შესაძლოა არსებული უკმაყოფილების ფონზე ყველამ სცადოს თავისი თამაშის წამოწყება და გამიჯვნა იმ წარუმატებლობისაგან, რომელიც მოსალოდნელია, რომ იყოს გაზაფხულზე. მე ნამდვილად არ მინდა, რომ ეს მთავრობა იყოს წარუმატებელი. ირაკლი ღარიბაშვილი გამოცხადდა პრემიერ-მინისტრად და მე მას გულწრფელად მივულოცე და ვუსურვე წარმატება. პირველ რიგში კი წარმატება ვუსურვე ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს, რომელსაც ძალიან უჭირს. ახალგაზრდა კაცია ჩვენი პრემიერი, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და მინდა, რომ იყოს წარმატებული. ისე, მაინცდამაინც ოპტიმისტურად განწყობილი არა ვარ. პრაქტიკულად გუნდი არ არსებობს. ის არის რაღაც ივანიშვილის მიზიდულობის ძალით შეკოწიწებული უმრავლესობა, პარლამენტშიც და მთავრობაშიც და შესაბამისად მე არა მგონია, ასეთმა ჭრელმა კონგლომერატმა შეძლოს რაიმე თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება ქვეყანაში.

***– საკუთარ გუნდშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ღარიბაშვილსო და თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის თაობაზე?***

– მე ბევრი რამე მსმენია, მაგრამ გუნდის შიდა პრობლემებზე ჭორაობა არ მინდა, რომ გამომივიდეს... ამაში ეჭვიც არ უნდა შეგეპაროთ, რომ კოალიციის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ის მიუღებელი იქნება და მისი დანიშვნა, ეს არის ივანიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია, რომ ეს ასე იქნებოდა. ივანიშვილიც არ იყო კოალიციის ბევრი წევრისთვის მისაღები. მათ თავიანთი თავი წარმოუდგენიათ ნომერ პირველად და მიაჩნიათ, რომ დაუმსახურებლად არ იყო აქამდე უმრავლესობაში. ის ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ივანიშვილის დამსახურებით მოხვდნენ პარლამენტში და რომ ბევრი მათგანი ნაგვის ყუთიდან ამოიღო ივანიშვილმა. როგორც წესი, ამას პოლიტიკა არ პატიობს, მაგრამ მე არ მინდა ამ თემებზე დიდად ყურადღების გამახვილება. ახლა მთავარი არის ის, რომ ჩვენ ძალიან ცოტა დრო და ცოტა ლიმიტი გვაქვს, იმისათვის, რომ სახელმწიფოს ერთიანობა და ხალხის სოციალური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ და ერთიანობა შევინარჩუნოთ. ამიტომ ახლა, ეს ინტრიგა ჩემთვის საინტერესო არ არის. ახლა მთავარი არის ის, რომ ამ მთავრობას როგორმე ხელი შეეწყოს მუშაობაში. როგორღაც ამ მთავრობამ შეძლოს პროგრამა მინიმუმების შესრულება მაინც. ჩვენ გვინდა, რომ შევთავაზოთ მთავრობას რამდენიმე მასშტაბური პროექტი. მათ შორის სოციალური პროექტებიც, როგორიც არის საპენსიო რეფორმა, სოციალური რეფორმები... კიდევ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვმუშაობთ და გვინდა, რომ როგორღაც მთავრობა წამოვიყვანოთ ამ თანამშრომლობაზე. თუ წამოვიდა, ეს ცუდი არ იქნება და თუ არ წამოვიდნენ, რას ვიზამთ, ეს მათი არჩევანია.

***– ჩვენ გვესმოდა მარგველაშვილის ხმამაღალი განცხადებები მთელი წინასაარჩევნო პერიოდი, რომ 27-28-ში კოაბიტაცია დასრულდებოდა... რომ არ დასრულებულა, ფაქტია, მაგრამ რაში გადაიზარდა ეს ყველაფერი?***

– გეთანხმებით, რომ არ დასრულებულა და დიდი ჭკუაც არ უნდოდა იმას, რომ მარგველაშვილის შემთხვევაში კოაბიტაცია განახლდებოდა. თუ დამარცხდებოდა მარგველაშვილი, მაშინ პარლამენტი და მთავრობა მიხვდებოდა, რომ უსამართლო თანამშრომლობა იყო კრიმინალურ რეჟიმთან და შესაძლოა მიმხვდარიყვნენ, რომ ნაციონალებთან მეგობრობა მათთვის ხეირის მომტანი არ არის. საერთოდ საარჩევნო კამპანიას ხმამაღალი განცხადებები ახასიათებს და ტყუილიც რომ ახასიათებს, ესეც ბევრჯერ ვნახეთ. თუმცა ჩვენმა საზოგადოებამ არცერთხელ არ აჩვენა ხელისუფლებას, რომ ის ამას არ იმსახურებს. ყველა ხელისუფლებას აქვს იმის განცდა, რომ შეუძლიათ ასე მოექცნენ საზოგადოებას, მოატყუონ და შემდეგ მაინც მიიღონ ხმები. ამიტომ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ პრობლემა საზოგადოებაშიც არის. როდესაც დანაპირებს არ ასრულებენ, შენ ამაზე პასუხი უნდა მოსთხოვო, ხელისუფლება იქნება ის, ოპოზიცია თუ პოზიცია, პასუხი უნდა მოსთხოვო, სიტყვა სიტყვაა. ნათქვამი სიტყვის გულისთვის ადრე ხალხი იხოცებოდა. დღეს კი სიტყვამ საერთოდ ფასი დაკარგა. ამიტომ ეს ცოტა ხალხის ბრალიც არის.

***– რაც შეეხება მთავარ პროკურორს, ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ მას უთანხმოება ჰქონდა მომავალ პრემიერთან, ვერ მოხერხდებოდა მათი თანამშრომლობა და ასე შემდეგ... თქვენი აზრით, რატომ გადადგა კბილაშვილი?***

– უფრო ზუსტი იქნება იმის თქმა, რომ კბილაშვილი გადააყენეს. ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ ის გადააყენეს. უბრალოდ აუხსნეს, რომ გადაყენების საუკეთესო ფორმა მისი განცხადება იქნებოდა. პროკურატურის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არის მართებული, სამართლიანი, მეც მაქვს ძალიან მწვავე და კრიტიკული დამოკიდებულება, თუმცა ჯოხი რომ დაბალ ღობეზე გადავტეხოთ, ამ შემთხვევაში კბილაშვილზე, მართებული არ არის. ეს არ მიმაჩნია პოლიტიკურად სამართლიანად. სამართლიანი პროცესი რომ შეფერხდა, ეს კბილაშვილმა კი არა ბიძინა ივანიშვილის პოზიციამ განაპირობა, რომელიც არ იყო მომხრე პროკურატურის აქტიური მუშაობის. ის მუდმივად ახერხებდა საქმეებს ნაციონალური მოძრაობის და განსაკუთრებით პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამიტომ კბილაშვილი, რომელიც წესიერი და განათლებული კაცია, ვერ შედგა წარმატებულ პროკურორად, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ კბილაშვილის პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, ეს არის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ სწორედ ისინი აფერხებდნენ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესს და უფრო პოლიტიკურ კონიუნქტურას უქვემდებარებდნენ პროკურატურის მუშაობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში თავისუფალი მართლმსაჯულება აღარ არსებობს.

***– მომავალი პროკურორის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?***

– მომავალ პროკურორს მე პირადად არ ვიცნობ, გადავხედე რამდენიმე მის საქმეს და რაღაც პრინციპული კაცი ჩანს. რამდენიმე ფრაგმენტი შემიძლია გავიხსენო, ძირითადად ამან მისი კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ ის მოიქცა ძალიან პასუხისმგებლიანად, ისე, როგორც ეკადრებოდა სახელმწიფო მოხელეს. მაგალითად, სოფელ ჭალაში მინარეთის საბაჟო წესების დარღვევის და უკანონოდ შემოტანისთვის დემონტაჟი მოახდინა. ასევე სახელმწიფოებრივად მოიქცა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დაკავების დროს, მერე კი აბრალებდნენ, რომ იმ დროს რატომ დააკავეს, როცა ვიღაცა იყო ჩამოსულიო და პროკურატურამ და ძალოვანმა უწყებებმა თუ პოლიტიკური ამინდების მიხედვით იმოქმედა, მაშინ ეს უკვე აღარ არის მართლმსაჯულება. რამდენიმე მისი საქმე აჩვენებს იმას, რომ ის პრინციპული კაცი ჩანს. თუ მიეცა საშუალება, მე ვფიქრობ, რომ მან უნდა შეძლოს საქმის გაკეთება. მისი საქმეები აჩვენებს, რომ ეს კარგი დასაწყისია და სწორი მოქმედებები იყო. ის ზუსტად ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა. ჩემი აზრით, ის გაბედული პიროვნება ჩანს და სწორედ გაბედულება სჭირდება სახელმწიფო სამსახურში მუშაობას. ყველს უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა –| ეს არის ომი შენი ქვეყნისთვის და შენი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. თუ როგორ იმუშავებს ახალი პროკურორი, ეს მომავალში გამოჩნდება.

***– კიდევ თუ ელით ცვლილებებს მთავრობაში? როგორ ფიქრობთ, შეიცვლება რომელიმე მინისტრი?***

– ახლა ამ ცვლილებებს არ ველი. ახლა გარდამავალი ეტაპია ახალი პრემიერ-მინისტრისთვის და ამ ეტაპზე უკმაყოფილების გაჩენა კოალიციაში მიზანშეწონილი არ არის. ის შეეცდება, რომ ძალაუფლება გაიმყაროს, პოზიციები გაიმაგროს, დაალაგოს სიტუაცია პარლამენტში და მერე აუცილებლად გაატარებს ცვლილებებს, იმიტომ, რომ ასე ვერ იმუშავებს.



***– როგორ ფიქრობთ, ამ სიტუაციაში, როდესაც პრემიერი ხდება ღარიბაშვილი, იცვლება პროკურორი, რამდენად მალე დაიწყება სამართლიანობის აღდგენის პროცესი?***

– მე არა ვარ დიდად ოპტიმისტურად განწყობილი სამართლიანობის აღდგენის კუთხით. თუკი ღარიბაშვილმა მოახერხა ივანიშვილის ჩრდილიდან გამოსვლა, მისი პირველი ამოცანა, პოლიტიკური ამოცანა, არის ივანიშვილის ჩრდილიდან გამოსვლა. სხვათა შორის, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს ამ კუთხით, რადგან მისდამი ვალდებულებები არის ძალიან მაღალი, რადგან ბევრი რამე გაუკეთა ივანიშვილმა მას. ძალიან გაუჭირდება, მაგრამ უნდა გამოიჩინოს შინაგანი ძალა და ენერგია და უნდა შედგეს ივანიშვილისგან დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. შეიძლება რჩევა ივანიშვილისაც გაითვალისწინოს და ბაღათურიასიც, მაგრამ გადაწყვეტილებებს რაც შეეხება, მისი გადაწყვეტილებები უნდა იყოს და არა ივანიშვილის. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ღარიბაშვილს უფრო მეტი მანევრის საშუალება აქვს. ივანიშვილს მისი მილიარდები ერთი მხრივ კი დაეხმარა ხელისუფლებაში მოსვლაში, მაგრამ ვალდებულებები და შემაბრკოლებელი ფაქტორები მეტი ქჰონდა. ვინც ამ ნათქვამს მიმიხვდება, ამას მხოლოდ მისთვის ვამბობ. ივანიშვილი უფრო შებოჭილი ფიგურა იყო ამ თვალსაზრისით, ის დამოკიდებული იყო გარე სამყაროზე. ღარიბაშვილს კი აქვს საშუალება, ისეთი მოცემულობა აქვს, რომ თავისუფალი იყოს საკუთარ გადაწყვეტილებებში, ვიდრე ივანიშვილი იყო. მთავარია, რომ ივანიშვილისგან გათავისუფლდეს. ის ვალდებულია, რომ დარჩეს ივანიშვილის ერთგულად, მეგობრად, მაგრამ დამოუკიდებელი პიროვნება უნდა იყოს. ეს კი ძალიან რთული ამოცანაა.

***– გაზაფხულიდან ელოდებით სერიოზულ ცვლილებებს ქართულ პოლიტიკაში?***

– გაზაფხულამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებულს არაფერს ველი, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. რა, ღარიბაშვილი ამ დრომდე გაიმაგრებს პოზიციებს და შეეცდება, რომ გუნდი გადაახალისოს, რადგან ამ გუნდს აუცილებლად სჭირდება გადახედვა, გადახალისება. ბევრი წესიერი ადამიანია, მაგრამ საქმეს თავს ვერ ართმევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები და ხალხი ასე ტაშფანდურით მათ მხარს აღარ დაუჭერს, ისე როგორც ახლა დაუჭირა. წინ ზამთარია, თუმცა ზამთარიც რომ არ იყოს, მათი რეიტინგის დიაგრამა დაღმა სვლაზეა და ისინი კიდევ დაკარგავენ მხარდაჭერას. ან ღარიბაშვილმა უნდა გადაახალისოს გუნდი და ეს გაზაფხული ამით გადააგოროს, ან მთავრობის გადახალისება მთლიანად მოხდება. ღარიბაშვილი ამ არჩევნის წინაშე აუცილებლად დადგება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის რაღაცა ცვლილებებს გაზაფხულზე შემოგვთავაზებს. ღარიბაშვილი ისეთი პიროვნება ჩანს, რომ მას შეუძლია გადადგას რადიკალური ნაბიჯები. თუკი არ გადადგამს, მაშინ არაფერი შეიცვლება და ის დარჩება უსუფაშვილის და ხიდაშელის მძევლად.

2013, 11 ნოემბერი, №267

# რატომ ვერ იზრდება პენსია

ნათია ხურცილავა

**რატომ ვერ ასრულებს დაპირებას ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი? არის თუ არა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მინისტრთა კაბინეტში სუსტი რგოლი? როგორც გაირკვა, 2014 წლის ბიუჯეტში პენსიების ზრდა გათვალისწინებული არ არის. არადა, საზოგადოების ამ ნაწილისთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის დანამატი, რომლის მოლოდინიც ადამიანებს გაუჩნდათ.**

პენსიონერისთვის პენსიას, მით უფრო, ოდნავ მაინც გაზრდილს, რა მნიშვნელობაც აქვს, ამის ახსნას არ ვაპირებთ. თუმცა ფაქტია, რომ ბევრი პენსიონერისთვის შეიძლება გადარჩენის ტოლფასი იყოს.

რატომ ვერ ახერხებს ფინანსთა სამინისტრო ამ მნიშვნელოვანი დანაპირების სისრულეში მოყვანას? რა პრიორიტეტებით ხელმძღვანელობს მინისტრი?

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ეკონომიკური ზრდის საკითხებზე გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა. მინისტრის თქმით, პენსიების ზრდა არაა მომავალი წლის ბიუჯეტში ჯერჯერობით, თუმცა ეს პროექტი არ არის საბოლოო.

ხადური თითს „ნაციონალური მოძრაობისკენ“ იშვერს და აცხადებს, რომ მათაც ვერ შეასრულეს დაპირება და 100 დოლარამდე პენსია ვერ გაზარდეს.

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:

– აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ეს პროგნოზი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სავალუტო ფონდის წარმომადგენლებისთვისაც. განსაკუთრებით უმუშევრობის საკითხში გამოთქმული კრიტიკა. მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ არანაირი ლოგიკური დასაბუთება ამ კრიტიკას და შენიშვნებს არ გააჩნია. შესაბამისად სავალუტო ფონდი მუშაობს მის დაზუსტებაზე. ის ბიუჯეტი იმ მდგომარეობის გამოძახილია, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დატოვა ქვეყანაში. მათ ვერ მოახერხეს პენსიების ზრდა 100 დოლარამდე, რასაც მოსახლეობას 2007 წლისთვის ჰპირდებოდნენ.

ეს ბიუჯეტი გამოძახილია იმ სიტუაციის, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დატოვა.

არის კი მართლაც ამ ყველაფრის მიზეზი ის ბიუჯეტი, რომელიც წინა მმართველმა გუნდამ დატოვა და არის თუ არა გამოძახილი იმ სიტუაციის, რომელიც ქვეყანაში ცხრა წლის განმავლობაში იყო?

– ის, რომ მათ ვერ მოახერხეს პენსიების ზრდა წლების განმავლობაში, რასაც მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, ის, რომ გზები უნდა ყოფილიყო ხაშურამდე გაყვანილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი უკვე 2009 წლის დასაწყისში და რომელიც ჩვენი დიდი ინვესტიციების შედეგად, წელს აგარამდე ჩავა. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ეს პროგნოზი. – ასეთია ნოდარ ხადურის პოზიცია.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის გადახარჯვაზე საუბრობს ფინანსთა მინისტრი.

– მიმდინარე წლის ბიუჯეტში გადახარჯვაა. ყოფილმა ხელისუფლებამ საკმაოდ ბევრი თანხა დახარჯა, მათ შორის ისეთ პროექტებზე, რომელთა მიზნობრიობა, რბილად რომ ვთქვათ, კითხვის ქვეშაა. დავალიანებები აქვს ჯანდაცვის, განათლებისა და თავდაცვის სამინისტროებს. შესაბამისად, ჩვენ ამ საკითხებზე რეაგირება გვიწევს. უნდა შევისწავლოთ, ეს თანხები როგორ და რატომ გამოიყო. – ამბობს ფინანსთა მინისტრი.

თავის დროზე ნოდარ ხადური ეფექტურ და გამჭვირვალე ხარჯებზე საუბრობდა.

– ვცდილობთ, ის შემოსავლები, რასაც ბიუჯეტი მომავალ წელს მიიღებს, უფრო ეფექტიანად და გამჭვირვალედ გადავანაწილოთ. – აღნიშნავდა ხადური.



ამასობაში ექსპერტების განმარტებით დღის წესრიგში ფინანსური სტაბილურობის საფრთხეც დგება. შეიძლება თუ არა ლარის კურსის საკითხი მიბმული იყოს პენსიების გაზრდის საკითხთან?

„ეროვნული ბანკი“ ამ საფრთხეს გამორიცხავს. „ეროვნული ბანკი“ ლარის კურსის სტაბილიზაციაზე საუბრობს.

ეროვნული ბანკის განმარტებით, ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება,

„საქართველოს ეროვნული ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა ლარის კურსის მდგომარეობასთან დაკავშირებით ჟურნალისტებისთვის განმარტება გააკეთა.

– ბაზარზე განსაკუთრებული არაფერი ხდება. კურსის ცვლილება, რომელსაც თქვენ ხედავთ, ყოველთვის ფიქსირდებოდა. ეს ადრეც იყო, მომავალშიც იქნება და ეს კურსის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფუნქციაა. რაც მთავარია, ფინანსურ სტაბილურობას არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერიოდში საფრთხე არ ემუქრება და ამის გარანტი არის „ეროვნული ბანკი“. – აცხადებს მესტვირიშვილი.

მისივე თქმით, ლარის კურსის შესანარჩუნებლად ხელოვნური ჩარევა ტექნიკურად გამორიცხულია.

ვენერა, 87 წლის პენსიონერი:

– ჩემთვის პენსია ერთადერთი შემოსავლის წყაროა, შვილო. 87 წლის ქალი ვარ. დღეს ჩემთვის წამლები და საჭმელი არის მთავარი საზრუნავი. ჩემი პენსიის უდიდესი ნაწილი წამლებსა და კომუნალურ გადასახადებს მიაქვს. პენსია გადასახადებზე არც კი მყოფნის, მაგრამ რა უნდა ვქნა. პენსიის გაზრდას ველოდები, სწორედ იმის იმედი მაქვს, რომ პენსია ერთ მშვენიერ დღეს გამეზრდება და ყველაფერზე მეყოფა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოლოდინი მაქვს, რომ რაღაც ამ ახალი მთავრობის ხელში სასიკეთოდ შეიცვლება და ჩემნაირებსაც ეშველება. რაღა დამრჩენია, ორი დღის სიცოცხლე და არ მინდა ისე მოვკვდე, რომ კარაქი და ყველი მენატრებოდეს. თქვენ რომ მეკითხებით, პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდას იცით რა მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ბევრი მათგანი გადაარჩინოს. წამლები ძალიან ძვირი ღირს. ძვირი ღირს საკვები. ადამიანს თვალი წაგივა, ამ მოხუცებულობაში დამჩემდა, რომ მაგიდაზე ერთი– ორი კანფეტი მქონდეს. სხვა ტკბილეულს ვერც ვყიდულობ. ამის ფუფუნებას ჩემს თავს ვერ მივცემ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩემ ირგვლივ არიან ქალები, რომლებსაც ჩემზე მეტად უჭირთ. ზოგს შვილებიც კი ჰყავს, მაგრამ ჩვენს ასაკში ადამიანები დაუცველები არიან. დამსახურებული ქალი ვარ, შვილო, იმდენი მოწაფე მყავს გაზრდილი. მასწავლებელი ვიყავი, მაგრამ დღეს პენსიას ველოდები და თვიდან თვემდე სწორედ ამ პენსიით გამაქვს თავი.

# ირაკლი ალასანიამ შეიარაღებული ძალების I საარტილერიო ბრიგადას 20 წლის იუბილე მიულოცა

საქართველოს შეიარაღებული ძალების I საარტილერიო ბრიგადას გუშინ, დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. საზეიმო ცერემონიალი ვაზიანში ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

არტილერისტებს საიუბილეო თარიღი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებების უსურვა. თავდაცვის მინისტრმა ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ თაბუკაშვილი მედლით – „სამშობლოსათვის თავდადებული“ დააჯილდოვა. ბრიგადის მეთაურმა თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი ჯილდო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებისთვის მიიღო.

„საქართველოში არტილერისტების განსაკუთრებული ტრადიციაა. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ყოველთვის ძლიერი საარტილერიო ქვედანაყოფი ჰყავდა. მინდა I საარტილერიო ბრიგადის ყველა წევრს დიდი მადლობა გადავუხადო ქვეყნის სამსახურისთვის და დავპირდე, რომ მათთვის ყველა პირობა შეიქმნება, მათ შორის, ტექნიკური საშუალებებიც, რათა ეფექტურად გააგრძელონ ჩვენი ქვეყნის საზღვრების და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა“ – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ I საარტილერიო ბრიგადის შტაბის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ ირაკლი თავდგირიძეს მედალი „გენერალი მაზნიაშვილი“, ფართომასშტაბიანი სწავლებების დაგეგმვისა და მართვისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ინიციატივისთვის გადასცა. პოლკოვნიკმა ძნელაძემ ბრიგადის კიდევ ორი სამხედრო მოსამსახურე – მაიორი თემურ ძიძარია და კაპიტანი გიორგი კელაპტრიშვილი, უწყებრივი მედლებით – „სამშობლოსათვის თავდადებული“ დააჯილდოვა.

გუშინვე, ბრიგადის სამწყობრო მოედანზე ღია კარის დღე გაიმართა. სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად, დაბა ვაზიანის I საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სპეციალურად ამ დღისთვის ბრიგადაში გამოფენილი სხვადასხვა სახის საარტილერიო ტექნიკა დაათვალიერეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. არტილერისტებს დაბადების დღე ანსამბლმა „თსუ გორდელა“-მ კონცერტით მიულოცა.

**ნიუსპრესი**



# „ქართული ოცნების“ ლიდერებმა იუსტიციის სახლში კონსულტაციები გამართეს

იუსტიციის სახლში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებმა გუშინ კონსულტაციები გამართეს, რომელსაც ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მომავალი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, უშიშროების საბჭოს მომავალი მდივანი ირინა იმერლიშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დაესწრნენ. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, მათ შეხვედრაზე მხოლოდ ტექნიკური საკითხები განიხილეს, კონკრეტულად კი, პრეზიდენტის ინაუგურაციის დეტალები და ინაუგურაციის შემდგომ ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების საკითხი.

„პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ტექნიკური კონსულტაციები გავიარეთ, რომელიც მომავალში აუცილებლად დაგვჭირდება, რომ ერთმანეთთან შევთანხმდეთ. მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება მომავალ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებით და შესაბამისად მომავალ პრემიერსაც აქვს მიღებული გადაწყვეტილება თავისი მინისტრთა კაბინეტის შესახებ. მას შემდეგ რაც ინაუგურაცია მოხდება, მინსტრთა კაბინეტს პარლამენტში მომდევნო კვირასვე განვიხილავთ“ – განაცხადა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ საუბარში ირინა იმერლიშვილმა.

**ნიუსპრესი**

# პოლიტიკურ ძალთა ბალანსის მოსალოდნელი ტრანსფორმაცია

**დასაწყისი მე-5 გვერდზე**

გით იქნება განპირობებული, რომელიც საზოგადოების რეალური დაკვეთის შესრულებას აიღებს თავის თავზე და ამ დაპირებას მოქალაქეებამდე სწორად და გასაგებად მიიტანს.

ამ კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორც მმართველი ძალისთვის, ისევე „ნაციონალური მოძრაობისთვის,“ გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე ეს საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყო.

ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ კოჰაბიტაციის პროცესი, ყველაზე თვალშისაცემი ქვეყნის პერიფერიებშია, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა უმრავლესობამ მოახერხა და წარმატებით მოირგო „ქართული ოცნების“ მანტია, ხოლო ხალხი, რომელთა უფლებებსაც „გაოცნებებული ნაციონალები“ 9 წლის განმავლობაში არღვევდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ, რა თქმა უნდა, ხმას აღარც „ნაციონალურ მოძრაობას“ და აღარც „ქართულ ოცნებას“ აღარ მისცემს.

მეორე მიზეზი, რის გამოც ხელისუფლებაში მყოფ ორივე გუნდს მომავალი წლის მაისში გაუჭირდებათ, ეს იმ ხალხის რიცხვის გარდაუვალი ზრდაა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რომელთა ინდეფერენტული განწყობა, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე პასიურობით გამოიხატა, ადგილობრივ არჩევნებამდე, უფრო აგრესიული განწყობით შეიცვლება და ისინი აუცილებლად მისცემენ ხმას იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ძალებში „ქართული ოცნება“ ან „ნაციონალური მოძრაობა“ მოიაზრებოდეს.

მესამე და მთავარი ფაქტორი კი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის შედეგებზე თავის გავლენას აუცილებლად მოახდენს, ეს მოქმედი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია.

ნამდვილად არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს და ყველა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილს სხვა ნებისმიერი კანდიდატურა რომ დაეყენებინა, ისიც დაახლოებით იმავე პროცენტს აიღებდა რაც გიორგი მარგველაშვილმა აიღო და პრეზიდენტიც აუცილებლად ივანიშვილის ხელდასმული კადრი გახდებოდა.

რა თქმა უნდა ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის – ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს უკავშირდება და გიორგი მარგველაშვილის მიერ აღებული 60 პროცენტიც, ქართველი ხალხის მიერ ბიძინა ივანიშვილისადმი მადლიერების გამოხატულებაა და მეტი არაფერი.

მომავალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კი, მოქმედი პრემიერი პოლიტიკურად სავარაუდოდ ნაკლებად აქტიური იქნება, ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო სექტორიდან ალბათ არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციების ღიად დაფიქსირებას მოერიდება, ეს კი კოალიციის მაჩვენებელზე აუცილებლად აისახება, ხოლო არჩევნების შედეგები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება ხალხის რეალურ განწყობას.

ასე, რომ 2014 წლის მაისის შემდეგ, საკმაოდ დიდი ალბათობით, ქვეყანა სულ სხვა პოლიტიკური რეალობის წინაშე დადგება, სადაც ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია აუცილებლად ექნება დაკავებული ნინო ბურჯანაძის პარტიას ან მის გარშემო გაერთიანებულ პოლიტიკურ სუბიექტებს.

ფაქტი, რომ ნინო ბურჯანაძე რეალურ და ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა, ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე თავად პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც აღიარა, რომელსაც რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილიც დაეთანხმა.

ეს სურათი ძნელად განსაჭვრეტი, რა თქმა უნდა, არც წინასაარჩევნო პერიოდში იყო და სავარაუდოდ სწორედ ამას ემსახურებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის მიერ, არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე ციხიდან ნაფრენი უსტარიც, რომლის თანახმადაც ნინო ბურჯანაძე ხმების დაცვის მოტივით 28 ოქტომბერს ქუჩაში გასვლას და რუსული მხარის დახმარებით ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას გეგმავდა.

გარდა პიროვნული დისკრედიტაციის მცდელობისა, ამ განცხადების გამკეთებელთათვის, რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი იქნებოდა ნინო ბურჯანაძეს ხალხი ქუჩაში გამოეყვანა, ხოლო სიტუაციის არევაზე შემდეგ თავად „ნაციონალური მოძრაობა“ იზრუნებდა, რის შემდეგაც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას შეეცდებოდა.

ბურჯანაძის ქუჩაში გამოსვლას ელოდებოდა კოალიციის შემადგენელ პოლიტიკურ სუბიექტთა გარკვეული ნაწილიც, რომლებსაც, იმის შიშით, რომ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ მიაღწიოს, რა თქმა უნდა, ბურჯანაძის რეიტინგის ზრდა არანაირად არ აწყობს.

მომავალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დაახლოებით 7 თვეა დარჩენილი, მანამ შეიძლება ძალიან ბევრი რამე შეიცვალოს, მათ შორის კოალიციაშიც, რომლის ლიდერთა გარკვეული ნაწილიც უკვე ხმამაღლა აცხადებს, რომ ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგეს და ამავდროულად ივიწყებენ პრემიერის მიერ რამდენიმე კვირის წინ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც სამართლიანობა უკვე აღდგა.

როგორც ჩანს, ის, რომ სამართლიანობის აღდგენის კუთხით ქვეყანაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ხალხს იმ დონეზე აქვს გაცნობიერებული, რომ მათზე პრემიერის განცხადებამაც კი ვერ იმოქმედა და საზოგადოების მოთხოვნა და დაკვეთა ამ მიმართულებით ოდნავადაც ვერ შეასუსტა.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, კოალიცია არჩევნებამდე დარჩენილ დროში, მარცხის თავიდან ასაცილებლად, ეცდება მინიმუმ ისეთი სურათი მაინც შექმნას, რომ ის წინა ხელისუფლების დროინდელ დამნაშავე ჩინოვნიკებს რეალურად ებრძვის, მაგრამ რამდენად ეფექტურად გამოუვათ მათ ეს, – უკვე ცალკე საკითხია.

განვლილი ერთი წლის ანალიზიდან გამომდინარე, შანსი და მოლოდინი იმისა, რომ კოალიციურმა ხელისუფლებამ ქვეყანაში სამართლიანობა ნამდვილად აღადგინოს, ძალიან მცირეა.

ყველაფერ აქედან გამომდინარე კი, ქვეყნის პოლიტიკურ ავანსცენაზე მესამე და საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ძალის გამოჩენა პრაქტიკულად გარდაუვალია, რაც რამდენიმე თვეში, არსებულ პოლიტრეალობას სავარაუდოდ რადიკალურად შეცვლის,როგორც სამართლიანობის აღდგენის, ასევე პოლიტიკურ ძალთა ბალანსის კუთხით.

ახლა ყველა გზა 2014 წლის მაისის არჩევნებისკენ მიდის, რის შემდეგაც ქართველი საზოგადოება სავარაუდოდ პოლიტიკურადაც ცხელი, მაგრამ მშვიდობიანი და საინტერესო ზაფხულის მომსწრე გახდება.

**სააგენტო „ნიუსპრესი“**

**ალექსანდრე კაპანაძე**

# ღარიბაშვილის რუბიკონი

გასული წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ მომავალი პრემიერობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილის დასახელება, მნიშვნელობით მეორე პოლიტიკური მოვლენა იყო.

შეიძლება ვინმეს ეს შეფასება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გამოწვევებსა და წლების განმავლობაში დაგროვებულ პრობლემებს, რომლებთან გამკლავებაც ირაკლი ღარიბაშვილს მოუწევს, – აღნიშნული შეფასება ნამდვილად რეალურია.

სხვათა შორის, ქართული პოლიტიკისათვის უჩვეულოდ, ღარიბაშვილის დასახელებას არც მმართველი გუნდის რომელიმე წევრისა და არც რომელიმე მედიასაშუალების მხრიდან ნეგატიური შეფასება არ მოჰყოლია. ერთადერთი, ვინც ირაკლი ღარიბაშვილი გააკრიტიკა, ეს „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, თუმცა თითიდან გამოწოვილ კრიტიკას აშკარად ეტყობოდა, რომ კრიტიკა მხოლოდ კრიტიკისთვის იყო.



ქართული პოლიტიკისთვის მართლაც უჩვეულო ფაქტია, რომ ადამიანი, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრად ერთი წელი იმუშავა, არ გახდა ძალადობასთან ასოცირებული პოლიტიკოსი და უფრო მეტიც, საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს გულწრფელად აწუხებს ის, თუ ვინ ჩაანაცვლებს მას ამ პოსტიდან წასვლის შემდეგ და შეძლებს თუ არა ახალი მინისტრი შეინარჩუნოს ის პოლიცია, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ერთი წლის განმავლობაში, სისხლიანი და პოლიტიზირებული უწყებიდან, ადამიანის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ უწყებად აქცია.

შესაძლოა ჟურნალისტისთვის არცთუ კომფორტული იყოს კონკრეტულ ჩინოვნიკზე ძირითადად პოზიტიურ კონტექსტში საუბარი, თუმცა, მგონი საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად, საქმე იმ შემთხვევასთან გვაქვს, როცა ნეგატიურის დაწერა ძალიან რთულია.

იმედია ირაკლი ღარიბაშვილი თავის მოღვაწეობას იმ მაღალ თანამდებობაზეც ისეთივე შემართებით და გამჭვირვალობით გააგრძელებს, როგორც ეს შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს იყო, მაგრამ მანამ იმ გამოწვევების შესახებ, რომლებთან გამკლავებაც მას მოუწევს.

ამავე რუბრიკაში ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ირაკლი ღარიბაშვილი განსაკუთრებული დარტყმის ობიექტი იყო არა მხოლოდ ე.წ. „ოპოზიციონერი ნაცმოძრაობისგან,“ არამედ კოალიციაში შემავალი ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტის მხრიდანაც.

ეს ტენდენცია სავარაუდოდ მომავალშიც გაგრძელდება და რაც უფრო წარმატებული იქნება ღარიბაშვილი ამ თანამდებობაზე, მით უფრო მეტად გაეღვიძებათ „შემოდგომის ბუზის“ რეფლექსი როგორც „ნაციონალებს“, ასევე მათთან ასოცირებულ და წლების განმავლობაში კოჰაბიტირებულ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან წარმოდგენილნი.

ირაკლი ღარიბაშვილს აუცილებლად მოუწევს მუდმივად ედოს ხელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პულსზე, ვინაიდან ამ კუთხით ყურადღების ოდნავ მოდუნების შემთხვევაშიც კი, ის შეიძლება ისეთი საბოტაჟის წინაშე აღმოჩნდეს, რომელიც მის რეპუტაციას მნიშვნელოვნად დასწევს.

საკმარისია გავიხსენოთ ეროვნული ბანკის მაგალითი, როცა აღნიშნული უწყება, სულ ორიოდე თვის წინ, ლარის კურსს ხელოვნურად ამყარებდა, რითაც ქვეყნის ეკონომიკას რბილად რომ ვთქვათ განვითარების არც თუ სახარბიელო ნიადაგს უქმნიდა.

წინა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, ექნება დატოვებული ბერკეტები, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ან ფისკალურ მაჩვენებელზე რაიმე სახის ნეგატიური გავლენა მოახდინოს, თუმცა პირველივე შემთხვევაში მკაცრი და კვალიფიციური ხელის დანახვისთანავე, მათ ამის სურვილი დაეკარგებათ.

გარდა ამისა, წინა ხელისუფლების ეკონომიკურ არსენალში არიან მიხეილ სააკაშვილის ის კარის ბიზნესმენები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის დროს, სასათბურე პირობებში იმყოფებოდნენ და კაპიტალის დაგროვება სწორედ ამ სასათბურე პირობების გამო შეძლეს.

გამომდინარე მადლიერების გრძნობიდან ან სხვა ბერკეტებიდან, რომელთა ამოქმედებაც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მათი ყოფილი კარის ბიზნესმენების წინააღმდეგ შეუძლიათ, გამორიცხული არ არის, რომ რაღაც დონეზე ახალი პრემიერი, ბარიერებს ამ კატეგორიის ბიზნესმენებისგანაც წააწყდეს.

არანაკლები წინააღმდეგობების დაძლევა მოუწევს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც მას არასამთავრობო სექტორისგან შეხვდება.

ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოში მოქმედი არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, რომლებიც ასევე „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაციური და ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ჩასაფრებული პოზიციიდან, მუდმივად ეცდება ახალი პრემიერის ქმედებებში კანონდარღვევა ან „დასავლურ სტანდარტებთან“ შეუსაბამობა დაინახოს.

დასავლეთი ვახსენეთ და მომავალი პრემიერის ასევე უდიდესი გამოწვევა, დასავლეთის პოლიტელიტის ზეწოლაზე ადექვატური პასუხი იქნება.

ის, რომ დასავლეთს დღემდე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს საქართველოს ხელისუფლებაზე, ეს გაუგებარი კოჰაბიტაციით, სისტემური დანაშაულის შემოქმედთა დაცვითა და არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მეორე ადგილზე გასვლითაც აშკარაა და რა თქმა უნდა, ევროპაც და ოკეანისგაღმეთიც ყველანაირად ეცდება ერთის მხრივ თავიანთი პოლიტიკური პირმშოების დაცვას და მეორეს მხრივ, ყველანაირად ეცდება საქართველოს სახით არ დაკარგოს საკუთარი იაფფასიანი და უხარისხო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ ბაზრის ადგილზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფო არ მიიღოს, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის გატანის შესახებ თავად გაუჩნდება პრეტენზია.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთი მაქსიმალურად დაიცავს თავისი პროექტის შემოქმედებს და ამის მაგალითები სახეზე უამრავი გვაქვს. ერთ-ერთი ბოლო მაგალითი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირდაპირი განცხადებაა, როდესაც ის საქართველოს განვითარების შეფერხებით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ ახალ ხელისუფლებას ხელი წაუცდება და მიხეილ სააკაშვილს დააპატიმრებს.

საზოგადოების დაკვეთა კი აბსოლუტურად სულ სხვაა. საზოგადოება სამართლიანობის აღდგენას და შესაბამისად ამ სამართლიანობის ყველაზე მეტად შემბღალავი სისტემის მესვეურთა, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის კანონის მიხედვით დასჯას მოითხოვს.

ანუ დასავლეთი ყველანაირად ეცდება, რომ დაიცვას სააკაშვილი და სისტემური დანაშაულის სხვა შემოქმედები და ამით ახალ პრემიერსა და ქართველ ხალხს შორის ჩადგეს.

ეს იმ გამოწვევათა ძალიან მცირე ჩამონათვალია, რომელთან ბრძოლაც ახალ პრემიერ-მინისტრს აუცილებლად მოუწევს, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მან გასული ერთი წლის განმავლობაში, უსაფუძვლო ბრალდებებისა და სხვადასხვა სახის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დარტყმების მიმართ იმუნიტეტი უკვე გამოიმუშავა, სავარაუდოა, რომ მართალია შეიძლება გაუჭირდეს, მაგრამ ის ამ გამოწვევებს აუცილებლად უნდა გაუმკლავდეს და უნდა გაუმკლავდეს აბსოლუტური დემოკრატიისა და გამჭვირვალობის პირობებში.

და კიდევ, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ირაკლი ღარიბაშვილისთვის, ისევ და ისევ საკუთარი მემკვიდრის შერჩევაა შინაგან საქმეთა სამინსტროში.

გარდა ბიძინა ივანიშვილისა, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა პირველი პირის აქილევსის ქუსლი სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო.

ირაკლი ღარიბაშვილმა აუცილებლად უნდა შეძლოს და თავის ადგილზე ისეთი კანდიდატურა შეარჩიოს, რომელიც მის მიერ დაწყებულ რეფორმებს არ შეანელებს და იმ პოზიტიურ განწყობას, რომელიც საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, მომავალში შეინარჩუნებს. ირაკლი ღარიბაშვილმა ეს უნდა შეძლოს, თუნდაც ამისთვის პრემიერობის საწყის ეტაპზე, ყურადღების კონცენტრაციის ყველაზე მეტად სამინისტროსკენ მიმართვაც დასჭირდეს.

ასე, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრს წინ უამრავი დაბრკოლება და უამრავი სირთულე ელის, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მას ერთი უდიდესი კოზირიც უჭირავს ხელში, რაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას არც კი დასიზმრებია. ეს საზოგადოების ნდობა და წარმატების თითქმის გარანტირებული მოლოდინია, რაც მას რუბიკონის გადალახვაში აუცილებლად დაეხმარება.

**ალეკო ჩუბინიძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი“**

# „ლიბერთი ბანკის“ ახალი ფილიალი ყვარელში

„ლიბერთი ბანკი“ ფილიალებისა და სერვის ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 9 ნოემბერს, ბანკის დირექტორმა, ზურაბ წულაიამ ყვარელში, თავისუფლების ქუჩა №9-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფილიალი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ფილიალში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.



2012-2013 წლებში ლიბერთი ბანკმა მთელი საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვის ცენტრის გახსნა და მოდერნიზება მოახდინა. ლიბერთი ბანკს საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 60 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2013 წლის სექტემბრის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 8.2%-ს შეადგენს.

# დაკარგული ნინო გვასალია მუხათწყაროს ტყეში ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს

რამდენიმე კვირის წინ გაუჩინარებული 22 წლის ნინო გვასალიას ცხედარი გუშინ სამართალდამცავებმა მუხათწყაროს ტყეში ხეზე ჩამოხრჩვალი იპოვეს. გვასალიას ცხედრის აღმოჩენის ფაქტს, ნიუსპრესს-თან საუბარში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ადასტურებს.

მისი ინფორმაციით, გამოძიება ამ ეტაპზე სავარაუდო სუიციდის ვერსიაზე მუშაობს. ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტები და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები.

გავრცელებული ინფორმაციით, ნაპოვნია ნინო გვასალიას მიერ დატოვებული წერილი, რომლის შინაარსიც ჯერ არ გასაჯაროებულა.

გაუჩინარებულ ნინო გვასალიას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები რამდენიმე კვირის განმავლობაში ეძებდნენ. ის სახლიდან 17 ოქტომბერს გავიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

**ნიუსპრესი**

# გელა ნიკოლეიშვილი: „26 მაისს პოლიციელის გარდაცვალების საქმეში ესკორტის მანქანის მონაწილეობა გამორიცხულია“

უფლებადამცველ გელა ნიკოლეიშვილის განცხადებით, 26 მაისს გარდაცვლილი ვლადიმერ მასურაშვილი ოჯახის წევრების მხრიდან, საქმის რეალურად გამოძიებასთან დაკავშირებით პასიური პოზიციაა, რასაც უფლებადამცველი პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს.



ნიკოლეიშვილის თქმით, ის ვლადიმერ მასურაშვილის ოჯახის წევრებსა და ადვოკატს, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან ერთად, 2012 წელს, 1 ოქტომბრის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე შეხვდა, იმ მიზნით, რომ ოჯახი პოლიციელის გარდაცვალების საქმეში „სახალხო კრების“ მხარის უდანაშაულობაში დაერწმუნებინათ.

როგორც, გელა ნიკოლეიშვილი ნეწსპრესს-თან საუბარში აღნიშნავს, შეხვედრა შედგა თუმცა, შეთანხმების მიუხედავად, შემდეგ ოჯახი მათ აღარ გამოხმაურებია.

უფლებადამცველის განცხადებით, სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროს პასუხი და არსებული კადრები, აღნიშნულ საქმეში ნინო ბურჯანაძის ესკორტის ბრალეულობას აბსოლუტურად გამორიცხავს.

„იმას, რომ ვლადიმერ მასურაშვილი ნინო ბურჯანაძის ესკორტმა გაიტანა, არც ექსპერტიზა ადასტურებს და არც კადრები. უფრო მეტიც, გარდა პიარისა, ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

სახელმწიფო ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, რომ, იმ ხელისუფლების პირობებში, ბუნებრივია ნინო ბურჯანაძის სასარგებლო დასკვნას არ დადებდა, თუმცა როგორც ჩანს იქ იმდენად აშკარა იყო ყველაფერი, სამხარაულის ბიურომ კატეგორიული დასკვნა დადო იმის შესახებ, რომ მანქანის არცერთ ნაწილს, გარდაცვლილთან არანაირი შეხება არ ჰქონია. სწორედ ამის დამტკიცების სურვილი გვქონდა ჩვენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან.

სწორედ ამ მიზნით, ნინო ბურჯანაძემ მთხოვა, გავცნობოდი საქმის მასალებს და როგორც ნეიტრალურ მხარეს, შემესწავლა ის და გარდაცვლილის მხარის ადვოკატს შევხვედროდი“– განაცხადა ნეწსპრესს-თან საუბარში გელა ნიკოლეიშვილმა

უფლებადამცველის თქმით, პირველი შეხვედრის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამოძიების დეტალებს კიდევ ერთხელ გაეცნობოდნენ და შეხვედრაც დათქვეს, თუმცა გარდაცვლილის ოჯახი მას მერე აღნიშნული საქმით აღარ დაინტერესებულა.

გელა ნიკოლეიშვილი ოჯახზე ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას არ გამორიცხავს.

„ოჯახი პირველ რიგში უნდა იყოს დაინტერებული სიმართლის დადგენით და მათი მხრიდან შემდგომი ასეთი პასიურობა გამიკვირდა კიდეც. როგორც ჩანს იმდროინდელი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ზემოქმედება მოხდა, მათ ან აუკრძალეს ან სხვა ფორმით მოახდინეს ზემოქმედება, არ ვიცი ზუსტად რა ფორმით მოხდა ეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ საქმის მიმართ გულგრილობა გამოავლინეს“ – განაცხადა გელა ნიკოლეიშვილმა.

**ნიუსპრესი**

# მაია ფანჯიკიძე მედიას საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს გააცნობს

პროექტ – „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, დღეს მედიის წარმომადგენლებს შეხვდება.

მინისტრი მედიის წარმომადგენლებთან, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, ამ მიმართულებით სამინისტროს მიერ გაწეულ სამუშაოსა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრებს. პროექტის – „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ მიზანი, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და მთავრობის მუშაობის გამჭვირვალობის ამაღლებაა.

**ნიუსპრესი**

# ყინწვისში უნებართვო მშენებლობა შეჩერებულია

**ეკა ირემაშვილი**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, ერთობლივი და შეჯერებული გადაწყვეტილებების მისაღებად აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოსთან, თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების წარმოების სამწუხარო მაგალითებიც არსებობს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არც სახელმწიფო ინსტიტუციებთან და არც საქართველოს საპატრიარქოს შესაბამის საბჭოსთან არ არის შეთანხმებული.

– ამის მაგალითია ბოლო დროს ყინწვისის მონასტერში დაფიქსირებული ფაქტი, სადაც ეროვნული მნიშვნელობის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ჩრდილოეთით, გალავნის შიგნით, მიმდინარეობდა უნებართვო მშენებლობა. საბედნიეროდ, აღნიშნული ფაქტის გამოვლენისთანავე მყისიერი რეაგირება მოახდინა როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ, ასევე საქართველოს საპატრიარქომ. შედეგად მიღებულია სამშენებლო სამუშაოების წარმოების შეჩერების, ამოყვანილი კედლების დაშლის გადაწყვეტილება და შემდგომში შესაბამისი, ახალი ადგილის მოძიება მშენებარე ნაგებობის გადასატანად და დასასრულებლად, – ნათქვამია სააგენტოს ოფიციალურ განცხადებაში.

– ყინწვისის მონასტერი ქართლშია. სამონასტრო ცხოვრება აქ X საუკუნიდან აქტიურად მიმდინარეობდა, XIX საუკუნეში შეწყდა და კვლავ განახლდა 1995 წელს. ყინწვისის მონასტრის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ბრწყინვალე ეპოქას „ოქროს ხანად“ წოდებულ თამარ მეფის მეფობას უკავშირდება. მონასტრის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა შემორჩენილი: ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხევის პირას, ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის მხოლოდ საკურთხეველიღაა დარჩენილი; წმიდა ნიკოლოზის სახელობის დიდი გუმბათიანი ტაძარი, მის დასავლეთით XIV საუკუნის მონასტრის შესასვლელი კარიბჭის თავზე სამრეკლო იყო აგებული. წმიდა ნიკოლოზის ტაძარი ამავე ეპოქის სხვა ნაგებობებისგან განსხვავებით აგურით არის ნაგები და ამიტომ არა აქვს ქართული ტაძრებისთვის დამახასიათებელი ჩუქურთმები. ტაძრის შიდა სივრცე მთლიანად შემკულია კედლის მხატვრობით, ბრწყინვალე, შუქმნათი ლაჟვარდის ფონზე შესრულებული მხატვრობა შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ერთი შესანიშნავი და გამორჩეული ნიმუშია. მისი თეოლოგიური პროგრამა განკაცების, აღდგომისა და ხსნის იდეებზე არის დაფუძნებული. აქ შემორჩენილია წმიდა ნიკოლოზის ცხოვრების საკმაოდ გრძელი ციკლი, წმიდა ნინოს ნახევარფიგურა სახარებით ხელში და ოთხი წმიდა ასურელი მამა დასავლეთ კედელზე, მეორე სართული კარის ორივე მხარეს, – ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

მონასტრის ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში გამოსახულია ბაგრატიონთა გვარის მეფეთა საზეიმო პორტრეტები: გიორგი მესამე; მისი ასული თამარ მეფე, თამარის ვაჟი და მემკვიდრე გიორგი ლაშა ვედრებით მიმართულნი აღსაყდრებული ქრისტეს ხატისკენ. მათ ზემოთ გამოსახულია აღდგომის მაუწყებელი ანგელოზის ფიგურა, რომელიც ფერადოვნული და ხაზობრივი გადაწყვეტის დახვეწილობით შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების შედევრებს განეკუთვნება და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სიმბოლო გახდა. დასავლეთი მინაშე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ევრიმაჟის პრეზიდენტი თბილისში ჩამოვიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის „ევრიმაჟის“ პრეზიდენტი იობსტ ფლოგი თბილისში ჩამოვიდა.

როგორც ეროვნულ კინოცენტრში განმარტეს, იობსტ ფლოგი არის ევროპულ კინოპოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა, რომელიც ამ სფეროში მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიების მონაწილე და გადამწყვეტია. ოფიციალური ვიზიტის მიზანად დაიგეგმა ქართული კინოსექტორის უფრო ახლოს გაცნობა და კინოში ევროპული თანამშრომლობის მნიშვნელობის ხაზგასმა.

საქართველო „ევრიმაჟის“ ყველაზე ახალგაზრდა, 36-ე წევრია, ფონდში ქვეყანა 2011 წელს, ეროვნული კინოცენტრის ევროსაბჭოსთან წელიწადნახევრიანი მოლაპარაკების შედეგად გაწევრიანდა. „ევრიმაჟში“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი თამარ ტატიშვილია.

ფონდში გაწევრიანების შემდეგ ევრიმაჟის მმართველმა საბჭომ სამი ქართული ფილმის პროექტი დააფინანსა. ესენია: თეონა გრენადესა და ტერი გრენადეს „ძმა“ (150.000 ევრო), გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ (200.000 ევრო), ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ (110.000 ევრო). ასევე ევრიმაჟის დაფინანსება აქვს მოპოვებული ფონდში გაწევრიანებამდე ქართულ-ესპანურ-რუსულ კოპროდუქციას „ჩაიკა“ (210.000 ევრო).

იობსტ ფლოგი ვიზიტის ფარგლებში ნანა ჯანელიძესთან ერთად შეხვდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას, ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში შეხვდა ქართული კინო სექტორის წარმომადგენლებს. სპეციალურად „ევრიმაჟის“ პრეზიდენტისთვის კინოთეატრ რუსთაველში მოეწყო „მანდარინების“ სპეციალური ჩვენება.

— იობსტ ფლოგი ევრიმაჟის ფონდს 2009 წლიდან ხელმძღვანელობს, ის ამ პოსტზე მესამედ იქნა არჩეული 2-წლიანი ვადით და თანამდებობაზე 2015 წლის 19 ნოემბრამდე დარჩება. მანამდე ის ჰანოვერში იურისტად მუშაობდა, შემდეგ დაინიშნა მრჩევლის თანამდებობაზე ერთ-ერთ კომპანიაში, რომელსაც მოგვიანებით დირექტორის რანგშიც ხელმძღვანელობდა. ის გერმანიის რეგიონული საზოგადოებრივი მაუწყებლების კონსორციუმის პრეზიდენტი გახდა. სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობასთან ერთად, ის არტეს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად აირჩიეს, რის შემდეგაც ფრანგულ-გერმანულ ტელეარხ „არტეს“ ხელმძღვანელობდა. „არტეს“ წარმატებებისთვის იობსტ ფლოგი ფრანგული საპატიო ლეგიონის „შევალიეს“ წოდებაზე იყო ნომინირებული, რასაც შემდეგ მოჰყვა გერმანული სახელმწიფოს ჯილდო, საფრანგეთის ამორდერის უმაღლესი ხარისხი და სხვა არაერთი ჯილდო. ევრიმაჟის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჰამბურგის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია, ასევე ასწავლის აუდიოვიზუალის სამართალს როშტოკის უნივერსიტეტში, — განმარტავენ ეროვნულ კინოცენტრში.

კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიასთან შეხვედრაზე'ხაზი გაესვა ქართული კინოსექტორის უფრო ახლოს გაცნობას და კინოში ევროპული თანამშრომლობის მნიშვნელობას. შეხვედრას ასევე დაესწრო საქართველოს კინემა-



ტოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე და „ევრიმაჟში“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი თამარ ტატიშვილი.

— იობსტ ფლოგი არის ევროპულ კინოპოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა, რომელიც ამ სფეროში მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიების მონაწილე და გადამწყვეტია, — აღნიშნა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ.

ეროვნულმა კინოცენტრმა ჟურნალ „ფილმ პრინტის“ მეცხრე ნომრის პრეზენტაცია მწერლის სახლში მოაწყო. შემოდგომის ნომრის რედაქტორები გახდნენ კინომცოდნეები ნინო მხეიძე, ნენო ქავთარაძე და ანუკა ლომიძე. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. ახალ ნომერში აქცენტი, ტრადიციულად, გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფზე. მათ შორისაა მრგვალი მაგიდა — კინომცოდნეობის პრობლემატიკა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა კინომცოდნეებმა, ასევე მრგვალი მაგიდა — პროფესია მსახიობი, რომელშიც დისკუსიის მონაწილეები იყვნენ გიორგი ნაკაშიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, ლევან კიტია, ზაზა რუსაძე, გიორგი მასხარაშვილი, ჟურნალის რედაქტორები. ჟურნალში ასევე განთავსებულია ინტერვიუები კინოკრიტიკოსებთან გოგი გვახარიასთან და თეო ხატიაშვილთან. ნომერში ფართოდ არის მიმოხილული ბათუმის არტჰაუს კინოს მე-8 საერთაშორისო ფესტივალი და სხვა საინტერესო კინომოვლენები.

— ჟურნალის მიზანია ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ, — აღნიშნა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ეროვნული კინოცენტრის მოწვევით საქართველოში ბერლინალეს ფესტივალის სელექტორი ნიკოლაი ნიკიტინიც იმყოფებოდა, რომელმაც საჯარო ლექცია და ორდღიანი ვორქშოფი გამართა. ბერლინალეს კინოფესტივალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამაყურებლო კინოფესტივალია კანის კინოფესტივალთან ერთად. ნიკოლაი ნიკიტინი ამ კინოფესტივალის დელეგატი და სელექტორი, ასევე კინოაგენტთა სკოლის დირექტორია, რომელმაც კინოპროექტების საფესტივალო სტრატეგიასა და წარდგენასთან დაკავშირებით ერთი საჯარო ლექცია და ორდღიანი ინტენსიური ვორკშოპი ჩაატარა. საჯარო ლექცია მიეძღვნა თემას „ჩემი ფილმისთვის ფესტივალი მუდამ მოიძებნება“.

— ნიკოლაი ნიკიტინმა საჯარო ლექციისას განიხილა, თუ რას მოელიან კინოფესტივალები და როგორ ხორციელდება მიმოხილვა და საფესტივალო პროგრამის შედგენა. ლექციაზე ასევე წარმოდგენილ იქნა მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კინოფესტივალების მიმოხილვა, მათი მახასიათებლებისა და მიზნების ჩათვლით. მან ასევე ისაუბრა ევროპული კინოფინანსირების სისტემაზე. რაც შეეხება საჯარო ლექციას, ის გოეთეს ინსტიტუტში ჩატარდა ინგლისურ ენაზე ქართული სუბტიტრებით. ორდღიან ინტენსიურ ვორკშოპზე მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა თემაზე „სად შემიძლია წავიდე ჩემი მოკლემეტრაჟიანი ფილმით“. მისი ვორკშოპი განკუთვნილი იყო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისთვის და სტუდენტებისთვის, რომლებმაც უკვე დაასრულეს ან ამჟამად მუშაობენ მოკლემეტრაჟიან ფილმზე ან სცენარზე. ვორკშოპი საინტერესო აღმოჩნდა მათთვისაც, ვისაც ჯერ არ გააჩნია პროექტი, მაგრამ დაინტერესებულია პროცესით. ვორკშოპის ძირითადი თემები იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარდგენა, ფესტივალის ბაზარზე პოზიციონირებისთვის საუკეთესო გზის დაგეგმვა, საკუთარი ხედვის გაზიარება და სიუჟეტის დახვეწა. არჩეულ მონაწილეებს საშუალება მიეცათ კოლაბორაციულ გარემოში გაეზიარებინათ ექსპერტისთვის საკუთარი შემოქმედებითი ხედვა. ვორქშოფის მონაწილეების ასაკი განისაზღვრა 29 წლით, მათ უნდა შეძლებოდათ ინგლისურად ზეპირი კომუნიკაცია. მონაწილეობისათვის კინოსფეროში ფორმალური განათლება აუცილებელი არ იყო. ნიკოლაი ნიკიტინი 12 წლის წინ დაინიშნა ბერლინის კინოფესტივალის დელეგატად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. იგი არის არაერთი ორგანიზაციის წევრი და ფესტივალის „ფილმპლასის“ სამხატვრო დირექტორი. იგი ასწავლის კინოისტორიას გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კინოჟურნალს, არის ევროპის ცნობილი პროდიუსერთა ქსელის საფესტივალო სტრატეგიების ექსპერტი და ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი. იგი არის შესარჩევი კომისიის წევრი ფესტივალში გოუ ისტ (ვისბადენი) და ასევე ადგენს სერბეთის და ბელგიის ფესტივალების პროგრამას. წელს აგვისტოდან დაიწყო მისი ახალი პროექტი, რომელიც ქალაქ ვროცლავში, პოლონეთში ტარდება, — განმარტეს ეროვნულ კინოცენტრში.

რაც შეეხება ვორქშოფს, ორი დღის განმავლობაში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა საჯარო ლექცია გოეთეს ინსტიტუტში. საჯარო ლექცია და ვორქშოფი განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტის საქართველოს მხარდაჭერით.

— ვორკშოპი განხორციელდა ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, გოეთეს ინსტიტუტის პროგრამის „განვითარების, განათლებისა და კულტურის ფაბრიკა“ მხარდაჭერით და გულისხმობდა გამოცდილების გაზიარებას ხელოვნების სფეროში. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა საჯარო ლექციების და ვორკშოპების სერიების განხორციელება, რომლებსაც გერმანელი და გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ხელოვანები ჩაატარებენ, ქართველი სტუდენტების პროფესიულ განვითარების მიზნით, — ამბობენ ეროვნულ კინოცენტრში.

უკვე გამოცხადდა პროექტების მიღება 2014 წლის ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობაზე. ამასთან დაკავშირებით ეროვნული კინოცენტრი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

— ჩვენ მოხარულნი ვართ, გახსნილად გამოვაცხადოთ პროექტების წარდგენა მე-11 ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზარზე, რომელიც ჩატარდება 2014 წლის 9-11 თებერვალს, როგორც 64-ე ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ნაწილი (6-16 თებერვალი). ჩვენი მეთერთმეტე ცერემონიისათვის ისევ მოუთმენლად ველით, აღმოვაჩინოთ ახალი და პერსპექტიული პროექტები, რომ შევძლოთ მათი შეთავსება პოტენციურ კოპროდუქციასთან და დამფინანსებელ პარტნიორებთან ბერლინალეზე, რომ დავეხმროთ მათ პროექტების მომზადებაში. შერჩევა მოხდება 2013 წლის 20 დეკემბრისთვის და შედეგები გამოქვეყნდება იანვარში. ჩვენ ასევე ვპატიჟებთ რეჟისორებს, რომლებიც თანამშრომლობენ აღიარებულ და პერსპექტიულ პროდიუსერებთან, რომლებსაც, შესაძლებელია, ჯერ არ მოუპოვებიათ საერთაშორისო მნიშვნელობის აღიარება, რომ წარადგინონ თავიანთი პროექტები ჩვენს სპეციალურ სექციაში, რომელიც წარმოადგენს თანამშრომლობას ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზარსა და ბერლინალეს ტალანტ კამპუსს შორის. პროექტები უნდა წარმოადგენდეს სრულმეტრაჟიან ფანტასტიკას ან კრეატიულ დოკუმენტურ ფილმებს დიდ ეკრანებზე ჩვენების მიზნით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო კოპროდუქციას. სასურველია, ხელზე იქონიონ ფულადი სახსრები, მაგრამ სავალდებულო არ არის. ბიუჯეტთან დაკავშირებული შეზღუდვები არ არის. პროდიუსერებს შეუძლიათ, თვითონ მიმართონ ამ პროექტის მესვეურებს ან წაახალისონ თავიანთი რეჟისორები ამ საქმისთვის. თუ გაქვთ შეკითხვები პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზარზე მონაწილეობის მიღება პროექტის გარეშე (როგორც კო-პროდიუსერი, პოტენციურად დაინტერესებული ჩვენ მიერ შემდგომში შერჩეული პროექტებით), გთხოვთ, დაუკავშირდეთ ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზარს.

# ყინწვისში უნებართვო მშენებლობა შეჩერებულია

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ნის კედლები მოგვიანებით შეამკეს განკითხვის დღის ვრცელი კომპოზიციით, რომელიც მთელ სივრცეს ავსებს. აქვე, ჩრდილოეთ კედელზე, გამოსახულია XVII საუკუნის ქართველი მოღვაწე თავადი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, ცნობილი თავისი საექიმო წიგნით.

ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველშიც შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული მოხატულობა, რომელიც უნიკალური იკონოგრაფიული პროგრამით და მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა. წმიდა ნიკოლოზის ტაძრის კედლის მხატვრობა რესტავრირებულ იქნა 1950-იან წლებში და შემდგომ — 2000-2002 წლებში.

— ყინწვისის სამონასტრო კომპლექსში შედის წმიდა ნიკოლოზის, ღვთისმშობლისა და მცირე ეკლესიები, გალავანი, კოშკი-სამრეკლო. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლისა და სამონასტრო ანსამბლის ყინწვისის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩა XIII საუკუნის დასაწყისის წმიდა ნიკოლოზის ჯვაროვან-გუმბათოვანი, გეგმით მართკუთხა ტაძარი. საერთო იერით უახლოვდება ტიმოთესუბანს. ნაგებია აგურით, საკურთხევლის აფსიდი ბემიანია. აფსიდებითაა დასრულებული სამკვეთლოცა და სადიაკვნეც. შიგა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავი, რომელთაგან აღმოსავლეთი მკლავის გარდა ყველა სწორკუთხაა. დასავლეთი მკლავი უფრო გრძელია. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით, რომლებზეც ამოყვანილია 12-სარკმლიანი გუმბათის ყელი. სარკმლები შემკულია აგურის წყობით გამოყვანილი თაღებით. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის. შენობა შიგნით თავიდანვე შეულესავთ და მოუხატავთ, ფრესკების დიდი ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ რაც დარჩა, მხატვრული ღირსებით შუა საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლის მონუმენტური ფრესკაა. ჩრდილოეთ კედელზე მაცხოვრის აღდგომის კომპოზიციიდან აღსანიშნავია ანგელოზის გამოსახულება. მომხიბლავია ფრესკების კოლორიტის ჰარმონიულობა. ფონისთვის გამოყენებულია მოცისფრო-მოლურჯო ტონი, შარავანდებისათვის — ოქრო. ფიგურები პლასტიკურია, სამოსის ნაოჭები მსუბუქი, სახეები — მეტყველი. კომპლექსის ნაგებობათაგან შემორჩა აგრეთვე XIII საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები ფრესკებითა და კანკელით, განვითარებულია შუა საუკუნეების მცირე ეკლესია და გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა ნაგებობანი, — განმარტავენ სააგენტოში.

საქართველოს საპატრიარქო და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აცნობიერებენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით უფრო ეფექტური თანამშრომლობის აუცილებლობას, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩო-შეთანხმებით იქნება გამყარებული.

— აღნიშნული პროექტის მიზანია „ინსტიტუციონალური ღონისძიებების განხორციელების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოქნილი სისტემის დანერგვა“, რაც ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებითა და ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, სახელმწიფოსა დაეკლესიას შორის ძეგლთა დაცვის სფეროში, ქვეყნისთვის მისაღები თანამშრომლობის მოდელის შემუშავების უნიკალურ შესაძლებლობას მოგვცემს, — ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო-


## განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის პროდუქტებით უოპერაციოდ ვმკურნალობთ მასტოპათიას, საკვერცხის კისტას, მიომას, ბუასილს, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულს, კვანძოვან ჩიყვს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს, ნევროზს, კოლიტს, დისბაქტერიოზს, დიაბეტს, ეპილეფსიას, ენურეზს. ტელ: 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონალური დიაგნოსტიკა, დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების არსებობა, ასევე სიმსივნის ადრეული სტადიები, შემდეგ ინიშნება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და ფუტკრის პროდუქტებით. 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთმდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტს იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საქართველომ კანადა ჩხუბით დაამარცხა

**საქართველო – კანადა 19:15**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი (თედო ზიბზიბაძე 27), დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე; მიხეილ ნარიაშვილი (დავით ხინჩიგაშვილი 59), შალვა მამუკაშვილი (სიმონ მაისურაძე 73), დავით ქუბრიაშვილი (ლევან ჩილაჩავა 59), კონსტანტინე მიქაუტაძე (შალვა სუთიაშვილი 67), ლევან დათუნაშვილი (გიორგი თხილაიშვილი 79), ვიქტორ კოლელიშვილი, მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე;

**მარქაფა:** ვაჟა ხუციშვილი, ბექა წიკლაური;"

**1 ლელო:** ზიბზიბაძე

**1 გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**4 ჯარიმა:** კვირიკაშვილი (4)

**კანადა:** მეთ ევანსი, ჯეფ ჰასლერი, ქონორ თრეინორი, ჰარი ჯოუნზი, ფილ მაკქენზი, ლიემ ანდერვუდი (ნიკ ბლევინსი 38), ფილ მაქი (ჯეიმი მაკქენზი 70); ჰუბერტ ბაიდენსი, რეი ბარქვილი (ბენუა პიფერო 40), ენდრიუ თიდემანი (ჯეიკ ილნიცკი 40), ჯონ ფელანი (ნანაიაკ დალა 70), ბეტ ბუქებუმი (ტაილერ ჰოთსონი 52), ჯებ სინკლერი, ჯონ მუნლაითი, ტაილერ არდრონი;

**სათადარიგოები:** დიჯეი სიარს-დიურუ, ადამ ქლიბერგერი

**5 ჯარიმა:** ანდერვუდი (3), ჯოუნსი (2)

„ბორჯღალოსნებმა", პრაქტიკულად, ჩააგდეს პირველი ტაიმი, მაგრამ მეორე ნახევარში მოედანზე სულ სხვა შემართებით გავიდნენ და პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე. ქართველებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და მათ მიძალებას კანადელებმა ვერ გაუძლეს, უკვე მე-2 წუთზე სტუმრები დაჯარიმდნენ და მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა – 3:0.

ამის შემდეგ ტაიმის დასრულებამდე თამაში ძირითადად ჩვენს ნახევარზე მიმდინარეობდა. ანგარიშის გახსნიდან თამაშის განახლებისთანავე ჩვენებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, რამაც დაჯარიმება გამოიწვია, მაგრამ ლიემ ანდერვუდმა ჯარიმაა ააცილა. ხიფათს მაინც ვერ გადავურჩით – კანადელების უკანა ხაზი ძალიან სწრაფად ათამაშდა, ქორონ თრეინორმა ხაზი გაჭრა, რასაც რამდენიმეფაზიანი შეტევა და ისევ ქართველთა დაჯარიმება მოჰყვა. ანდერვუდი ამჯერად ზუსტი იყო – 3:3.



მე-11 წუთზე უკვე კანადელები დაჯარიმდნენ და კვრიკაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან შანსი ვერ გამოიყენა. სტუმრები ისევ სწრაფად ათამაშდნენ და ხაზი კვლავ გაჭრეს, მაგრამ ჩათვლის ხაზთან მიახლოებულემა უზუსტო პასი გააკეთეს და გადავრჩით. თუმცა, დერეფანში მოგებული ბურთი ვერ შევინარჩუნეთ, დავჯარიმდით და ანდერვუდი ამჯერადაც ზუსტი იყო – 3:6.

მე-20 წუთზე ჩვენმა მიძალებამ ნაყოფი გამოიღო და კვირიკაშვილს ჯარიმით ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა, რაც გამოიყენა კიდეც – 6:6. 26-ე წუთზე ჩვენებმა მორიგი ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, კვრიკაშვილმა რთული მდგომარეობიდან წინ გაიყვანა საქართველოს ნაკრები – 9:6.

ამასობაში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ირაკლი მაჩხანელმა ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქმნა, რომელიც თედო ზიბზიბაძემ ჩაანაცვლა.

32-ე წუთზე ჩვენივე შერკინებაში დავჯარიმდით და ანდერვუდმა ისევ გაგვითანაბრა – 9:9.

37-ე წუთზე კოლელიშვილმა იუხეშა, მეტოქე ყელში შებოჭა, რასაც მოედანზე სერიოზული ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა – თანაგუნდელს კანადელთა კაპიტანი ტაირონ ანდრონი მუშტებით გამოესარჩლა, რასაც კოლელიშვილის რამდენიმე მძიმე დარტყმა მოჰყვა. შედეგად, ორივე მათგანი მოედნიდან იქნა გაძევებული, არადა, ჩხუბში თითქმის მთელი გუნდი მონაწოლეობდა ორივე მხარიდან. ჰარი ჯოუნსმა კი ჯარიმა გაგვიტანა – 9:12.

უნდა ვთქვათ, რომ ამ ჩხუბმა სასარგებლოდ საქართველოს ნაკრებზე იმოქმედა: შესაცვლელი გახდა კანადელთა მე-10 ნომერი და მთავარი დამრტყმელი ანდერვუდი, რის შემდეგ კანადელებს ხაზის დაწყობა უჭირდათ. ჩვენები მანამდე მეტოქეს ვერც ძალაში სჯობდნენ და ანდრონის გაძევების შემდეგ ეს უპირატესობაც მიიღეს. ამას თან დაერთო ჩხუბში ენდრიუ თიდემანის ტრავმაც და კანადელთა შერკინება საერთოდ მოიშალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კანადელებმა ბურთი აუტში არასწორად გადაიტანეს, მათივე 22-ში დერეფანი მოვიგეთ, მოლითაც შევუტიეთ, მაგრამ ბოლო ფაზაში ბურთი მეტოქეს გადავულოცეთ. იქვე კანადელებს შერკინებაში ბურთი მოვპარეთ, კარგი შეტევაც წამოვიწყეთ, მაგრამ მამუკა გორგოძეს ბურთი წინ გაუვარდა. მალევე კვირიკაშვილმა და ზიბზიბაძემ მეტოქის ხაზი გაჭრეს, ბოლო მომენტში ბურთი დავკარგეთ, მაგრამ მალევე დავიბრუნეთ, ხაზი გავშალეთ და ზიბზიბაძემ ჩათვლის მოედანში შეაღწია, მეკომ გარდასახვა ზუსტად დაარტყა – 16:12.

57-ე წუთზე კანადელებმა ჯარიმის უფლება მიიღეს და ჯოუნსმა სხვაობა მინიმუმადე დაიყვანა. თუმცა, ჯარიმის უფლება მალე ჩვენც მივიღეთ და კვირიკაშვილმა სტატუს კვო აღადგინა – 19:15.

72-ე წუთზე მჭედლიძის აქტიურ თამაშს სახიფათო შეტევა და ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დერეფანი მოჰყვა, რომელიც მოვიგეთ, მაგრამ ბურთი იქვე დავკარგეთ, თუმცა მალევე დავიბრუნეთ და მორიგი სახიფათო შეტევა წამოვიწყეთ, რასაც 5-მეტრა შერკინება მოჰყვა. ქართველთა მიძალებას ჯარიმა მოჰყვა, თუმცა, მეკოს ამჯერად სიზუსტემ უმტყუნა.

ბოლო წუთები კანადელები ცდილობდნენ ლელო დაედოთ და მატჩი სათავისოდ შემოებრუნებინათ, მაგრამ ბორჯღალოსნებმა თავი კარგად დაიცვეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

კანადასთან მოგებულ შეხვედრაში საუკეთესო მორაგბედ გიორგი ბეგაძე დაასახელეს და მას „ართ-თაიმმა" საჩუქრად საათი გადასცა. ახლა „ბორჯღალოსნები" ცოტას დაისვენებენ, ძალებს აღიდგენენ და 16 ნოემბრისთვის მოემზადებიან. ქართველთა მეტოქე აშშ-ს ნაკრები იქნება, თამაში კი რუსთავის ახალ სტადიონზე გაიმართება და 14 საათზე დაიწყება.

**მატჩის შემდეგ**

**ქიარან ქროული, კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეორე ნახევარში აღარაფერი გამოგვივიდა. ჩვენ ხელდახელ ვცდილობდით თამაშს, მაგრამ ხან ბურთი გვივარდებოდა, ხან აუტში გადავყავდით და რაქებშიც არაერთხელ დავკარგეთ ბურთი. ჩვენი მიზანი თამაშის მოგება იყო, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა გვაჯობა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

**ტაილერ არდრონი, კანადის ნაკრების კაპიტანი:**

– ჩვენ ყველგან მოსაგებად დავდივართ და დღესაც გამარჯვება გვსურდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა და უფრო მათ მოგვიგეს, ვიდრე ჩვენ წავაგეთ.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

– მართალია, თამაში მოვიგეთ, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ. პირველ ტაიმში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, არადა, ბევრად უკეთ შეგვიძლია თამაში. შესვენებისას თავად ბიჭებიც იმედგაცრუებულნი იყვნენ, მაგრამ მათ კონკრეტული დავალებები მივეცი, ბურთი შევინარჩუნეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველმა ტაიმმა უმეტესად ჩვენს ნახევარზე ჩაიარა და ეს იმიტომ, რომ ფეხით მთლად კარგად ვერ გადავდიოდით მეტოქის მხარეს. ზუსტად ამაზე გავაკეთეთ აქცენტი და შესვენების შემდეგ შედეგიც მივიღეთ. შეცდომები წვიმამაც განაპირობა, ბურთი და მოედანი სველი იყო. მთლიანობაში, ჩვენი კონდიციების და მეტოქის ძალის გათვალისწინებით, შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. ირაკლი მაჩხანელმა კოჭი იტკინა და ახლა ექიმთან მიდის შესამოწმებლად. ჯერ არ ვიცით შეძლებს თუ ვერა ის ერთ კვირაში თამაშს, მაგრამ მის შემცვლელ კაპიტანზე, ან სხვა მოთამაშის გამოძახებაზე ჯერ არ მიფიქრია. რაც შეეხება პირველი ტაიმის მიწურულს მომხდარ ინციდენტს, მე მესმის, რომ ქართველები მებრძოლი ხალხი ხართ, მაგრამ რაგბის მოყვარულს ეს არ მოეწონებოდა. საერთაშორისო დონეზე მსგავსი რამ თითქმის არ ხდება. მოთმენა უნდა ვისწავლოთ და ვიტოსაც რომ მოეთმინა მეტოქის გამოხდომა, შესაძლოა, მხოლოდ ის დასჯილიყო და ჯარიმის შესრულების უფლებაც ჩვენ გადმოგვცემოდა.

**შალვა სუთიაშვილი, საქართველოს ნაკრების მორაგბე:**

– კანადასთან მეოთხედ ვითამაშეთ და საერთო ანგარიში გავათანაბრეთ (2:2). ჩემი აზრით, კანადის ნაკრები ახლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შარშან, სტუმრად რომ ვეთამაშეთ. ჩვენი თამაში ამინდმა გაართულა. მთელი კვირა მზეში ვემზადებოდით, თამაშის დღეს კი წვიმა წამოვიდა. ამან პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ მეორე ტაიმში თამაშის სტილი შევცვალეთ და გამარჯვება მოვიპოვეთ. მინდა, მადლობა მინდა გადავუხადი იმ ხალხს, რომლებმაც ბოლომდე მხარი დაგვიჭირა. გულშემატკივარს ვპირდებით, რომ აშშ-სთანაც ბოლომდე ვიბრძოლებთ და კვლავ ვეცდებით მათ გახარებას. ვფიქრობ, ერთ კვირაში ჩვენი თამაში კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბესიკ ლიპარტელიანი: „ჩვენ გვექნება კიდევ რამდენიმე მცდელობა, რომ მეორე მხარეს შევხვდეთ"

სასტუმრო „რედისონში", კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრები თბილისის საკალათბურთო კავშირებსა და ორგანიზაციებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე არ მივიდა „კალათბურთელთა კავშირის" პრეზიდენტი მიხეილ ახვლედიანი და ყველა ის მწვრთნელი თუ ვეტერანი, რომელიც ამ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული. შეხვედრაზე ასევე მიწვეული იყო „კალათბურთის კავშირიც" გიორგი მარკოიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც „რედისონში" არ გამოჩენილა.

**თავდაპირველად სიტყვით პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, თბილისის კალათბურთის განვითარების ვიცე-პრეზიდენტი, მიხეილ გაბრიჩიძე გამოვიდა:**

– არ შემიძლია, აღშფოთება არ გამოვხატო იმ უსაფუძვლო ბრალდებების გამო, რომლებსაც მიხეილ ახვლედიანი ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ავრცელებს. მისი თქმით, ფედერაციის დაფუძნებულია არაერთი კავშირი და ორგანიზაცია. ამით ის შეურაცხყოფას გვაყენებს, გამოდის, რომ კალათბურთის განვითარების კავშირი ვინმე სხვისი დაფუძნებულია, თუ არა იმ ხალხის, ვინც მისი წევრები არიან. ჩვენ ჩვენი ბიზნესით ვშოულობთ ფულს და არც ფედერაციისთვის, არც სახელმწიფოსთვის მოგვითხოვია დახმარება. გუშინ დავასრულეთ მე-5 ტურნირი, რომელიც ჩვენმა კავშირმა ჩაატარა.

**თემურ დათიკაშვილი, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრი:**

– 25 წელია, პატარებში თბილისის ჩემპიონატი არ ჩატარებულა. ჩვენ უკვე ჩავატარეთ 16 და 18-წლიანთა დედაქალაქის პირველობა. ის კი არა, ერთ-ერთმა ბავშვმა ხელი მოიტეხა და წავედით, იმასაც ვუმკურნალეთ. არავის დასაყვედრებელი არაფერი არ გვაქვს.

**ვახტანგ ნაცვლიშვილი, თბილისის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– თბილისის კალათბურთის ფედერაციაც 2013 წელსაა დაარსებული, ისევე, როგორც კიდევ 10-მდე ორგანიზაცია და ჩნდება ლეგიტიმური კითხვები: რატომ დარეგისტრირდნენ ასე მასობრივად. ამავდროულად, ეს არ არის განმსაზღვრელი, რადგან ყველას სუბიექტური ნებაა, თუ როდის დაარეგისტრირებს თავის ორგანიზაციას. მთავარია, თუ რას საქმიანობ და მე ვეთანხმები თბილისის კალათბურთის განვითარების წარმომადგენლებს, ეს ადამიანები საქმიანობენ და მართლაც შეურაცხმყოფელია ვიღაცისგან შენიშვნები, თუ რატომ დარეგისტრირდნენ ახლა. მაგრამ ზოგი ფედერაცია მართლაც ქაღალდზე რჩება, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის კალათბურთის ფედერაციაზე, რომელსაც 2013 წლის მარტის თვიდან, რაც ვარსებობთ, 300.000 ლარი გვაქვს უკვე დახარჯული. მე მაქვს წინადადება, რომ ამ დაძაბულობისა და გაუგებრობების ასაცილებლად ფიბა-დან მოწვეულ იქნენ შესაბამისი ექსპერტები, რომლებიც ადგილზე დააკვირდებიან იმ სიტუაციას, რაც არჩევნებს ახლავს. არ ვიცი, ეს როგორ და რა ფორმით მოხდება, ან რამდენი ადამიანი უნდა ჩამოვიდეს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია. ეს დაგვეხმარება იმის განსასაზღვრად, თუ რა არის სწორი, ვის უნდა ჰქონდეს ხმა. მე დღესაც გავიმეორებ, რომ ხმა არ უნდა განისაზღვროს იმის შესაბამისად, თუ რამდენად კარგად თამაშობდა ვინმე კალათბურთს. მიმაჩნია, რომ ფიზიკურ პირებს არ უნდა ჰქონდეთ საარჩევნო ხმა, არამედ მხოლოდ იურიდიული პირები უნდა სარგებლობდნენ ხმის უფლებით.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-კარდიფი ........ 2:0
ლივერპული-ფულემი ........ 4:0
საუთჰემპტონი-ჰალი ........ 4:1
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი ........ 2:2
კრ.პალასი-ევერტონი ........ 0:0
ნორვიჩი-ვესტ ჰემი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-9 | 25 |
| 2.ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 21-10 | 23 |
| 3.საუთჰემპტონი | 11 | 6 | 4 | 1 | 15-5 | 22 |
| 4.ჩელსი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 5.ევერტონი | 11 | 5 | 5 | 1 | 14-10 | 20 |
| 6.ტოტენჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 9-5 | 20 |
| 7.სიტი | 10 | 6 | 1 | 3 | 28-11 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-13 | 17 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| 10.ასტონ ვილა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-12 | 14 |
| 11.ნიუკასლი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 14 |
| 12.ჰალი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-14 | 14 |
| 13.კარდიფი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 14.სუონსი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-12 | 11 |
| 15.ნორვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-21 | 11 |
| 16.ვესტ ჰემი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-11 | 10 |
| 17.ფულემი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-19 | 10 |
| 18.სტოკი | 10 | 2 | 3 | 5 | 7-11 | 9 |
| 19.სანდერლენდი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-22 | 4 |
| 20.კრ. პალასი | 11 | 1 | 1 | 9 | 6-21 | 4 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

რედინგი-ქპრ ........ 1:1
ბარნსლი-დონკასტერი ........ 0:0
ბარნლი-ბორმნუთი ........ 1:1
ბლექპული-იფსვიჩი ........ 2:3
ბოლტონი-მილუოლი ........ 3:1
ბრაიტონი-ბლექბერნი ........ 3:0
დერბი-უენსდი ........ 3:0
ლესტერი-ნოტინგემი ........ 0:2
მიდლსბრო-უოტფორდი ........ 2:2
ჰადერფილდი-ბირმინგემი ........ 1:3
ჩარლტონი-ლიდსი ........ 2:3

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-სოსიედადი ........ 5:1
ხეტაფე-ელჩე ........ 1:1
ბილბაო-ლევანტე ........ 2:1
სელტა-რაიო ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 34-7 | 34 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 11 | 0 | 1 | 30-8 | 33 |
| 3.რეალი | 13 | 10 | 1 | 2 | 35-17 | 31 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-12 | 23 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-18 | 23 |
| 6.ხეტაფე | 13 | 6 | 2 | 5 | 17-14 | 20 |
| 7.სოსიედადი | 13 | 4 | 5 | 4 | 19-17 | 17 |
| 8.გრანადა | 13 | 5 | 2 | 6 | 11-13 | 17 |
| 9.ლევანტე | 13 | 4 | 5 | 4 | 13-17 | 17 |
| 10.ვალენსია | 12 | 5 | 1 | 6 | 15-19 | 16 |
| 11.ესპანიოლი | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 12.ელჩე | 13 | 3 | 5 | 5 | 13-17 | 14 |
| 13.მალაგა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 14.სევილია | 12 | 3 | 4 | 5 | 20-25 | 13 |
| 15.სელტა | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 16.ალმერია | 13 | 3 | 3 | 7 | 15-24 | 12 |
| 17.რაიო | 13 | 4 | 0 | 9 | 12-30 | 12 |
| 18.ვალიადოლიდი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-18 | 11 |
| 19.ოსასუნა | 13 | 3 | 1 | 9 | 10-22 | 10 |
| 20.ბეტისი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-20 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბარსელონა ბ-ხაენი ........ 0:3
ლუგო-მურსია ........ 1:1
სარაგოსა-ნუმანსია ........ 1:2
ალკორკონი-კორდობა ........ 0:0
ერკულესი-ლას პალმასი ........ 2:1

### იტალია. სერია ა

კატანია-უდინეზე ........ 1:0
ინტერი-ლივორნო ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 11 | 10 | 1 | 0 | 25-2 | 31 |
| 2.ნაპოლი | 11 | 9 | 1 | 1 | 24-8 | 28 |
| 3.იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 23-10 | 28 |
| 4.ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 29-12 | 25 |
| 5.ვერონა | 11 | 7 | 1 | 3 | 22-17 | 22 |
| 6.ფიორენტინა | 11 | 6 | 3 | 2 | 22-13 | 21 |
| 7.ლაციო | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 8.ჯენოა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-14 | 14 |
| 9.ატალანტა | 11 | 4 | 1 | 6 | 12-14 | 13 |
| 10.უდინეზე | 12 | 4 | 1 | 7 | 11-15 | 13 |
| 11.მილანი | 11 | 3 | 3 | 5 | 17-19 | 12 |
| 12.ტორინო | 11 | 2 | 6 | 3 | 17-19 | 12 |
| 13.პარმა | 11 | 3 | 3 | 5 | 16-19 | 12 |
| 14.ლივორნო | 12 | 3 | 3 | 6 | 13-18 | 12 |
| 15.კალიარი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-19 | 10 |
| 16.ბოლონია | 11 | 2 | 4 | 5 | 13-22 | 10 |
| 17.სამპდორია | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 18.კატანია | 12 | 2 | 3 | 7 | 8-19 | 9 |
| 19.სასუოლო | 11 | 2 | 3 | 6 | 12-27 | 9 |
| 20.კიევო | 11 | 1 | 2 | 8 | 7-18 | 5 |

### იტალია. სერია ბ

ბარი-ვარეზე ........ 2:1
ბრეშა-აველინო ........ 0:2
კარპი-კროტონე ........ 1:2
ლანჩანო-სიენა ........ 1:1
ნოვარა-ლატინა ........ 2:2
პალერმო-ტრაპანი ........ 3:0
რეჯინა-პადოვა ........ 2:1
ჩიტადელა-პესკარა ........ 0:1
იუვე სტაბია-მოდენა ........ 1:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-აუგსბურგი ........ 3:0
ლევერკუზენი-ჰამბურგი ........ 5:3
ვოლფსბურგი-დორტმუნდი ........ 2:1
ჰოფენჰაიმი-ჰერტა ........ 2:3
შალკე-ვერდერი ........ 3:1
გლადბახი-ნიურნბერგი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 10 | 2 | 0 | 27-7 | 32 |
| 2.დორტმუნდი | 12 | 9 | 1 | 2 | 32-11 | 28 |
| 3.ლევერკუზენი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-14 | 28 |
| 4.გლადბახი | 12 | 7 | 1 | 4 | 28-16 | 22 |
| 5.ვოლფსბურგი | 12 | 7 | 0 | 5 | 18-14 | 21 |
| 6.შალკე | 12 | 6 | 2 | 4 | 23-23 | 20 |
| 7.ჰერტა | 12 | 5 | 3 | 4 | 20-16 | 18 |
| 8.ვერდერი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| 9.ჰანოვერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-19 | 14 |
| 10.შტუტგარტი | 11 | 3 | 4 | 4 | 21-20 | 13 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 28-28 | 13 |
| 12.მაინცი | 11 | 4 | 1 | 6 | 16-23 | 13 |
| 13.აუგსბურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 13-23 | 13 |
| 14.ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 26-29 | 12 |
| 15.აინტრახტი | 11 | 2 | 4 | 5 | 14-20 | 10 |
| 16.ფრაიბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 12-21 | 8 |
| 17.ბრაუნშვაიგი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| 18.ნიურნბერგი | 12 | 0 | 7 | 5 | 12-25 | 7 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-მიუნხენ 1960 ........ 0:1
უნიონი-კარლსრუე ........ 0:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ნიცა ........ 3:1
ვალანსიენი-მონპელიე ........ 1:1
გენგამი-ლილი ........ 0:0
ლორიენი-რეიმსი ........ 0:0
ბასტია-რენი ........ 1:0
ტულუზა-აიაჩო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 9 | 4 | 0 | 27-8 | 31 |
| 2.ლილი | 13 | 8 | 3 | 2 | 15-4 | 27 |
| 3.მონაკო | 13 | 7 | 5 | 1 | 21-11 | 26 |
| 4.ნანტი | 12 | 6 | 2 | 4 | 16-10 | 20 |
| 5.რეიმსი | 13 | 4 | 7 | 2 | 15-12 | 19 |
| 6.მარსელი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-12 | 18 |
| 7.სტ. ეტიენი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-15 | 18 |
| 8.გენგამი | 13 | 5 | 3 | 5 | 16-14 | 18 |
| 9.ბასტია | 13 | 5 | 3 | 5 | 15-19 | 18 |
| 10.რენი | 13 | 4 | 5 | 4 | 16-13 | 17 |
| 11.ბორდო | 12 | 4 | 5 | 3 | 16-14 | 17 |
| 12.ნიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 14-16 | 17 |
| 13.ევიანი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-21 | 16 |
| 14.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 11-19 | 16 |
| 15.ლიონი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-15 | 15 |
| 16.მონპელიე | 13 | 2 | 8 | 3 | 16-17 | 14 |
| 17.ლორიანი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-23 | 11 |
| 18.ვალანსიენი | 13 | 2 | 3 | 8 | 11-20 | 9 |
| 19.აიაჩო | 13 | 1 | 5 | 7 | 9-19 | 8 |
| 20.სოშო | 12 | 1 | 4 | 7 | 10-22 | 7 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

მეცი-დიჟონი ........ 2:0
არლე-ბრესტი ........ 1:0

### ჰოლანდია. ეპედივიზიონი

როდა-იგლზი ........ 1:4
ვიტესი-უტრეხტი ........ 3:1
ერაკლესი-გრონინგენი ........ 0:3
დენ ჰააგი-კამბური ........ 3:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

ტომი-ლოკომოტივი ........ 2:0
კრ.სოვეტოვი-დინამო ........ 1:2
სპარტაკი-ზენიტი ........ 4:2
ამკარი-ანჟი ........ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

როსი-სელტიკი ........ 1:4
აბერდინი-ჰართსი ........ 1:3
მოზერველი-დ.იუნაიტედი ........ 0:4
პარტიკი-სტ.მირენი ........ 0:3
სტ.ჯონსონი-კილმანროკი ........ 3:1
ჰიბერნიანი-ინვერნესი ........ 0:2

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-ნოიშტადი ........ 4:0
აუსტრია-ვოლფსბერგერი ........ 1:0

### ბელგია. პროლიგა

ლეუვენი-ლიერსი ........ 2:0
ოსტენდე-მონსი ........ 2:0
სერკლი-კორტრაიკი ........ 3:1
შარლერუა-გენტი ........ 0:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-გაზიანთეპი ........ 3:0
ქაისერი-ბეშიქთაში ........ 0:3
სივასი-ბურსა ........ 2:1
ქარაბუქი-რიზე ........ 2:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პლატანიასი-აპოლონი ........ 2:0
იანინა-ოფი ........ 2:1
არისი-პანათინაიკოსი ........ 0:2

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ზნოიმო-სლოვაცკო ........ 1:2
ბოლესლავი-პლზენი ........ 1:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-კრაკოვია ........ 1:1
პოდბესკიჟიე-ლეჩნა ........ 3:1
ლეხი-რუხი ........ 4:2

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელნადი-სონდერიისკე ........ 3:0

### ბრაზილია. სერია ა

ბაია-ატლეტიკო(მ) ........ 0:0
პორტუგეზა-კურიტიბა ........ 0:0
ფლამენგო-გოიასი ........ 1:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ოლიმპო-ქილმესი ........ 0:1
ოლ ბოიზი-ხიმნასია ........ 2:1
ესტუდიანტესი-როსარიო ........ 1:1
ოლდ ბოიზი-სან ლორენცო ........ 1:1

# ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას ინიციატივით ილია ჭავჭავაძის ძეგლზე რეაბილიტაცია იწყება. ამ ძეგლზე განსახორციელებელი სამუშაოები ღია ცის ქვეშ იქნა განხილული. კულტურის მინისტრის მოწვევით, ადგილზე, ძეგლის ინფრასტრუქტურის შესახებ სამმა უწყებამ იმსჯელა.

შეხვედრას დაესწრნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი, მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე, პრობაციის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი გიორგი არსოშვილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო შარაშიძე, მოადგილე შალვა ამირაჯიბი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდია, ასევე სამინისტროების წარმომადგენლები.

ძეგლის რეაბილიტაციის დაწყებამდე, უწყებები პირველ რიგში შეთანხმდნენ მოსამზადებელი სამუშაოების, გარემოს დასუფთავების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და სხვა განსახორციელებელი საკითხების შესახებ.

საგურამოში მდებარე ილიას ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია. გურამ ოდიშარიას ინიციატივით ილიას ძეგლის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჩაერთვება.

ეს ინიციატივა ილია ჭავჭავაძის 176 წლისთავთან დაკავშირებით გაჟღერდა. ეს თარიღი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მთაწმინდის პანთეონში საგანგებო ღვთისმსახურებით აღნიშნა და საგურამოსაც ესტუმრა.

გადაწყდა, რომ ძეგლზე სამუშაოების დაწყებამდე დასუფთავდება მიმდებარე ტერიტორია და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა. ძეგლის რეაბილიტაციის პროექტზე ტენდერს მცხეთის მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში „ილიაობას" ზეიმობენ, სოციალურ ქსელებში ილიას ძეგლის გადასარჩენი კამპანია მიმდინარეობს. წიწამურთან აღმართული ქანდაკება სავალალო მდგომარეობაშია. ძეგლი, რომელიც 30 წლის წინ მოქანდაკე ლევან მხეიძემ დადგა, მცხეთის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. გამგეობა სახსრების არქონის გამო ილიას ძეგლს ვერაფერს შველის. მხოლოდ დღეს გაირკვა, რომ კულტურის სამინისტრო რესტავრაციის საქმეში თანამონაწილეობას მიიღებს.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად არის მიჩნეული. ის ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად და მას წმინდა ილია მართალი ეწოდება.

ილია ჭავჭავაძემ სწავლა პეტერბურგში ისურვა, თუმცა ავადმყოფობის გამო რამდენიმე თვით საქართველოში დაბრუნდა. კოხტა აფხაზი ილიას სტუდენტობაზე წერდა: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. ჩვენ სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზე. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს".

ილიას სტუდენტობის ხანა პეტერბურგში დაემთხვა რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს. ახალგაზრდა ილია ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ევროპაში. ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. ისინი ილიას გარშემო შეიკრიბნენ და საქართველოში დაბრუნების შემდეგ შექმნეს „პირველი დასი". ილიას დროს შეიქმნა რუსეთში ქართველი სტუდენტობის „თერგდალეულთა" ტრადიციებიც. მისი შემოქმედება სავსეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით, მძაფრი პროტესტით ბატონყმობის წინააღმდეგ. მასვე ეკუთვნის პოეტური თარგმანები შილერის, ჰაინეს, რიუკერტის, ბაირონის, სკოტის, შენიეს, პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწარმოებისა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ილიამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე". მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა. პოეტი აქტიურად ჩაება ფართო პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომლებსაც ბოლო წლებში რამდენადმე ჩამოცილებული იყო. ის აირჩიეს თავმჯდომარედ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისა, რომელიც ქართულ ეროვნულ ბანკად იქცა და უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა ყველა ძირითად კულტურულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. ის იყო მისივე ინიციატივით დაარსებული ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავმჯდომარის მოადგილე, სიცოცხლის დასასრულამდე კი — ამ საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე. ილია ჭავჭავაძემ დააარსა გაზეთი „ივერია", რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო. მანვე თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი" ივანე მაჩაბელთან ერთად. ილიამ თავის პუბლიცისტურ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაუთმო სახალხო განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს. ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების ორგანიზაციისა და ქალთა უმაღლესი განათლების განხორციელების საქმეში. იგი ზრუნვასა და შემწეობას არ აკლებდა უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს. სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ საკითხებზე მრავალი ნაშრომი დატოვა.

ილია ჭავჭავაძე მიჩნეულია მხატვრული სიტყვის დიდოსტატ-პოეტად, ბელეტრისტად, დრამატურგად, მთარგმნელად. ის ქართველი ხალხის გაერთიანებას, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასა და ამაღლებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ემსახურებოდა. ილია იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი. მან შეადგინა პროგრამა, რომლის საფუძველზე დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. რუსეთის პირველ დუმაში სამსახურის შემდეგ ილიამ გადაწყვიტა, საქართველოს დაბრუნებულიყო. 28 აგვისტოს თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალ ილიასა და ოლღას წიწამურთან ექვსკაციანი ჯგუფი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ილია მოკლეს და მიიმალნენ. მისი მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ერთმა მოხუცმა კაცმა აღიარა, რომ რუსეთის ჟანდარმერიამ დაიქირავა ილიას მოსაკლავად. ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნია. ილია ჭავჭავაძე დიდი პატივით თბილისში მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას თქმით, აუცილებელია ტერიტორიის მოწესრიგება და დასუფთავება. ამჟამად ძეგლის მიმდებარე ტერიტორია დანაგვიანებულია, კიბეები კი ჩამონგრეულია.

— ძეგლის მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაშია. ფაქტობრივად, არ არსებობს კიბეები. ეს ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია, მაგრამ მათი ბიუჯეტი მწირია, ამიტომ კულტურის სამინისტრომ აიღო თავის თავზე, რომ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რათა ეს ადგილი გამორჩეულად საყვარელი იყოს ყველასთვის. მჯერა, რომ ბევრი მხარდამჭერი გვეყოლება და ყველანი ერთად ილიას ძეგლს ხელს შევავლებთ, — განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

როგორც ადგილზე შეკრებილმა მინისტრებმა გადაწყვიტეს, ყველა უწყება ერთად ამ ძეგლის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე იზრუნებს. სოზარ სუბარის თქმით, ამ კვირიდან ძეგლის მიმდებარე ტერიტორიას პრობაციონერები დაასუფთავებენ, ადგილის გამწვანებაზე კი გარემოს დაცვის სამინისტრო იზრუნებს.

სანამ მინისტრები ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაციაზე მსჯელობენ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" შექმნილია სპეციალური გვერდი და თანაც არაერთი, რომელიც მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადარჩენაზე ყველამ ერთად იზრუნოს.

# ვაჟა დურგლიშვილი იუბილეს ზეიმობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცეს სტიმული და იმის შემდეგ, რომ იტყვიან, გავიღვიძე.

***— სპეციალურად დუეტ „ჯორჯიასთვის" წერთ სიმღერებს?***

— კი ვწერ, მაგრამ ისეთები არიან, თვითონ თუ მოსწონთ აკეთებენ, რაც არ უნდა შესთავაზო, თუ არ მოეწონათ, არ გააკეთებენ. ძნელია იმის თქმა, რომ სპეციალურად დავუწერე სიმღერა, ჯერ გადაქექავენ ჩემს სიმღერებს და მერე არჩევენ. „ესა მესა" ავიღოთ, რატიმ ბავშვობიდან იცის ჩემი სიმღერები და ამოარჩიეს ეს სიმღერა, რომელიც მსმენელმა ძალიან შეიყვარა. რატიმ გაიხსენა, რომ ჩემს საბავშვო ოპერაში იყო ეს სიმღერა და იქიდან აიღო, თუმცა იმ ოპერაში სხვა სიმღერებიც ძალიან კარგია. მჯერა, დადგება დრო, რომ ეს ოპერაც დაიდგმება.

***— ბევრი თქვენი ნაწარმოები არ დადგმულა?***

— ნამდვილად მაქვს ნაწარმოებები, რომელიც არ დადგმულა. სულ ახლახან მქონდა ორი წიგნის პრეზენტაცია. ერთი არის საბავშვო მიუზიკლი, რომელიც საბავშვო ბაღებისთვის არის. 15 ნაწარმოებია ამ წიგნში და ძალიან საინტერესოა. ძნელია მისი თქმა როგორი გამოვა, მაგრამ დაიდგას, რომ მოისმინოს მსმენელმა და მერე გახდეს განსჯის საგანი. ბევრი საქმე მაქვს, არასდროს მიფიქრია პატარაობაში, რომ ვიქნებოდი ასაკიანი. მეგონა, სულ ბავშვი ვიქნებოდი, ახლა გული მწყდება, რომ ბევრი მეგობარი შემომეცალა ხელიდან, გვერდით ბევრი აღარ მყავს, მინდა ვილაცას რაღაც შევჩივლო, რაღაც ვუთხრა და ისინი აღარ არსებობენ, თუნდაც ხელოვანი ადამიანები ავიღოთ, რევაზ ლაღიძე, შოთა მილორავა და ბევრნი კიდევ. სამეგობროც შემომეცალა, თურმე სევდა სცოდნია ასაკის მატებას, მაგრამ 65 წელი ბევრი სულაც არ არის, კიდევ ბევრის გაკეთებაა შესაძლებელი.

სპორტი

# არმია და დინამო დაუმარცხებლები არიან

**ბათუმი — ქუთაისი 87:85**
**(27:31; 29:19; 18:19; 13:16)**

მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა ზღვისპირულმა გუნდმა მიმდინარე სეზონის პირველი პრინციპული მატჩი მოიგო. მასპინძლები მთავარი მწვრთნელის გარეშე დაუხვდნენ მეტოქეს. მიზეზი ჯანმრთელობის პრობლემები აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მოახერხეს და იმერულ გუნდს ღირსეული ბრძოლა გაუმართეს. ბათუმელებს თავიდან უჭირდათ და პირველი მეოთხედი 4 ქულის სხვაობით – 27:31 დათმეს. მეორე პერიოდიდან კი ამერიკელმა და კანადელმა ლეგიონერებმა საკუთარი თამაში იპოვეს და მასპინძლებმა გარდატეხა მოახდინეს.

ძალიან საჭირო იყო ვანო მაისურაძის 2 სამქულიანი მეორე პერიოდის შუაწელში, როცა ბათუმელებმა ლიდერობა მოიპოვეს. მეორე პერიოდის 29:19 მოგების შემდეგ დიდი შესვენებისთვის მასპინძელთა 6-ქულიანი ლიდერობა დაფიქსირდა – 56:50. მეორე ტაიმში ქუთაისელებმა მოახერხეს თამაშის გათანაბრება, რაშიც ლომის წილი აკაკი დვალიშვილს, გოგა ცეკვავას და ზაურ ფაშაევს მიუძღვით.

ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო, თუ რომელი გუნდი იმარჯვებდა. თამაშს საკუთარ თავზე იღებდა კანადელი ჯუნიორ კადუგანი, რომელმაც საბოლოოდ შეხვედრა 26 ქულითა და 10 პასით დაასრულა. მისი და 2 ამერიკელი ლეგიონერის – ჯერომი სეფოლდისა და ჯემი ჯექსონის აქტიურობით ბათუმელებმა მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა მოახერხეს – 87:85.

კოდუგანის კვალად 19-19 ქულა მოაგროვეს ჯექსონმა და სეფოლდმა.

**მაქაბი — არმია 72:116**
**(15:34; 17:28; 20:28; 20:26)**

გამარჯვებულის გამოცნობას დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა. არმიელებმა ისარგებლეს შედარებით სუსტი მეტოქით და 18-წლამდელთა გუნდიდან 2 ახალგაზრდა ათამაშეს – თორნიკე გაგუა და გიორგი ქავთარაძე, რომლებმაც კარიერაში პირველი შეხვედრა ჩაატარეს სუპერლიგაში.

რაც შეეხება მატჩს, პირველი ტაიმის შემდეგ არმიელთა სასარგებლოდ სხვაობა 30 ქულას შეადგენდა. მატჩის ბედი გარკვეული იყო და კალათბურთელები სანახაობრივად თამაშზე გადაერთვნენ და მაყურებელს არაერთი ლამაზი კომბინაცია თუ საკალათბურთო ილეთი უჩვენეს.

საბოლოოდ არმიელებმა 116:72 მოიგეს და სუპერლიგის ლიდერობა გაიმყარეს. 4 მატჩიდან ქულათა მაქსიმუმით არმიელები ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობენ. მატჩის ბომბარდირი 31 ქულით მაქაბელი ლევან რევაზაშვილი გახდა, გამარჯვებულებს კი 23 ქულით გიორგი შარაბიძემ ულიდერა, რომელმაც ცენტრის კვალობაზე საკმაოდ ბევრი – 4 სამქულიანი ჩააგდო. 18 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა გიორგი ჯგერენაიას, ხოლო ბექა წივწივაძემ შეხვედრა 15 ქულით დაასრულა.

**შსს — ოლიმპი 85:59**
**(15:5; 17:21; 26:17; 27:13)**

ანგარიშში არსებული სხვაობა რეალურად არ ასახავს თამაშის მსვლელობას. ეს გარემოება თავად „შსს-აკადემიაის" მთავარმა მწვრთნელმა დრაგან პერტიჩევიჩმაც აღნიშნა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. შსს-ელები ნიადაგ ლიდერობდნენ, თუმცა არც ისეთი სხვაობით, რომ დამშვიდების საშუალება ჰქონოდათ. პირველი პერიოდის 8:15 წაგების შემდეგ „ოლიმპის" კალათბურთელებმა თამაში გამოასწორეს და სწრაფი შეტევების წყალობით ჩამორჩენა დიდი შესვენებისთვის 3 ქულამდე შეამცირეს – 32:29.

მესამე პერიოდში აკადემიელებმა დაცვა გაამაგრეს, რასაც სწრაფი შეტევების განხორციელება და ფარქვეშ გაბატონება მოჰყვა. შედეგად პეტრიჩევიჩის გუნდმა მე-3 მეოთხედი 26:17 მოიგო და გადამწყვეტი პერიოდისთვის 12 ქულით დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში აკადემიელებმა საბოლოოდ გატეხეს ოლიმპელთა წინააღმდეგობა და დიდი სხვაობით გაიმარჯვეს. გამარჯვებულთაგან 22 ქულით ბექა ჩიკვილაძე გამოირჩა, 17 ქულა ჰქონდა მერაბ ბოქოლიშვილს, ხოლო 14 – ილია ლონდარიძეს. „ოლიმპში" 14-14 ქულით საუკეთესონი იყვნენ რეზო ათანელიშვილი და გიორგი ხანიაშვილი, ხოლო ნოდარ თენიეშვილს ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა – 9 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა.

**დინამო — რუსთავი 97:62**
**(21:13; 20:6; 29:22; 27:21)**

გუნდებს შორის ისეთი დიდი სხვაობაა, მაყურებელი, ალბათ, არც ელოდა, რომ სანახობრივ მატჩს ნახავდა. ასეც მოხდა – ირაკლი ხოშტარიას გუნდმა დიდი სხვაობით დაამარცხა „რუსთავი" და მიმდინარე სეზონს დაუმარცხებელი განაგრძობს.

დიდი შესვენებისთვის ყველაფერი გარკვეული იყო. დინამოელებმა პირველი პერიოდის 8 ქულით მოგების შემდეგ მეორეში 20:6 იმარჯვეს და პირველი ტაიმის შემდეგ 41:19 დაწინაურდნენ. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ რა სხვაობით მოიგებდა „დინამო".

ხოშტარიას გუნდმა საბოლოოდ 35-ქულიანი სხვაობით იმარჯვა, რაშიც ლომის წილი სტევან მილოშევიჩს მიუძღვის. ჩერნოგორიელმა ცენტრმა 17 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა. 14-14 ქულა მიითვალეს ქიან კარტერმა და ბესო ლეჟავამ, ხოლო 11-11 – ზვიად ანთაძემ და გიორგი გამყრელიძემ. ანთაძემ საკუთარ ანგარიშზე 16 მოხსნაც ჩაიწერა, გამყრელიძემ კი – 9 პასი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 4 | 4 | 0 | 333:238 | 8 |
| 2.ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 383:280 | 7 |
| 3.დინამო | 3 | 3 | 0 | 262:218 | 6 |
| 4.ბათუმი | 4 | 2 | 2 | 346:337 | 6 |
| 5.შსს | 3 | 2 | 1 | 227:212 | 5 |
| 6.სოხუმი | 3 | 1 | 2 | 198:196 | 4 |
| 7.ოლიმპი | 3 | 1 | 2 | 241:249 | 4 |
| 8.რუსთავი | 4 | 0 | 4 | 224:351 | 4 |
| 9.მაქაბი | 4 | 0 | 4 | 283:416 | 4 |

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. ქიმიური ელემენტი; 2. ჟანა ...; 3. ხარი, კამეჩი შუბლზე თეთრი ნიშნით; 4. დროის მონაკვეთი; 5. მოკლე ორლესული მახვილი; 6. ყვავილი; 7. ... ნორისი; 8. ქიმიკოსთა მიერ ხმარებული სალებავი ნივთიერება; 9. ველური ვარდი; 10. მათემატიკური ორწევრი; 11. „... დაიდარდო!"; 12. ნაბიჯი ბალეტში; 13. იაპონური ჭიდაობა; 14. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 15. ვულკანი სიცილიაზე; 16. ცხენის კუდის ბეწვი; 17. დიზაინერი ... ასათიანი; 18. ძველებური პატრუქიანი თოფი; 19. მოწაფის ... (სასწავლო ნივთებისთვის); 20. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 21. მარჩიელი; 22. ამოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 23. საიალქნე ძელი; 24. ერთგვარი თევზი; 25. ჟორჟ სანდის რომანი; 26. მდინარე შვეიცარიაში; 27. საშუალო ზომის მღრღნელი ცხოველი; 28. ასო „რ"-ს სახელწოდება; 29. უქოჩრო თუთიყუში; 30. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 31. საკიდარი ქვაბი (ძვ.); 32. „ქალაქი ..." (კ/ფ); 33. ნოტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ოშკი; 2. „გუელი"; 3. პრალა; 5. ცუნიგა; 6. თეოლოგია; 9. დეიტერიუმი; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. გნუ; 16. ლაზიკა; 18. კინო.

**თარაზულად:** 1. ონაგრი; 4. ცუცხვათი; 7. ვენერა; 8. ღერღილი; 12. ვილია; 13. ეგზემა; 15. „ნაბუკო"; 17. ბია; 19. ლეიკოციტები; 20. „ფიატი"; 21. შორენა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხოტი; 2. ფურკა; 3. „იმედი"; 4. ფლავი; 5. ესთეტი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანი; 11. ვაშლოვანი; 14. „გრემიო"; 15. ბურახი; 16. „ელესა".

**თარაზულად:** 1. ხარფუხი; 4. ფლემინგი; 7. „ტატრა"; 9. ცირკი; 12. ჩიტაია; 13. აგუნა; 14. გრანდი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

# ბესიკ ლიპარტელიანი: „ჩვენ გვექნება კიდევ რამდენიმე მცდელობა, რომ მეორე მხარეს შევხვდეთ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**ბესიკ ლიპარტელიანი, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ფედერაციამ ჯერ კიდევ ზაფხულში მოამზადა წესდების ვარიანტი, რომელშიც გაითვალისწინა ყველა დემოკრატიული პრინციპი. ასევე გავითვალისწინეთ იმ რეკომენდაციების 80 პროცენტი, რომლებიც სამინისტრომ წარმოგვიდგინა. სწორედ იმ პერიოდში „კალათბურთელთა კავშირის“ მიერ შეიქმნა საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. მათ შეეძლოთ, დაერქმიათ ამ ორგანიზაციისთვის კავშირი, მაგრამ განზრახ გააკეთეს ასე, რადგან, იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე კლუბი წამოეგებოდა მათ უსამართლო ნაბიჯებს, შექმნილიყო ალტერნატიული ლიგა. ამას მოჰყვა ის ზეწოლა, რომელიც მათ განახორციელეს 10 აგვისტოს დანიშნული ყრილობის წინა პერიოდში. ზეწოლა ყველაზე არ ყოფილა და ეს ცუდად იქნა თავდაპირველად აღქმული. ზეწოლა იყო 5-6 კაცზე, რომლებიც თავის სათქმელს კიდე იტყვიან, სანამ არჩევნები გაიმართება. მინისტრი მოითხოვდა, რომ კონკრეტულად მიშა ახვლედიანის კავშირთან გვქონოდა წესდებაზე მუშაობისას შეხება. სხვა კავშირებმა რა დააშავეს, სხვა კანდიდატები რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ ჩართული?! სწორედ ამიტომ, რომ არ ყოფილიყო წესდება თავს მოხვეული, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევხვდეთ საკალათბურთო სამყაროს ყველა ფენას. ეს უკვე მე-6 შეხვედრაა, დარჩა სულ 2-3 შეხვედრა და მერე უკვე, 2-3 დღეში გვეცოდინება საარჩევნო პროცედურებიც და იქნება წესდებაც, რომელსაც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობა დაამტკიცებს.

**ვახტანგ ნაცვიშვილმა, როგორც „დინამო თბილისის“ პრეზიდენტმა, დაადასტურა, რომ მისი გუნდი არანაირ ბოიკოტში არ მიიღებს მონაწილეობას:**

– მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „დინამო“ არანაირ ბოიკოტს არ აცხადებს და ითანამშრომლებს მხოლოდ იმ ორგანოსთან, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში, ფიბა-ს მიერ არის აღიარებული. რაც შეეხება კლუბების ბოიკოტს, პროტესტს, თუ რაც გინდათ ის დაარქვით, ჩემი პოზიცია ასეთია: ყველაფერი უკავშირდება 10 აგვისტოს დანიშნულ ფედერაციის ყრილობას, რომელსაც მე სერიოზულ პრობლემად არ აღვიქვამ. იქ დარჩნენ დელეგატები და შეიძლება დაეყენებინათ პრეზიდენტის, ფედერაციის იმპიჩმენტის საკითხი, მაგრამ დადგა მხოლოდ წესდებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის საკითხი. აუცილებელია ისეთი წესდების შექმნა, რომელიც იქნება ყველასთვის მისაღები და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება ამ საკითხის ირგვლივ დავა-კამათი. ასევე მინდა განვმარტო, რომ, ჩემი აზრით, კლუბებს მათი საქმიანობის მიხედვით უნდა მიეცეთ ხმის უფლება. რატომ უნდა ჰქონდეს „შსს-აკადემიას“ და, ვთქვათ, „ფოთს“ თანაბარი ხმების რაოდენობა, როცა შსს-ს ყველა ასაკში გამოჰყავს გუნდი, „ფოთს“ კი მხოლოდ 1 გუნდი გააჩნია!

**კახა შენგელია, ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი:**

– „შსს-აკადემიას“ იმის ხარჯზე ჰყავს გუნდები, რომ იქ ბავშვებს უფასოდ ავარჯიშებენ. ამის გამო დაიცალა „მართვეს“ განთქმული სკოლა, მშობლებმა ბავშვები შსს-ს აკადემიაში წაიყვანეს, სადაც სახელმწიფოს ფულით ფინანსდებიან მწვრთნელები. შესაბამისად, იქ აღმოჩნდა მწვრთნელების უმრავლესობა. სახელმწიფოს ფულით იოლია გუნდების გამოყვანა. გამოვეხმაურები მიშა ახვლედიანის ბრალდებას, თითქოსდა ჩვენ ხელოვნურად გვინდა ხმების გაზრდა. მე იქით დავადანაშაულებ ახვლედიანს და მის გუნდს, რომ მათ ხმების შემცირება უნდათ იმ იმედით, რომ თავიანთთვის სასურველ კანდიდატებს მოუყარონ საარჩევნოდ თავი. ამას ისინი აკეთებენ ძალადობის, დაშინების გზით, რაც უკვე აშკარაა.

**ოთარ ბრეგვაძე, კახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ამდენ ხანს ხმას არ ვიღებდი, რადგან არ მჩვევია ასეთი რამ, თუმცა, როცა გაზეთში დაიწერა, თითქოსდა მე განვაცხადე, რომ ჩვენი ფედერაციის მიმართ ზეწოლა არ ყოფილა, დავურეკე ბესიკ ლიპარტელიანს და ტელევიზიებსაც მივეცი ინტერვიუ. საქმე ის არის, რომ მიშა ახვლედიანმა მე არაერთხელ დამირეკა და მითხრა, ყრილობაზე არ ჩამოვსულიყავი. ამით ის ლიპარტელიანის მხარდამჭერთა რიცხვს ამცირებდა.

**ზაზა გაბისონია, ქვემო ქართლის კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრი:**

– მიმაჩნია, რომ ქვემო ქართლის ფედერაცია და, ზოგადად, რეგიონული ფედერაციები კლუბებზე ნაკლებ ხმას არ იმსახურებენ. მერე რა, რომ რეგიონებში იმდენი ბავშვი არ დადის კალათბურთზე, რამდენიც თუნდაც „დინამოში“ ან შსს-ში. რესურსი დედაქალაქში უფრო მეტია, ვიდრე, ვთქვათ, მარნეულში, სადაც მოვარჯიშე 50 ბავშვი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თბილისის სკოლების 200 და 300 ბავშვი.

**თემურ დათიკაშვილი:**

– მოვიყვანთ მაგალითს. ფოთში მუშაობს ყველასათვის კარგად ნაცნობი ყოფილი კალათბურთელი როლანდ გარუჩავა, რომელსაც ფეხები აწუხებს და ამ ბოლოს ყავარჯნებით დადის დარბაზში, სადაც წვიმის დროს წყალი ჩამოდის. ის თავისი ხელით ეწევა სარემონტო სამუშაოებს, რათა ბავშვებს სავარჯიშო პირობები შეუქმნას და დამიჯერეთ, მის მიერ გაწეული სამუშაო შესაძლოა ბევრად ღირებული და დასაფასებელი იყოს, ვიდრე ნებისმიერი თბილისელი სპორტსკოლის მწვრთნელისა. მე, როგორც „ვითას“ ხელმძღვანელს, კლუბისა, რომელსაც ყველაზე მეტჯერ მოუგია საქართველოს ჩემპიონობა, რატომ არ უნდა მქონდეს ხმის უფლება მაშინ, როცა ეს ისეთ ადამიანს გააჩნია, რომელიც ახლა მოვიდა კალათბურთში. იმიტომ აქვს ხმა, რომ კარგი მენეჯერია და თანამდებობაზეა დანიშნული, თუმცა 1-2 წელიწადში აღარ იქნება ამ სფეროში. მე ვინმეზე ნაკლებად შემტკივა ქართულ კალათბურთზე გული, ან ვინმეზე ნაკლებად მესმის კალათბურთის არსი და მნიშვნელობა? მართალია, სპორტს დღეს საქართველოში ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს და ამის გამო მინისტრმა ხომ არ უნდა დანიშნოს ფედერაციის პრეზიდენტი. არც ეს იქნება პრობლემა, უბრალოდ, თქვან, რომ ასე აპირებენ და გვეცოდინება და აღარ იქნება ამდენი ლაპარაკი საჭირო.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

– ჩვენ გვექნება კიდევ რამდენიმე მცდელობა, რომ მეორე მხარეს შევხვდეთ. დარჩენილი გვაქვს შეხვედრები სამინისტროსთან, ოლიმპიურ კომიტეტთან და ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებთან. ჩვენ სამივე შეხვედრაზე დავუძახებთ მიშა ახვლედიანს და თუ მაინც არ ისურვებს ჩვენთან შეხვედრას, რას ვიზამთ – არც მისით დაწყებულა კალათბურთი და არც მისით დასრულდება. შეხვედრების დასრულებიდან 2-3 დღეში გამგეობა შეიმუშავებს ახალ წესდებას, რომელშიც საკალათბურთო სამყაროს ყველა ფენის აზრი იქნება გათვალისწინებული. ჩვენ არ წამოვეგებით იმ პროვოკაციაზე, რომელიც დიდი ალბათობით მიშა ახვლედიანისგან წამოვა.

**პ.ს.** ჯერჯერობით მხოლოდ სატელევიზიო ბრალდებებით გამოდის „კალათბურთელთა კავშირი“. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მათგან პრესკონფერენციას უნდა ველოდოთ და თავიანთი პოზიცია გარკვევით დააფიქსირონ.



# ირანი ურანის გამდიდრების უფლებაზე უარის თქმას არ აპირებს

პრეზიდენტ ჰასან როუჰანის განცხადებით, „ირანი პრინციპებს სანქციების მუქარით არ შეიცვლის და ეროვნულ ინტერესებს არ უღალატებს“.

„მოლაპარაკებებზე პარტნიორებს განვუცხადეთ, რომ არანაირ მუქარას არ ვექვემდებარებით: არც სანქციების, არც დამცირების, არც დისკრიმინაციის. ისლამური რესპუბლიკა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლების მუქარის წინაშე ქედს არ იხრის. არსებობს წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთა არ შეგვიძლია. ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესები, მათ შორის საერთაშორისო ნორმის ფარგლებში ურანის გამდიდრების უფლება“, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა ეროვნული ასამბლეის სხდომაზე.



ჟენევაში ირანის ბირთვული პრობლემის საკითხთან დაკავშირებით „ექვსეულის“ (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) მოლაპარაკებები გაიმართა. მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი 20 ნოემბერსაა დაგეგმილი.

ისრაელის მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ ისრაელი სრულიად უარყოფს შესაძლებელ შეთანხმებას, რომელიც ირანის მიმართ სანქციების შერბილებას გამოიწვევდა, რადგან, ნეთანიაჰუს აზრით, ირანმა არაფერი გადაიხადა და ყველაფერი მიიღო:

„ასე რომ, ირანმა მიაღწია საუკუნის შეთანხმებას და საერთაშორისო თანამეგობრობამ კი – ცუდ გარიგებას. ეს არის ძალიან ცუდი შეთანხმება და ისრაელი მას მთლიანად უარყოფს. ჩემს ამ აზრს რეგიონში ბევრი იზიარებს. უბრალოდ, ისინი არაფერს ამბობენ საქვეყნოდ. ეს შეთანხმება ისრაელს არაფრით ავალდებულებს და ის გააკეთებს ყველაფერს, რაც საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის დასაცავად დასჭირდება“.

ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა პარასკევს განაცხადა, მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომებს რომ ვუყურებდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მათ სურთ შეთანხმებას მივაღწიოთო. ზარიფმა იმედი გამოთქვა, არის შესაძლებლობა შევთანხმდეთო. სწორედ ზარიფი იყო ინიციატორი იდეისა, რომელიც მან წინა შეხვედრაზე გამოხატა – საჭიროების შემთხვევაში მოლაპარაკების დონე აწეულიყო და მასში საგარეო საქმეთა მინისტრები ჩართულიყვნენ. პარასკევს, ჩანს, ეს საჭიროება დადგა. ამავე დღეს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ლიდერის კეტრინ ეშტონის წარმომადგენელმა მაიკლ მენმა განაცხადა, წინსვლას ვაღწევთ, როგორც გუშინ უკვე ვთქვიო. ეს მენმა განაცხადა, გეგმის თანახმად მოლაპარაკების მეორე და ბოლო დღეს, როცა, დიპლომატები, ჩანს, უკვე მიახლოებულნი იყვნენ შეთანხმებასთან, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვას და, სამაგიეროდ, მის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების, შერბილებას – თუ არა გაუქმებას – გულისხმობს. ამისთვის ირანმა ცხადი ნაბიჯები უნდა გადადგას თავისი ბირთვული პროგრამის განვითარებაში, რის გამოც დასავლეთი ვარაუდობს, რომ ის ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს. მენმა რადიოს კორესპონდენტთან საუბარში არ ისურვა ნეტანიაჰუს ნათქვამის კომენტირება. მან თქვა, ჩემი უფროსი, კეტრინ ეშტონი, გაეროს მიერ არის უფლებამოსილი, ირანელებს კეთილი განზრახვით მოელაპარაკოს, რათა მიაღწიონ იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებას, რომელიც მთელ მსოფლიოს წაადგება და რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას დაარწმუნებს, რომ ირანის ბირთვული პროგრამის მიზანი მხოლოდ სამშვიდობოაო. ჩვენ ამ პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება გვჭირდებაო, ამბობს მაიკლ მენი.

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები ჟენევაში ჩავიდნენ, მაგრამ მათ მხარი არ აუბა რუსეთმა. არაფერია ცნობილი ჩინეთზე. კრემლის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, არის შანსი მივაღწიოთ საგზაო რუკას, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის პრობლემას მოგვაგვარებინებს, ამის იმედი მაქვსო:

„ჩვენ გამოვდივართ მოწოდებით, აღიარებულ იქნეს ირანის უფლება ისარგებლოს მშვიდობიანი ბირთვული ენერგეტიკის სიკეთეებით, ურანის გამდიდრების ჩათვლით. და, ამასთან, ირანის მთელი ბირთვული საქმიანობა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს საიმედო და ზუსტი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს და მოგვარდეს სააგენტოს სხვა, ჯერ კიდევ დარჩენილი საკითხები“, – წერს „თავისუფლება“.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნები შიშობენ, რომ ირანმა ურანის გამდიდრებით შესაძლოა ატომური იარაღი შექმნას.

# პალესტინა აპირებს დაამტკიცოს, რომ არაფატი ისრაელის მოკლულია

პალესტინური საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი ტაუფიკ ტირაუი ისრაელს იასირ არაფატის გარდაცვალების საქმეში მთავარ ეჭვმიტანილად მიიჩნევს. მისივე თქმით, არაფატის გარდაცვალებას ბუნებრივი ხასიათი არ ჰქონია.



„როდესაც ჩვენ ვიპოვით მკვლელობის იარაღს, ჩვენ ვიპოვით დამნაშავესაც“, – განაცხადა ტირაუიმ და აღნიშნა, რომ პალესტინელი გამომძიებლები მიიჩნევენ, რომ არაფატის გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა ისრაელის მაშინდელ პრემიერს არიელ შარონს, თავდაცვის მინისტრს შაულ მოფაზს და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს ეკისრებათ.

ტირაუი ასევე აცხადებს, რომ კომისიამ დაკითხა ასობით მოწმე და ანალიზი განახორციელა ისრაელის იმდროინდელი ლიდერების „ყველა გამონათქვამისა“, რომლებიც მეტყველებენ „იმის სასარგებლოდ, რომ ისინი არაფატის ლიკვიდაციის უკან იდგნენ“.

„როდესაც ჩვენ ვიპოვით სიმართლეს, ჩვენ პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციაში დასკვნას წარვადგენთ, რომელიც გადაწყვეტს მან გაეროს უნდა მიმართოს თუ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს“, – განაცხადა მან.

ისრაელი კატეგორიულად უარყოფს პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციის დამაარსებლისა და პირველი ლიდერი გარდაცვალებასთან ყველანაირ კავშირს.

შვეიცარიელმა ექსპერტებმა კი დაადასტურეს, რომ გარდაცვლილი პალესტინელი ლიდერის იასირ არაფატის ექსჰუმაციის შედეგად აღებულ ნარჩენებში პოლონიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობა აღმოაჩინეს.

თუმცა ამავე დროს მათ განაცხადეს, რომ დაზუსტებით ვერ იტყვიან, რომ სწორედ ოლონიუმი გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი 2004 წელს.

პათოლოგანატომების ანგარიშსი ნათქვამია, რომ არაფატის ნარჩენებში პოლონიუმის რაოდენობა 18 ჯერ აღემატებოდა ნორმას.

თავად არაფატის ქვრივი აცხადებს, რომ მიღებული დასკვნები ადასტურებენ იმას, რომ მისი მეუღლე მოკლეს.

მან განაცხადა, რომ არავის პირდაპირ ბრალდ არ სდება, თუმცა სიცოცხლეში არაფატს ბევრი მტერი ჰყავდა. შვეიცარიელი პათანატომების ანგარიში „ალ ჯაზირამ“ გამოაქვეყნა.

არაფატის ავადმყოფობის ისტორიაში ნათქვამია, რომ ის 2004 წელს ინსულტით გარდაიცვალა, რომელიც სისხლის დაავადების მიერ იყო გამოწვეული.

პარალელურად კვლევას ატარებდნენ ფრანგი და რუსი ექსპერტები. რუსმა სპეციალისტებმა პოლონიუმის კვალი საერთოდ ვერ აღმოაჩინეს.

პალესტინელები დარწმუნებულნი არიან, რომ არაფატი მოწამლეს. ისრაელი კი ყოველთვის უარყოფდა პალესტინელი ლიდერის გარდაცვალებასთან რაიმე შესაძლო კავშირს.

შეგახსენებთ, რომ 1964 წელს არაფატი სათავეში ჩაუდგა ომს ისრაელის წინააღმდეგ იორდანიაში. ამავე წელს არაბული სახელმწიფოების ლიგამ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია შექმნა, რომელიც მოუწოდებდა პალესტინელებს „სიონისტ ოკუპანტებთან ბრძოლისაკენ“.

1988 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე არაფატმა უარყო ტერორიზმი და აღიარა „უფლება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისა იცხოვრონ მშვიდობასა და უსაფრთხოებაში, მათ შორის ისრაელისა და პალესტინის უფლება.

1989 წლის 2 აპრილს იასირ არაფატი არარსებული პალესტინური სახელმწიფოს პრეზიდენტად აირჩიეს. 1995 წელს იასირ არაფატი ისრაელის ლიდერებთან იცხაკ რაბინთან და შიმონ პერესთან ერთად ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 11 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**გაალეთ" პოლიციაა!-2**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.30** მხ/ფ "**სრულყოფილი სამყარო**" (კ.კოსტნერი) **01.50** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "ბანგკოკი" **08.30** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი I**" **10.15** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი II**" **12.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "პერუ" **12.30** მხ/ფ "**ვინეტუ II**" (სათავგადასავლო". რეჟ: ჰ. ლაინლი) **14.00** "ეპიცენტრი" (ჸაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" 1 სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.30** ELITE MODEL LOOK GEORGIA **2013** – დღიური **00.45** მხ/ფ "**ერთი სამეგობროს ამბავი**" (ჯ.აბრაჰამსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ "**ბავშვი სასეირნოდ მიდის**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" VI სერ **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" **16.45** კონცერტი -ანს. "ეგარი" **18.10** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **18.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მე დავბრუნდები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ "**ადგილის დედა**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მაჭახელა" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **10.15** **სერიალი "რთული გზა"** (გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6787 |
| ევრო | 2,2528 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6983 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1576 |

## ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისთვის





# 12 ნოემბრიდან ქართული დეტექტივი

## ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

# საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.




რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

## უკვე გამოსულია

ტომი 1 ............ მგლის ბილიკი
ტომი 2 ............ შავი ვარდი


# ვაჟა დურგლიშვილი იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი, რომელიც ბოლო პერიოდში დუეტ „ჯორჯიას“ წევრის რატი დურგლიშვილის მამად უფრო მოიხსენიება, 23 ნოემბერს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე შემოქმედებით საღამოს მართავს. ეს ღონისძიება ხელოვანის 65 წლის იუბილეს ფარგლებში ეწყობა.

როგორც კომპოზიტორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ კონცერტზე შესრულდება ყველა ის მონატრებული სიმღერა, რომლებიც მსმენელს კარგად ახსოვს, თუმცა, ამავე დროს, იქნება ბევრი ახალი ნომერიც. მთლიანობაში, საიუბილეო საღამო 3 საათს გასტანს და მასში ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის მერაბ სეფაშვილი, თემურ წიკლაური, დუეტი „ჯორჯია“, სალომე ბაკურაძე, ზურაბ კობეშავიძე, სოფო ბედია, ნუგზარ კვაშალი, ლელა წურწუმია, ბესო კალანდაძე, „ორერა“, „ფორტე“, ტრიო „სიმი“.

კონცერტის მხარდამჭერები თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო არიან. ისინი კომპოზიტორს ფინანსურად დაუდგნენ გვერდში. ბოლო კონცერტი კომპოზიტორმა 60 წლის იუბილეზე 2008 წელს ჩაატარა, მას შემდეგ კი, როგორც თავად ამბობს, საკმაოდ ბევრი სათქმელი დაუგროვდა თავისი მსმენელისადმი და სწორედ ამიტომ გიორგობაზე ყველას ერთად შეკრებს და კიდევ ერთხელ მოეფერება.

**ვაჟა დურგლიშვილი, კომპოზიტორი:**

– უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, მიდის უწყვეტი რეპეტიციები და დიდი მზადება.

***– ვინ მიიღებს მონაწილეობას თქვენს შემოქმედებით საღამოში?***

– მონაწილე საკმაოდ ბევრია, იმიტომ რომ სიმღერაა ბევრი. „ორერა“, „ფორტე“, სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმი“, ტრიო „სიმი“, თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, დუეტი „ჯორჯია“, მერაბ სეფაშვილი, ბესო კალანდაძე, ზურაბ კობეშავიძე, ლელა წურწუმია, სოფო ბედია, ტატო გოდერძიშვილი, ნიჭიერთა ათწლედიდან მევიოლინე და პიანისტი მოვიწვიე, შესრულდება ასევე ჩემი ბალეტი, რომელსაც ნინო ანანიაშვილის სტუდიის ხუთი ბალერინა იცეკვებს, ზუგდიდიდან ჩამოვა ტრიო და ჩემს ახალ მეგრულ სიმღერას შეასრულებს, კონსერვატორიის სტუდენტები იქნებიან ჩართული ამ კონცერტში. ასევე ამ კონცერტში მონაწილეობს ჩემი მოსწავლე ზურიკო კიკნაძე და, რა თქმა უნდა, დუეტ „ჯორჯიას“ სტუდიის აღსაზრდელები. გარდა ამისა, ისრაელიდანაც ჩამოდიან სტუმრები, ებრაული ჯგუფიც მიიღებს ჩემს შემოქმედებით საღამოში მონაწილეობას, ასე რომ, მონაწილეების სია საკმაოდ დიდია და ამიტომაც სერიოზული მზადება მიმდინარეობს.

***– რამდენ ხანს გასტანს თქვენი კონცერტი?***

– კონცერტი ძალიან დიდია, დაახლოებით 3 საათს გაგრძელდება. ჩვენი საღამოს წამყვანი იქნება ნიკა წულუკიძე და გზადაგზა გვერდში დაუდგება დუეტი „ჯორჯია“. „იმედის“ არხი გადაიღებს ამ კონცერტს, რომელიც დაფინანსებულია თბილისის მერიისგან და კულტურის სამინისტროსგან. მერიამ დააფინანსა დარბაზი და განათება, კულტურის სამინისტრომ – ბენდი. ჩვენს კონცერტზე დაუკრავს დათო ილურიძის ბენდი, კონცერტზე იქნება ცოცხალი შესრულება და პლუს კამერული ორკესტრი ავთანდილ მამაცაშვილის ხელმძღვანელობით. ძალიან სერიოზული შემადგენლობა შეიკრიბა. უამრავი სიმღერები მაქვს, თან კამერულ მუსიკასაც ვწერ და ბალეტსაც. მარტო საესტრადო სიმღერებს არ ვწერ, უბრალოდ, ყველაფერი ხომ არ ჩანს, რასაც ადამიანი აკეთებს? ასე რომ, კამერული ნაწარმოებებიც მაქვს და საბალეტოც. მასალა მაქვს უამრავი.



***– ინტერესი როგორია თქვენი კონცერტის მიმართ?***

– საკმაოდ დიდი ინტერესია. მიგვიწვიეს როგორც რადიოში, ასევე ტელევიზიებში და ინტერესი თქვენი კოლეგების მხრიდანაც საკმაოდ მაღალია.

***– რატომ გადაწყვიტეთ კონცერტი გიორგობას დაგენიშნათ?***

– ეს კონცერტი ჩემს 65 წლის იუბილეს ეძღვნება. გიორგობაზე მაქვს დაწერილი ახალი სიმღერა, თუ ძალიან დიდი კონცერტი არ გამოვიდა, აუცილებლად შევასრულებ ამ სიმღერას და მივუძღვნი ამ დღესასწაულს, ოღონდ უნდა ვიცოდე, რომ დროში ჩავეტიო. ისე, სპეციალურად ამ დღისთვის იმიტომ დავგეგმეთ კონცერტი, რომ მინდოდა ეს სიმღერა შესრულებულიყო.

***– რამდენი წელია, რაც თქვენი საღამო არ ჩატარებულა?***

– ხუთი წლის წინ 60 წელი რომ შემისრულდა, ჩემი საღამო ჩატარდა ოპერისა და ბალეტის თეატრში. მაშინ კონცერტი მოსაწვევებით გავაკეთეთ.

***– ახლა ბილეთებს გაყიდით?***

– ახლა ნაწილობრივ გავყიდით ბილეთებს, ნაწილი კი მოსაწვევებით იქნება. გვინდა ყველა ის ადამიანი მოვიწვიოთ, ვისაც გვინდა მადლობა გადავუხადოთ თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. ძალიან მინდა, ახალგორის მოსახლეობისთვის დავბეჭდო მოსაწვევები, შეიძლება 1000 მოსაწვევი დამჭირდეს. დიდ შემოსავალზე მაინც არ მიფიქრია. ერთადერთი არ გვაფინანსებენ სცენის გაფორმების კუთხით და ამისთვის მჭირდება თანხა, რომ სცენის დიზაინზე ვიმუშავოთ. ძირითადი ყველაფერი მოთავებულია, არანჟირებები გაკეთებულია, მომღერლები მზად არიან და ძალიან კარგი სიმღერები გაჟღერდება. ტაშ-ფანდურა სიმღერები არ არის, სერიოზული სიმღერებია და მათგან 15-20 სიმღერა სულ ახალია, სერიოზული სიმღერებია, კარგი ვოკალისტები გამოდიან, მაგარი სიმღერაა ანსამბლ „ბათუმის“ შესრულებით და მჯერა, რომ კარგად გაიჟღერებს. ძალიან ქართული და კარგი სიმღერაა. ვიცი, რომ გააჩნია მსმენელის გემოვნებას, ზოგი ტაშ-ფანდურაზეა გადასული, მაგრამ ეს სერიოზული სიმღერაა.

***– ბატონო ვაჟა, საქართველოში კონცერტები აღარ ტარდება და სიმღერებს ვისთვის წერთ?***

– მეწერინება და რა ვქნა? ველარ ვჩერდები და აღარც ვჩერდები. ამის მიზეზია „ჯორჯიას“ გამარჯვება იურმალაზე. მათ რომ პირველი ადგილი დაიკავეს, შემოვბრუნდი რადიკალურად მუსიკისკენ და ჩავერთე ისევ მუსიკალურ სამყაროში. მათ მომ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# „მის სამყარო 2013“ ვენესუელელი ლამაზმანი გახდა

სილამაზის კონკურს „მის სამყაროს 2013-ის“ გამარჯვებული ვენესუელელი ლამაზმანი გაბრიელა ისლერი გახდა. 120 ათას დოლარის ღირებულების ძვირფასი გვირგვინი წლის ყველაზე ლამაზ ქალბატონს „მის სამყარო 2012-მა“ ოლივია კალომ გადასცა.



„მე ძალიან ბედნიერი ვარ, არ მჯეროდა, როცა ჩემი სახელი გავიგონე. მაშინვე ვერ გავაცნობიერე. ეს ძალიან მრელვარე და შესანიშნავი მომენტი იყო“, – განაცხადა 25 წლის ისლერმა.

„მის სამყარო 2013“ ვენესუელას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელევიზიის „ვენევიზიონის“ წამყვანად მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ ვენესუელელი გოგონები სილამაზის კონკურსის გამარჯვებულები ხშირად ხდებიან. „მის სამყაროს“ ტიტული ამ ქვეყნის წარმომადგენელს შვიდჯერ აქვს აღებული.

„მის სამყარო 2013-ს“ მოსკოვმა უმასპინძლა.

მის სამყარო ყოველწლიური საერთაშორისო სილამაზის კონკურსია, რომელსაც მის მსოფლიოს ორგანიზაცია ატარებს.

კონკურსი ტანსაცმლის კომპანია „პაციფიკ მილსმა“, 1952 წელს კალიფორნიაში დაარსა.

გ. მ.

# ტაიფუნმა ფილიპინებზე 10 000 ადამიანი იმსხვერპლა

დამანგრეველმა ტაიფუნმა „ჰაიანმა“ ფილიპინების კუნძულ ლეიტეზე, უკანასკნელი მონაცემებით, დაახლოებით 10 000 ადამიანი იმსხვერპლა, – ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.



ფილიპინების მთავრობა ამ დრომდე ოფიციალურად მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანის დაღუპვას ადასტურებს. კუნძულზე კომუნიკაციების და შენობა-ნაგებობის 80% განადგურებულია. სინოპტიკოსების ინფორმაციით, ეს იყო ყველაზე ძლიერი ტაიფუნი და ქარის სიჩქარე ეპიცენტრში 300 კმ საათში შეადგენდა. „ჰაიანმა“ ფილიპინების ცენტრალურ ნაწილს და რამდენიმე კუნძულს 8 ნოემბერს გადაუარა. სხვადასხვა მონაცემებით, ქარის სიჩქარე წამში 76-დან 105 მეტრამდე იყო. ფილიპინებს ტაიფუნის შედეგების ლიკვიდაციაში ამერიკელი სამხედროები დაეხმარებიან.

10 ნოემბრის დილის მონაცემებით, „ჰაიანი“ ვიეტნამის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილს მიუახლოვდა, საიდანაც დაახლოებით 500 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

გ. მ.

# ფაჩულიას მოკრძალებული მატჩი

სეზონის სტარტზე ფეერიული თამაშების შემდეგ დიდად წარმატებული მატჩი საქართველოს ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსთან“ არ გამოუვიდა, მილუოკელები კი მეტოქესთან 83:91 დამარცხდნენ. ჩვენებურის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 38 წუთში 4 ქულა, 7 მოხსნა 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.



ზაზას დალასელებთან სროლები არ წაუვიდა – 6-დან 1 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 3 შეცდომა დაუშვა, 2-ჯერ დაუფარეს და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

მილუოკელთაგან ო ჯეი მაიო და კერონ ბატლერი გამოირჩნენ. პირველმა 28 ქულა ჩააგდო, მეორის აქტივში კი ორმაგი დუბლი გახლდათ – 19 ქულა, 13 მოხსნა.

გამარჯვებულთაგან გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ 16 ქულა ჩააგდო, მასზე უკეთესი შედეგი (18 ქულა) კი მონტა ელისს ჰქონდა.

მ. ჟ.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი კოორდინატი (მათემ.); 3. ელდა, უეცარი შიში; 8. პატიმრის ოთახი; 10. სამხედრო ფორმის ტანსაცმელი; 11. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 12. დასამიზნებელი მოწყობილობა გეოდეზიურ ხელსაწყოებში; 14. ... ფრანსი; 15. სახლის სახურავი მასალა; 16. ძაღლის ნაშიერი; 19; დახურული ეტლი; 20. ქალის ძვირფასი თავსამკაული; 21. პიანისტი ... დოიჯაშვილი.

**შვეულად:** 1. ბერძენთა ჯარის მთავარსარდალი („ილიადა“); 2. ჩრდ. ამერიკის უდაბნოების მშრალი, ცხელი ქარი; 3. „კვირის ...“; 4. მდინარის თევზი; 5. მარქსის ნაშრომი; 6. მცენარის ნაწილი; 7. დიდი საოკეანო გემი; 9. აგატა ...; 13. ჩაზელილი კარტოფილი; 17. უგონო მდგომარეობა; 18. სატურნის თანამგზავრი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

# ასტროპროგნოზი 11 ნოემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ წახვალთ. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – მოერიდეთ არეულ სიტუაციას, გაუგებრობა არ გჭირდებათ. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – ეს დღე მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **სასწორი** – ფრთხილად იყავით, არ მოგატყუონ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, პრობლემა მოგეხსნათ. **მშვილდოსანი** – დღეს ნუ მიიღებთ უეცარ გადაწყვეტილებას. **თხის რქა** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, არ შეშინდეთ. **მერწყული** – არ გაექცეთ პასუხისმგებლობას, გაკვირდებიან. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!